

საქართველო

მუნიციპალური განვითარების და დეცენტრალიზაციის II პროექტი

საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის  
სამოქმედო სახელმძღვანელო

2002 წლის ოქტომბერი

წინამდებარე “სამოქმედო სახელმძღვანელოს”  
ნებისმიერი დებულება მხოლოდ მუნიციპალური  
განვითარების და დეცენტრალიზაციის მეორე  
პროექტისათვის გამოიყენება (მგდპ II). არც ერთი  
დებულება არ გამოიყენება მგდპ I-სათვის, რომლის  
განხორციელებაც წარიმართება მისი  
ოპერაციებისათვის განპიროვნებულ კონკრეტულ  
სამოქმედო სახელმძღვანელოში მოცემული წესების  
თანახმად, შესაბამისად მგდპ II-სათვის  
განსაზღვრული არც ერთი წესი არ შეიძლება  
პირუკუ მიესადაგოს მგდპ I-ს.

სამოქმედო სახელმძღვანელო განვითარებადი  
დოკუმენტია, რომელიც საჭიროებისამებრ  
პერიოდულად გადაისინჯება და კორექტირდება  
საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენლების,  
მსოფლიო ბანკისა და სხვა პოტენციურად  
დაინტერესებული მხარეების მიერ მგდპ II-ის  
განხორციელების შედეგების სათანადო  
მონიტორინგისა შესაბამისად.

## სარჩევი

### 0. შესავალი

- 0.1 საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი
  - 0.2 მგფ II-ის მიზანი
  - 0.3 სამოქმედო სახელმძღვანელოს დანიშნულება
- 

### ა განყოფილება: მგფ-ს ორგანიზაციული სტრუქტურა და შიდა მართვის პროცედურები

- 1. მგფ-ის საქმიანობის ზოგადი მიმოხილვა
  - 2. მგფ-ის ორგანიზაციული სტრუქტურა
    - 2.1 სამეთვალყურეო საბჭო: როლი და მოვალეობები
    - 2.2 აღმასრულებელი დირექტორი: როლი და მოვალეობები
    - 2.3 ცენტრალური ადმინისტრაციული დეპარტამენტი (ცად)
    - 2.4 ინვესტიციების და სესხის დეპარტამენტი (ისდ)
    - 2.5 ტექნიკური დახმარების დეპარტამენტი (ტდდ)
    - 2.6 მგფ-ის სამტატო განრივი
  - 3. პერსონალის მართვის პროცედურები
    - 3.1 ძირითადი პრინციპები
    - 3.2 შრომითი ხელშეკრულება
    - 3.3 შრომის ეთიკის პრინციპები
  - 4. მგფ-ის ფინანსური მართვა
    - 4.1 მგფ-ის ფინანსური რესურსები
    - 4.2 მგფ-ის ფინანსური რესურსების გამოყენება
    - 4.3 მგფ-ის საოპერაციო ხარჯების დაფინანსება
    - 4.4 ფინანსური მართვის და საბუღალტრო აღრიცხვის პრინციპები
    - 4.5 შიდა კონტროლი და აუდიტები
  - 5. ანგარიშგება
    - 5.1 პერიოდული ანგარიშგება
- 

### ბ განყოფილება: მგფ-ს საქმიანობა და პროცედურები

- 1. მგფ-ის საქმიანობის ძირითადი მიმართულებები
  - 1.1 საინვესტიციო პროექტების დაფინანსება
  - 1.2 ტექნიკური დახმარების დაფინანსება
- 2. ინვესტიციების დაფინანსების კრიტერიუმები
  - 2.1 უფლებამოსილი ორგანიზაციები
  - 2.2 ადგილობრივი მმართველობის ორგანოები: უფლებამოსილების კრიტერიუმები
  - 2.3 უფლებამოსილი საინვესტიციო პროექტები

- 3. პროექტის მომზადება
  - 3.1 საინვესტიციო პროექტები
  - 3.2 ტექნიკური დახმარების ღონისძიებები
- 4. პროექტის განხორციელება
  - 4.1 შესყიდვების სახელმძღვანელო პრინციპები
  - 4.2 განხორციელების ზედამხედველობა
  - 4.3 მონიტორინგი და შეფასება
- 5. პროექტის ფინანსური მართვა
  - 5.1 სპეციალური ანგარიშები
  - 5.2 ადგილობრივი ვალუტის ანგარიში
  - 5.3 საბუღალტრო აღრიცხვის პროცედურები

## დანართები

- დანართი 1 საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის დებულება
- დანართი 2 განვითარების ხელშეკრულება (გზ)
  - დამატება 1 – განსახორციელებელ ღონისძიებათა გეგმა
  - დამატება 2 – პრიორიტეტული პროექტების სია
  - დამატება 3 – საინვესტიციო პროექტებისა და ტექნიკური დახმარების პროგრამების დაფინანსების სახელმძღვანელო პრინციპები
    - დამატება 3/1 - პროექტის წარმოდგენის ფორმა
    - დამატება 3/2 - გარემოზე ზეგავლენის შეფასების სახელმძღვანელო პრინციპები
  - დამატება 4 – სესხის აღების შესაძლებლობის მაჩვენებლები
- დანართი 3 სასესხო ხელშეკრულების ფორმა
- დანართი 4 გარემოზე ზეგავლენის შეფასების სახელმძღვანელო პრინციპები კონტრაქტორებისათვის
- დანართი 5 გარემოზე ზეგავლენის მონიტორინგის გეგმის ნიმუში
- დანართი 6 ტექნიკური დავალება მგფ-ის ფინანსური უწყისების წლიური აუდიტისათვის
- დანართი 7 პროექტის მიმდინარეობის კვარტალური ანგარიშის ფორმა

# სამოქმედო სახელმძღვანელო

## 0. შესავალი

### 0.1 საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი (მფფ)

საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი (შემდგომში მფფ) საჯარო სამართლის იურიდიულ პირს წარმოადგენს, რომლის მიზანია მოახდინოს სახსრების მობილიზება შემდეგი ღონისძიებებისთვის – საერთაშორისო და საქართველოს ფინანსური ორგანიზაციები, ღონისძიებები და ქვეყნები, ეკონომიკური ორგანიზაციები, ცენტრალური და ადგილობრივი მთავრობები, და ხელმისაწვდომი გახადოს ამ სახსრების ადგილობრივ ინფრასტრუქტურაში და მომსახურებაში ინვესტირება, იმავდროულად კი ხელი შეუწყოს ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების<sup>1</sup> ინსტიტუციონალური და ფინანსური შესაძლებლობების გაძლიერების.

მფფ საქართველოს მთავრობის მიერ იქნა დაარსებული, პრეზიდენტის 1997 წლის 7 ივნისის №294 ბრძანებულებით. მის დანიშნულებას წარმოადგენს მუნიციპალური განვითარების და დეცენტრალიზაციის პირველი პროექტის (მგდპ I) საინვესტიციო კომპონენტის მართვა. მუნიციპალური განვითარების და დეცენტრალიზაციის მეორე პროექტის (მგდპ II) განსახორციელებლად საქართველოს მთავრობამ გადასინჯა მფფ-ის დებულება და პრეზიდენტის 2002 წლის 3 მაისის №210 და 2002 წლის 24 სექტემბრის №409 ბრძანებულებებით მგდპ II-ის მთლიანობაში განხორციელება დააკისრა (იხ. დებულება სამოქმედო სახელმძღვანელოს დანართ 1-ში).

თავისი საქმიანობისას მფფ ხელმძღვანელობს 1999 წლის 28 მაისის „საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ“ კანონით, საქართველოს სხვა კანონებით, საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებებითა და დადგენილებებით, საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციებთან, მათ შორის მსოფლიო ბანკთან და სხვა ღონისძიებებთან საქართველოს მთავრობის მიერ დადებული ხელშეკრულებებით, თავის დებულებით და ამ სამოქმედო სახელმძღვანელოს [სს] მითითებებით. მფფ-ს გააჩნია ფინანსური ავტონომია და საკუთარი საბანკო ანგარიში კომერციულ ბანკში. მას აქვს თავისი საკუთარი ბუჯეტი სახელმწიფო ღირებულებით და ქართულ-ინგლისური წარწერით. მისი სათაო ოფისი თბილისში მდებარეობს.

### 0.2 მგდპ II-ის მიზანი

მუნიციპალური განვითარების და დეცენტრალიზაციის მეორე პროექტი (მგდპ II) მგდპ I-ის საქმიანობის გამგრძელებელი პროექტია, რომელიც 2002 წლის 31 დეკემბერს დასრულდება. ისევე როგორც მისი წინამორბედი პროექტი, მგდპ II საქართველოს მთავრობისა და მსოფლიო ბანკის მიერ განსაზღვრულია, როგორც პირდაპირი გრძელვადიანი სესხის დამფინანსებელი პროექტი, რომელიც ადგილობრივ მმართველობებს და ადგილობრივ კომუნალურ საწარმოებს უზრუნველყოფს საინვესტიციო სახსრებით საქალაქო ინფრასტრუქტურისა და სამსახურების გასაუმჯობესებლად. პროექტი მიზნად ისახავს დაეხმაროს ადგილობრივ მმართველობებს სტაბილური განვითარებისაკენ გარდამავალ ეტაპზე. ამ მიზნით იგი აგრეთვე უზრუნველყოფს ტექნიკურ დახმარებას საქართველოს მთავრობისა და ადგილობრივი მმართველობებისათვის, რაც

<sup>1</sup> ადგილობრივი მმართველობებისა და ადგილობრივი საწარმოების მიმდინარე და მომავალი უფლებამოსილება ყოველი შემთხვევისათვის ინდივიდუალურად განისაზღვრება, საქართველოს კანონმდებლობის თანახმად

ძირითადად მიმართული იქნება ადგილობრივი მმართველობების გადამხდელუნარიანობის და ადგილობრივი მმართველობითი ორგანოების და საწარმოების ფინანსური მართვის შესაძლებლობებისა და მომსახურების გაუმჯობესებისა და ადგილობრივ დონეზე გადაწყვეტილების მიღებაში საზოგადოებრიობის მონაწილეობის გააქტიურებისაკენ.

### **0.3 სამოქმედო სახელმძღვანელოს დანიშნულება**

სამოქმედო სახელმძღვანელოს [სს] დანიშნულებას წარმოადგენს უზრუნველყოს სამეთვალყურეო საბჭო და მგფ-ს ხელმძღვანელობა იმ კურსითა და პროცედურებით, რომელთაც მათ მგდპ II-ის განხორციელებისას უნდა მისდიონ. გარდა ამისა, სახელმძღვანელოს გარკვეული სექციები მგფ-ის მიერ ადაპტირებული იქნება მისი კლიენტებისათვის გამოსაყენებლად, რომლებსაც წარმოადგენენ მონაწილე ადგილობრივი თვითმმართველობების ორგანოები და საქართველოს სამთავრობო ორგანიზაციები.

ზემოხსენებულის განხორციელების მიზნით, სს ორ ძირითად სექციად არის დაყოფილი:

- **ა განყოფილება** აღწერს მგფ-ს ორგანიზაციულ სტრუქტურას და შიდა მართვის პროცედურებს.
- **ბ განყოფილება** აღწერს მგფ-ის საქმიანობის წარმმართველ წესებსა და პროცედურებს და მგფ-ს ურთიერთობებს თავის კლიენტებთან.

## ა განყოფილება:

### მგფ-ს ორგანიზაციული სტრუქტურა და შიდა მართვის პროცედურები.

#### 1. მგფ-ს საქმიანობის ზოგადი მიმოხილვა


მგფ-ს საქმიანობა სამ ფართო კატეგორიას მოიცავს:

- ინვესტიციების დაფინანსება და სესხის გაცემა მგფ-ს კლიენტებზე შიდა და გარე დაფინანსების წყაროებიდან რესურსების მობილიზების და მგფ-ს მიერ გაცემული სესხების დაფარვიდან მიღებული სახსრების საშუალებით.
- ნაწილობრივ მგფ-ს სესხით დაფინანსებული საინვესტიციო პროექტების მართვა და განხორციელება მგფ-ს კლიენტების სახელით.
- ტექნიკური დახმარების უზრუნველყოფა სამთავრობო ორგანიზაციებისა და მგფ-ს კლიენტებისათვის, ინსტიტუციონალური განვითარებისა და მართვის უნარიანობის გაუმჯობესების პროგრამების განხორციელების მეშვეობით.

#### 2. მგფ-ს ორგანიზაციული სტრუქტურა

მგფ ოპერირებს სამეთვალყურეო საბჭოს ზედამხედველობის ქვეშ და აღმასრულებელი დირექტორის მიერ იმართება. იგი შემდეგი სამი ფუნქციონალურად ორგანიზებული დეპარტამენტისაგან შედგება:

- ცენტრალური ადმინისტრაციული განყოფილება (ცაგ);
- ინვესტიციების და სესხის დეპარტამენტი (ისდ);
- ტექნიკური დახმარების დეპარტამენტი (ტდდ)



## 2.1 სამეთვალყურეო საბჭო: როლი და მოვალეობები

სამეთვალყურეო საბჭოს როლი და მოვალეობები განსაზღვრულია საქართველოს პრეზიდენტის 2002 წლის 3 მაისის № 210 და 2002 წლის 24 სექტემბრის №409 ბრძანებულებებით.

საბჭოს ყოველი წევრი, ისევე როგორც საბჭოს ორი თანათავმჯდომარე თანამდებობაზე ინიშნება და/ან დაკავებული თანამდებობიდან თავისუფლდება საქართველოს პრეზიდენტის მიერ. სამეთვალყურეო საბჭოს წევრობა საპატიო მოვალეობაა და არ იძლევა ფინანსური კომპენსაციის ან რაიმე სხვა მატერიალური შემოსავლის საშუალებას. სამეთვალყურეო საბჭო თერთმეტი წევრისაგან შედგება, რომლებიც იმ სამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები არიან, რომელთაც ადგილობრივი მმართველობის საკითხებზე უწევთ მუშაობა და/ან პასუხისმგებელნი არიან საქართველოს საერთაშორისო ფინანსურ ურთიერთობებზე.

- საქართველოს პრეზიდენტთან არსებული უცხოური ინვესტიციების (საინვესტიციო) საკონსულტაციო საბჭოს მდივანი;
- ადგილობრივი მმართველობისა და რეგიონალური პოლიტიკის საპარლამენტო კომისია;
- სახელმწიფო კანცელარიის რეგიონალური პოლიტიკისა და მართვის სამსახური;
- სახელმწიფო კანცელარიის ეკონომიკური რეფორმებისა და საერთაშორისო დონორებთან მუშაობის სამსახური;
- ფინანსთა სამინისტრო;
- ეკონომიკის, ვაჭრობის და მრეწველობის სამინისტრო;
- საქართველოს პრეზიდენტის რეგიონალური წარმომადგენელი;
- რესპუბლიკური დაქვემდებარების ქალაქები (2 წარმომადგენელი);
- ადგილობრივი თვითმმართველობები (2 წარმომადგენელი).

ცვლილების შეტანა ზემომოყვანილ სიაში, რაც შესაძლოა საქართველოს მთავრობის სტრუქტურაში მომავალი ცვლილებების ასახვისათვის გახდეს საჭირო, შესაძლებელი იქნება მხოლოდ მსოფლიო ბანკთან და მფ-ს სხვა დონორებთან წინასწარი კონსულტაციების შემდეგ.

პრეზიდენტის აღნიშნული ბრძანებულების თანახმად, სამეთვალყურეო საბჭოს მოვალეობებში შედის:

- ა) მფ-ს სამოქმედო სახელმძღვანელოს განხილვა და დამტკიცება, ისევე როგორც აღნიშნულ სახელმძღვანელოში შესატანი ცვლილებებისა და შესწორებების დამტკიცება;
- ბ) მფ-ს გრძელვადიანი ბიზნეს გეგმის განხილვა და დამტკიცება, ისევე როგორც აღნიშნულ გეგმაში შესატანი ცვლილებებისა და შესწორებების დამტკიცება.
- გ) განვითარების საპროექტო ხელშეკრულებების, სასესხო ხელშეკრულებების და მფ-ის სხვა საკონტრაქტო დოკუმენტების პირობების განხილვა და დამტკიცება;
- დ) მფ-ის წლიური ბიუჯეტის, საშტატო განრიგისა და თანამდებობრივი სარგოების და/ან ბიუჯეტში ცვლილებების განხილვა და დამტკიცება მსოფლიო ბანკთან წინასწარი კონსულტაციების შემდეგ;
- ე) მფ-ის მიერ საქართველოს მთავრობასთან, მსოფლიო ბანკთან, სხვა საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციებთან და ორმხრივ ან მრავალმხრივ დონორებთან დადებული ხელშეკრულებების განხილვა და დამტკიცება მთავრობის შესაბამისი წარმომადგენლების მიერ უფლებამოსილების მინიჭების შემდეგ;

ვ) მგფ-ის სესხის პირობებში შეტანილი ცვლილებების განხილვა და დამტკიცება, სესხის გადახდის ვადებში, საპროცენტო განაკვეთებსა და გადასახადებში შეტანილი ცვლილებების ჩათვლით;

ზ) მგფ-ის სესხებისა და გრანტების დამტკიცება ადგილობრივი მმართველობების მიერ წარმოდგენილი საინვესტიციო პროექტებისათვის;

თ) მგფ-ის მიერ განსახორციელებელი ტექნიკური დახმარების და ტრენინგის პროგრამების განხილვა და დამტკიცება;

ი) მგფ-ის მიერ პროექტის პორტფელის სტატუსზე, გატარებულ ღონისძიებებზე, წლიური ბიუჯეტის შესრულებაზე, ფინანსურ მდგომარეობაზე და/ან საჭიროებისამებრ სხვა საკითხებზე წარსადგენი კვარტალური ან სხვა პერიოდული და ერთჯერადი ანგარიშების განხილვა;

კ) გარე აუდიტორების დანიშვნა და წლიურ სააუდიტორო ანგარიშში მოცემული რეკომენდაციებისა და დასკვნების დამტკიცება;

საბჭო იკრიბება სამ თვეში ერთხელ მაინც ან საჭიროებისამებრ საბჭოს ერთ-ერთი თანათამჯდომარის მიერ მოწვევისას.

სამეთვალყურეო საბჭო უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება იმ შემთხვევაშიც კი, თუ სხდომას ესწრება წევრების ორი მესამედი მაინც. სამეთვალყურეო საბჭოს თითოეულ წევრს მხოლოდ ერთი ხმის უფლება აქვს. საბჭო გადაწყვეტილებებს შეხვედრაზე დამსწრე წევრების ხმების უბრალო უმრავლესობით იღებს. თანაბარი ხმების შემთხვევაში, თავმჯდომარეს შეუძლია გამოიყენოს ხელახალი კენჭისყრის უფლება. თუ თავმჯდომარე გადაწყვეტს არ გამოიყენოს ეს უფლება, წინადადება ამოღებული იქნება დღის წესრიგიდან.

ყოველ სხდომაზე დგება ოქმი, რომელიც ასახავს სხდომის დროს განხილულ ყველა საკითხს და მიღებულ გადაწყვეტილებას. მგფ-ის აღმასრულებელი დირექტორი მოამზადებს ოქმს სხდომიდან 5 სამუშაო დღის ვადაში, სხდომაზე დამსწრე საბჭოს ყველა წევრთან შეთანხმების შემდეგ. სამეთვალყურეო საბჭოს ყველა წევრს უფლება აქვს მოითხოვოს თავისი დამოუკიდებელი მოსაზრების დაფიქსირება სხდომის ოქმში.

## 2.2 აღმასრულებელი დირექტორი: როლი და მოვალეობები

მგფ-ს აღმასრულებელ დირექტორს თანამდებობაზე ნიშნავს და/ან ათავისუფლებს საქართველოს პრეზიდენტი. მგფ-ს აღმასრულებელი დირექტორი საქართველოს მოქალაქე უნდა იყოს და უნდა გააჩნდეს თანამდებობის შესაბამისი პროფესიონალური და მართვის გამოცდილება.

მგფ-ს აღმასრულებელი დირექტორის ვალდებულებები ქვემოთ არის განსაზღვრული:

- (ა) მართავს მგფ-ის ყოველდღიური საქმიანობა;
- (ბ) წარმოადგენს მგფ-ს სამთავრობო ორგანიზაციებთან, ადგილობრივი მმართველობის ორგანოებთან, საერთაშორისო საფინანსო დაწესებულებებთან და ორმხრივ ან მრავალმხრივ ღონისძიებებთან ურთიერთობისას და ხელს აწერს ნებისმიერი სახის კორესპონდენციას და/ან შეთანხმებებს ზემოხსენებულ ორგანიზაციებთან.
- (გ) ამზადებს მგფ-ის გრძელვადიან ბიზნეს გეგმას და მასში შესატან ნებისმიერ ცვლილებებს;

- (დ) კოორდინირებას უწევს მგფ-ის სამოქმედო სახელმძღვანელოს და მასში შესატანი ნებისმიერი ცვლილებების მომზადებას და დასამტკიცებლად წარუდგენს მას სამეთვალყურეო საბჭოს;
- (ე) სამოქმედო სახელმძღვანელოში განსაზღვრული ორგანიზაციული სტრუქტურის შესაბამისად თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს მგფ-ის თანამშრომლებს;
- (ვ) აფორმებს შრომით ხელშეკრულებებს მგფ-ის თანამშრომლებთან;
- (ზ) ანაწილებს ფუნქციებს თანამშრომლებს შორის, სამოქმედო სახელმძღვანელოში განსაზღვრული სტრუქტურის შესაბამისად;
- (თ) იქირავებს სათანადო კონსულტანტებს კონტრაქტების საფუძველზე კონკრეტული დროებითი სამუშაოს შესასრულებლად;
- (ი) სამეთვალყურეო საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგენს მგფ-ის წლიურ ბიუჯეტს (და/ან მასში შეტანილ ცვლილებებს) და მეთვალყურეობას უწევს მის შესრულებას;
- (კ) ამზადებს სამეთვალყურეო საბჭოს სპეციალურ სხდომებს;
- (ლ) მონაწილეობს სამეთვალყურეო საბჭოს სხდომებში, ხმის უფლების გარეშე;
- (მ) ამზადებს სამეთვალყურეო საბჭოზე განსახილველ საკითხებს და აღნიშნული სხდომების ოქმებს;
- (ნ) მგფ-ის სახელით ხელს აწერს მგფ-ის მიერ დაფინანსებული ინვესტიციების ან ტექნიკური დახმარების პროექტების განხორციელებასთან დაკავშირებულ სასესხო და/ან საგრანტო ხელშეკრულებებს და სხვა ოფიციალურ დოკუმენტებს, მათ შორის სამუშაოების, საქონლის და მომსახურების შესყიდვებთან დაკავშირებულ კონტრაქტებს;
- (ო) ხელს აწერს მგფ-ის ფინანსურ ოპერაციებთან დაკავშირებულ ნებისმიერ დოკუმენტს;
- (პ) უზრუნველყოფს მჭიდრო კოორდინაციას მგფ-ის მიერ დაფინანსებულ საინვესტიციო ღონისძიებებსა და ტექნიკურ დახმარებას შორის;
- (ჟ) კოორდინაციას უწევს მგფ-ის მიერ დაფინანსებულ ტექნიკური დახმარებისა და ტრენინგის პროგრამების იდენტიფიკაციას, მომზადებასა და განხორციელებას, აგრეთვე ახორციელებს მგფ-ის საინვესტიციო და ტექნიკური დახმარების პროგრამების მონიტორინგსა და შეფასებას;
- (რ) ხელს აწერს ტექნიკურ-ეკონომიკურ შეფასებებს და სხვა დოკუმენტებს, მათ შორის მსოფლიო ბანკის უსაფრთხოების პოლიტიკასთან, მსოფლიო ბანკის შესყიდვების სახელმძღვანელო პრინციპებთან და შესაბამის სამთავრობო კანონებთან შესატყვისობის დამადასტურებელ დოკუმენტებს (სხვა წყაროებიდან დაფინანსების შემთხვევაში კი შესაბამისი დონორების მოთხოვნების შესაბამისად), რომლებიც მგფ-ის მიერ დასაფინანსებელი საინვესტიციო და ტექნიკური დახმარების პროექტების დამტკიცების მიზნით სამეთვალყურეო საბჭოსადმი წარსადგენი რეკომენდაციების საფუძველს წარმოადგენენ;
- (ს) ამზადებს სამეთვალყურეო საბჭოსადმი წარსადგენ რეკომენდაციებს მგფ-ის მიერ დასაფინანსებელ საინვესტიციო და ტექნიკური დახმარების პროექტებთან დაკავშირებით;
- (ტ) მონიტორინგს უწევს პროექტის საერთო მიმდინარეობას;
- (უ) ამზადებს სამეთვალყურეო საბჭოსადმი, საქართველოს მთავრობისადმი და/ან მსოფლიო ბანკისადმი და/ან ნებისმიერი სხვა დონორისადმი წარსადგენ კვარტალურ ანგარიშებს, ისევე როგორც სხვა ნებისმიერ პერიოდულ და ერთჯერად ანგარიშებს და/ან სამეთვალყურეო საბჭოს, საქართველოს მთავრობის და/ან მსოფლიო ბანკის და/ან სხვა დონორების მიერ მოთხოვნილ მგფ-ის საქმიანობასთან დაკავშირებულ დოკუმენტებს.

(ფ) შეარჩევს და დაიქირავებს გარე აუდიტორებს მგფ-ის ფინანსური უწყისების წლიური აუდიტის ჩასატარებლად და პასუხისმგებელია ამ აუდიტორებისათვის წარდგენილი დოკუმენტაციის სისწორეზე.

გარდა ამისა, მგფ-ს აღმასრულებელი დირექტორი პასუხისმგებელია

(ქ) ინვესტიციების და ტექნიკური დახმარების პროგრამების განხორციელების მონიტორინგისა და შეფასების სისტემების დაწესებაზე და ამგვარი მონიტორინგისა და შეფასების ეფექტური განხორციელების მეთვალყურეობაზე;

## 2.3 ცენტრალური ადმინისტრაციული განყოფილება (ცაგ)

### 2.3.1 ცენტრალური ადმინისტრაციული განყოფილება (ცაგ): ორგანიზაციული სტრუქტურა

ცაგ, თავის მხრივ, ოთხი რგოლისაგან შედგება, რომელიც ანგარიშვალდებულია აღმასრულებელი დირექტორის წინაშე და უშუალოდ მისი მეთვალყურეობის ქვეშ ფუნქციონირებს:

- შესყიდვების რგოლი
- ფინანსური მართვის რგოლი
- საზოგადოებასთან ურთიერთობის რგოლი
- ადმინისტრაციული დამხმარე რგოლი

### 2.3.2 ცენტრალური ადმინისტრაციული განყოფილება (ცაგ): როლი და მოვალეობები

#### 2.3.2.1 შესყიდვების რგოლი

შესყიდვების რგოლის მოვალეობებს წარმოადგენს: მგფ-ის კლიენტების სახელით და ისდ-სა და ტდდ-სთან მჭიდრო კოორდინაციის საფუძველზე განახორციელოს შესყიდვები საინვესტიციო პროექტებისა და ტექნიკური დახმარების პროგრამებისათვის მსოფლიო ბანკის შესყიდვების სახელმძღვანელო პრინციპების თანახმად, რაც სს-ს B 4 განყოფილებაში არის განსაზღვრული, ხოლო დაფინანსების სხვა დონორებისაგან მიღების შემთხვევაში, იმოქმედოს მათი შესაბამისი ინსტრუქციებისა და წესების თანახმად. კერძოდ კი, ცაგ/შესყიდვების რგოლი:

- (ა) მოამზადებს საკონკურსო დოკუმენტაციას ყველა სახის სამუშაოების, საქონლის, და/ან მომსახურების შესყიდვებისათვის მგფ-ის მიერ დაფინანსებული საინვესტიციო და ტექნიკური დახმარების პროექტების ფარგლებში;
- (ბ) ორგანიზებას გაუკეთებს საჭირო ინფორმაციის გამოქვეყნებას, საბოლოო სიების მომზადებას, და საკონკურსო ვაჭრობაზე მოწვევის წერილების მომზადებას;
- (გ) მიიღებს, გახსნის და შეაფასებს საკონკურსო წინადადებებს და წინადადებებს საკონსულტაციო მომსახურების შესახებ;
- (დ) მოამზადებს კონტრაქტებს მგფ-ის აღმასრულებელი დირექტორისათვის ხელმოსაწერად;
- (ე) უზრუნველყოფს ყველა კონტრაქტის, კონტრაქტის დამატების და შესაბამისი კორექციონების სათანადოდ აღრიცხვასა და არქივში შენახვას.

### 2.3.2.2 ფინანსური მართვის რგოლი

ცაგ/ფინანსური მართვის რგოლის მოვალეობებს წარმოადგენს: განახორციელოს მგფ-ის ფინანსურ მართვასთან დაკავშირებული ყველა ღონისძიება საქართველოს კანონმდებლობის და მსოფლიო ბანკის ფინანსური მართვის ინსტრუქციების შესაბამისად, რაც სს-ს B 4 და B 5 განყოფილებებში არის განსაზღვრული, ხოლო დაფინანსების სხვა დონორებისაგან მიღების შემთხვევაში, იმოქმედოს მათი შესაბამისი ინსტრუქციებისა და წესების თანახმად. კერძოდ კი, ცაგ/ფინანსური მართვის რგოლი:

- (ა) მოამზადებს მგფ-ს წლიურ ბიუჯეტს, გააკონტროლებს მის შესრულებას და მოამზადებს ყოველკვირეულ ანგარიშებს ფინანსური მდგომარეობის შესახებ მგფ-ს აღმასრულებელი დირექტორისათვის წარსადგენად;
- (ბ) მოამზადებს კვარტალურ ანგარიშებს ბიუჯეტის შესრულებასთან დაკავშირებით სამეთვალყურეო საბჭოსათვის, სხვა სამთავრობო ორგანიზაციებისათვის, მსოფლიო ბანკისათვის და/ან საჭიროების შემთხვევაში სხვა დონორებისათვის წარსადგენად.
- (გ) გასწევს მგფ-ს საერთო ფინანსური მდგომარეობის მეთვალყურეობას, რაც გულისხმობს შემოსავლებისა და დანახარჯების, ვალის, სასესხო პორტფელის შესრულების, სესხიდან შემოსული თანხებისა და დავალიანებების შეფასებას და შესაბამისი მოკლე-, საშუალო- და გრძელვადიანი პროგნოზების, და შესრულებისა და რისკის ფაქტორის შეფასებების მომზადებას;
- (დ) მოამზადებს წლიური ხარჯვის გეგმებს მსოფლიო ბანკის (სგა) საკრედიტო ანგარიშისათვის, და/ან სხვა წყაროებიდან დაფინანსების შემთხვევაში კი სხვა დონორებისათვის საჭირო შესაბამის დოკუმენტებს;
- (ე) მართავს მგფ-ს ანგარიშებს, მათ შორის სპეციალურ ანგარიშს, საბუღალტრო აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების, საქართველოს კანონმდებლობისა და წესების და მსოფლიო ბანკის ფინანსური მართვის ინსტრუქციების და/ან საჭიროებისამებრ სხვა დონორების მოთხოვნების შესაბამისად;
- (ვ) განახორციელებს მგფ-ის ყველა ფინანსურ ოპერაციას, მათ შორის აკრეფს ყველა მოსაკრებელს, გადასახადს, სესხის გადახდებს და მგფ-სათვის განკუთვნილ სხვა შემოსავლებს; აწარმოებს გადახდებს მგფ-ს მოიჯარადეებისათვის და სამთავრობო ორგანიზაციებისათვის; ხელფასების და მგფ-ს სხვა საოპერაციო ხარჯების გადახდებს; და სპეციალური ანგარიშის შევსების მოთხოვნებს.
- (ზ) განახორციელებს ყველა გადახდებს და სხვა ფინანსურ ოპერაციებს მგფ-ს მიერ თავისი კლიენტების სახელზე განხორციელებული პროექტების კონტრაქტების ფარგლებში;
- (თ) კოორდინაციას გაუწევს დამოუკიდებელი გარე აუდიტორების დანიშვნასა და მათთან ხელშეკრულების გაფორმებას და მოამზადებს საჭირო დოკუმენტაციას წლიური აუდიტების ჩასატარებლად.
- (ი) შეაგროვებს ყველანაირ საჭირო მონაცემებს იმ ადგილობრივი თვითმმართველობების გადამხდელუნარიანობის შესაფასებლად, რომლებიც მგფ-ს მიერ საინვესტიციო პროექტების დაფინანსებას ითხოვენ, განახორციელებს ყველა აუცილებელ გაანგარიშებებსა და პროგნოზირებას; და შესაბამის რეკომენდაციებს მიაწოდებს მგფ-ს აღმასრულებელ დირექტორს;

- (კ) მონიტორინგს გაუწევს მგფ-ს არსებული კლიენტების ფინანსურ შესრულებას და საჭიროების შემთხვევაში შეატყობინებს მგფ-ს აღმასრულებელ დირექტორს სესხის გადაუხდელობის შესაძლო რისკის შესახებ.
- (ლ) ითანამშრომლებს ისლ-სთან განვითარების საპროექტო ხელშეკრულებებისა (გსხ) და მგფ-ს კლიენტებთან დადებული საკრედიტო ხელშეკრულებების (სხ) მომზადებისა და განხილვის პროცესში.
- (მ) დაეხმარება ისლ-ს შემოთავაზებული ინვესტიციების ფინანსური სიცოცხლისუნარიანობის შეფასებაში.

### 2.3.2.3 საზოგადოებასთან ურთიერთობის რგოლი

ცაგ/საზოგადოებასთან ურთიერთობის რგოლის მოვალეობებს წარმოადგენს: უზრუნველყოს საქართველოს ხელისუფლებისა და მოსახლეობის სათანადო ინფორმირებულობა მგფ-ს საქმიანობასა და მიღწევებთან დაკავშირებით, და განახორციელოს მგფ-ს პროდუქციის მარკეტინგი, რაც საჭიროა მგფ-ს საქმიანობის იმ დონეზე შესანარჩუნებლად, რომელიც მისი გრძელვადიანი ხანგამძლეობისათვის იქნება საკმარისი. კერძოდ კი, ცაგ/საზოგადოებასთან ურთიერთობის რგოლი:

- (ა) დაამყარებს და შეინარჩუნებს მუდმივ კონტაქტს საქართველოს და საჭიროებისამებრ საერთაშორისო მასმედიასთან და უზრუნველყოფს მგფ-ს საქმიანობის სათანადოდ გაშუქებას;
- (ბ) უზრუნველყოფს მჭიდრო კონტაქტს საერთაშორისო დონორების წარმომადგენლებთან და მათ ინფორმირებულობას მგფ-ს საქმიანობასთან და თანამშრომლობის პერსპექტივებთან დაკავშირებით;
- (გ) მოამზადებს მგფ-ს პროდუქციისა და პროცედურების დოკუმენტაციასა და სარეკლამო მასალას და უზრუნველყოფს მის გავრცელებას ადგილობრივ მმართველობებში;
- (დ) დაამყარებს და შეინარჩუნებს უშუალო კონტაქტს ადგილობრივი მმართველობების ხელმძღვანელობასთან, რაც მგფ-ს ხელმძღვანელობის ვიზიტების, სემინარების ორგანიზების და კომუნიკაციის სხვა ფორმების გამოძენის საშუალებით განხორციელდება.

### 2.3.2.4 ადმინისტრაციული დამხმარე რგოლი

ცაგ/ადმინისტრაციული დამხმარე რგოლის მოვალეობებს წარმოადგენს: უზრუნველყოს სამდივნო და მატერიალურ-ტექნიკური დახმარება, რომელიც მგფ-ს ეფექტური ფუნქციონირებისათვის არის საჭირო. კერძოდ კი, ცაგ/ადმინისტრაციული დამხმარე რგოლი:

- (ა) გაუწევს სამდივნო მომსახურებას სამეთვალყურეო საბჭოსა და მგფ-ს აღმასრულებელ დირექტორს; ხოლო საჭიროებისამებრ ისლ-სა და ტდლ-ს;
- (ბ) უზრუნველყოფს სამდივნო მომსახურების ეფექტურ ხარისხის კონტროლს;
- (გ) კოორდინაციას გაუწევს მგფ-ს ყველა ანგარიშის მასალების მომზადებას;
- (დ) უზრუნველყოფს ზეპირ და წერილობით თარგმანს მგფ-ს ყველა დეპარტამენტისათვის;
- (ე) უზრუნველყოფს ტრანსპორტირებას და სხვა სახის დამხმარე მომსახურებას;
- (ვ) ამოქმედებს და მოემსახურება მგფ-ს მართვის და საინფორმაციო სისტემებს (მსს).

## 2.4 ინვესტიციების და სესხის დეპარტამენტი (ისდ)

### 2.4.1 ინვესტიციების და სესხის დეპარტამენტი (ისდ): როლი და მოვალეობები

ისდ-ს მოვალეობებში შედის მგფ-ს სასესხო პორტფელის მართვა და ცაგ-ის შესაბამის რგოლებთან მჭიდრო კოორდინაციის და/ან თანამშრომლობის საფუძველზე საინვესტიციო პროექტების მომზადება მგფ-ს კლიენტებისათვის, დაფინანსებაზე განაცხადებისათვის მსვლელობის მიცემა, და პროექტის განხორციელების მართვა მგფ-ს კლიენტების სახელით. ისდ ორი რგოლისაგან იქნება შემდგარი:

- ინვესტიციების პორტფელის მართვა (იპმ)
- განხორციელების ზედამხედველობის რგოლი (გზრ)

კერძოდ კი, ისდ იპმ-სა და გზრ-ს საშუალებით:

- დაეხმარება მგფ-ს პერსპექტიულ კლიენტებს განსაზღვრონ საინვესტიციო საპროექტო წინადადებები და შესაბამისი მოთხოვნები დაფინანსების შესახებ, განვითარების საპროექტო ხელშეკრულებების (გსხ) მომზადების ჩათვლით;
- უზრუნველყოფს ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთებების მომზადებას, სს-ს ბ განყოფილებაში განსაზღვრული კრიტერიუმების შესაბამისად;
- შეაფასებს ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთებების შედეგებს და დადებითი დასკვნის შემთხვევაში, რეკომენდაციას გაუწევს მას მგფ-ს აღმასრულებელ დირექტორთან მგფ-ს შემდგომი მონაწილეობისათვის;
- კოორდინაციას გაუწევს ყველა საჭირო წინასწარი და დეტალური ტექნიკური და საპროექტო გაანგარიშებების განხორციელებას;
- ცაგ-ის შესყიდვების და ფინანსური მართვის რგოლებთან მჭიდრო კოორდინაციის საფუძველზე განახორციელებს შემოთავაზებული ინვესტიციების ტექნიკური, ფინანსური და ეკონომიკური სიცოცხლისუნარიანობის საბოლოო შეფასებას, უდაბლესი ფასის ალტერნატივების განხილვისა და ეკონომიკური შეფასების (ეკონომიკური ამოგების განაკვეთის, მიმდინარე წმინდა ღირებულების, მოგება დანახარჯის ანალიზი და ა.შ.) ჩათვლით;
- განახორციელებს და/ან გადასინჯავს (იმ შემთხვევაში თუ ამგვარი სამუშაო ადგილობრივმა მმართველობამ ჩაატარა) გარემოზე და სოციალური ზეგავლენის ყველა საჭირო შეფასებას, განსაზღვრავს სავარაუდოდ საჭირო შემამსუბუქებელ ზომებს და მეთვალყურეობას გაუწევს მათ განხორციელებას.
- შეამოწმებს რაიმე პოტენციური კონფლიქტის არსებობას მსოფლიო ბანკის უსაფრთხოების კურსთან, ხოლო სხვა წყაროდან დაფინანსების შემთხვევაში, სხვა დონორების ანალოგიურ მოთხოვნებთან შესატყვისობას;
- დაადგენს ყველა საინვესტიციო წინადადების შესატყვისობას შესაბამისი სამინისტროების წესებთან და/ან მოთხოვნებთან და უზრუნველყოფს ყველა საჭირო ნებართვისა და ლიცენზიის მოპოვებას;
- მოამზადებს მგფ-ს სამეთვალყურეო საბჭოს მიერ მგფ-ს სესხისა და გრანტის დაფინანსების დასამტკიცებლად საჭირო საპროექტო დოკუმენტაციას;
- აწარმოებს მოლაპარაკებებს მგფ-ს კლიენტებთან სესხის პირობების თაობაზე და მგფ-ს აღმასრულებელ დირექტორს ხელმოსაწერად მოუმზადებს საკრედიტო ხელშეკრულებებს;

- (ლ) დაეხმარება ცაგ-ის შესყიდვების რგოლს შესყიდვებისათვის საჭირო დოკუმენტაციის მომზადებაში;
- (მ) დაეხმარება ცაგ-ის შესყიდვების რგოლს საკონკურსო წინადადებების შეფასებაში და სამუშაოების და საქონლის კონტრაქტების მომზადებასა და დადებაში;
- (ნ) გასწევს ობიექტების ზედამხედველობას საინვესტიციო პროექტების განხორციელებისას და უზრუნველყოფს სამუშაოების და საქონლის კონტრაქტების სათანადოდ მართვას;
- (ო) დაადასტურებს მოიჯარადეების და/ან მომწოდებლების მიერ წარმოდგენილ გადახდის მოთხოვნებს;
- (პ) მეთვალყურეობას გაუწევს მგფ-ის მიერ საინვესტიციო პროექტების განხორციელების ზედამხედველობისათვის აყვანილი კონსულტანტების საქმიანობას;
- (ჟ) შეინარჩუნებს მჭიდრო და მუდმივ კონტაქტს მგფ-ს კლიენტებთან და უზრუნველყოფს წინასწარ კონსულტაციებს იმ ნებისმიერი ცვლილების ან სხვა გადაწყვეტილების თაობაზე, რომელმაც შესაძლოა რაიმე გავლენა იქონიოს ინვესტიციების განხორციელების გრაფიკზე, ხარჯებზე, ან საოპერაციო შედეგებზე;
- (რ) მოამზადებს პერიოდულ განხორციელების მსვლელობის ანგარიშებს მგფ-ს აღმასრულებელი დირექტორისათვის;
- (ს) დასრულებისას უზრუნველყოფს ინვესტიციების გადაცემას მგფ-ს კლიენტებისათვის; მოამზადებს ინვესტიციის დასრულების ანგარიშს და შეუთანხმდება მგფ-ს კლიენტს ინვესტიციების გამოყენების და ექსპლუატაციის პირობების მუდმივი მონიტორინგის სისტემის დაწესებაზე.

## 2.5 ტექნიკური დახმარების დეპარტამენტი (ტდდ)

### 2.5.1 ტდდ: როლი და მოვალეობები:

ტდდ-ს მოვალეობას წარმოადგენს მართოს ტექნიკური დახმარების ყველა ღონისძიება, რომელიც მგფ-მა უნდა განახორციელოს მგდპ II-ის დაფინანსებით, და/ან მსოფლიო ბანკის, სხვა საერთაშორისო საფინანსო დაწესებულებების, ან მრავალმხრივი და ორმხრივი დონორების მიერ დაფინანსებული სხვა პროგრამები. კერძოდ კი, ტდდ:

- (ა) განსაზღვრავს მგფ-ს კლიენტი ადგილობრივი მმართველობებისათვის ტექნიკური დახმარების, ტრენინგის და საკონსულტაციო მომსახურების პროგრამებს, რომლებიც მგფ-ს მიერ იქნება დაფინანსებული მგდპ II-ის ფარგლებში, ან სხვა დონორების და/ან გარე წყაროების მიერ და უზრუნველყოფს მათ შესაბამისობას მგფ-ს საინვესტიციო საქმიანობასთან;
- (ბ) მგფ-ს აღმასრულებელი დირექტორთან შეთანხმებისამებრ, ტექნიკური დახმარების და ტრენინგის პროგრამების დაფინანსების მიზნით, დაამყარებს კონტაქტს სხვა დონორებთან;
- (გ) მოამზადებს ტექნიკურ დავალებას მგდპ II-ის ფარგლებში ან სხვა წყაროებიდან დაფინანსებული ამგვარი პროგრამებისათვის;
- (დ) განახორციელებს ტექნიკური დახმარებისა და ტრენინგის პროგრამებს იმ სამთავრობო დაწესებულებებისათვის, რომლებიც ადგილობრივი მმართველობითი ორგანოების მართვის სხვადასხვა ასპექტების ზედამხედველობას ეწევიან;

- (ე) დაეხმარება ცაგ-ს საჭირო მომსახურების შესყიდვებში, მსოფლიო ბანკის ინსტრუქციების, ან სხვა სხვა წყაროდან დაფინანსების შემთხვევაში, შესაბამისი დონორების შესყიდვების ინსტრუქციების შესაბამისად;
- (ვ) ზედამხედველობას გაუწევს ყველა ამგვარი პროგრამის განხორციელებას;
- (ზ) მოამზადებს პერიოდულ განხორციელების მსვლელობის ანგარიშებს მგფ-ს აღმასრულებელი დირექტორისათვის;
- (თ) მონიტორინგს გაუწევს და შეაფასებს ტექნიკური დახმარებისა და ტრენინგის პროგრამების შედეგებს;
- (ი) თვალყურს ადევნებს საქართველოს ადგილობრივი მმართველობის სისტემის ინსტიტუციონალური და სამართლებრივი სტრუქტურის განვითარებას და აწარმოებს შესაბამის მონაცემთა ბაზას;
- (კ) განსაზღვრავს, მოამზადებს და უზრუნველყოფს პროფესიონალური ტრენინგის პროგრამების და სემინარების ჩატარებას მგფ-ს თანამშრომლებისათვის. ეს პროგრამები შეეხება პროექტის განხორციელების სხვადასხვა ასპექტებს და შეიცავს, მაგრამ არ ამოიწურება ინვესტიციების ტექნიკურ, ფინანსურ და ეკონომიკურ შეფასებას, გარემოზე ზეგავლენის და სოციალურ შეფასებებს.

## 2.6 მგფ-ს საშტატო განრიგი

მგფ-სათვის საჭირო საშტატო ადგილების წინასწარი სია მხოლოდ მაჩვენებელია და მგფ-ს მიერვე შესწორდება გამოვლენილი საჭიროებების თანახმად და მსოფლიო ბანკთან და/ან სხვა დონორებთან წინასწარი შეთანხმების საფუძველზე. წინასწარი საშტატო განრიგი:

- აღმასრულებელი დირექტორის სამსახური
  - აღმასრულებელი დირექტორი
  - მდივანი
- ცენტრალური ადმინისტრაციული განყოფილება (ცაგ)

### შესყიდვების რგოლი

- შესყიდვების მენეჯერი
- ასისტენტები (2)

### ფინანსური მართვის რგოლი

- ფინანსური მენეჯერი
- ბუღალტერი
- გადარიცხვების სპეციალისტი
- ადგილობრივი ფინანსების ანალიზის სპეციალისტი

### საზოგადოებასთან ურთიერთობის რგოლი

- საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი

### ადმინისტრაციული დამხმარე რგოლი

- ოფისის მენეჯერი
- საინფორმაციო სისტემების მართვის სპეციალისტი
- მდივანი
- თარჯიმანი
- მძღოლი (2)

- ინვესტიციების და სესხის დეპარტამენტი (ისდ)

- დირექტორი/პორტფელის მენეჯერი
- ეკონომისტი
- ტექნიკური მენეჯერი/გარემოს სპეციალისტი
- სამშენებლო სამუშაოების ზედამხედველები (კონსულტანტები)

- ტექნიკური დახმარების დეპარტამენტი (ტდდ)

- დირექტორი
- ინსტიტუციონალური განვითარების სპეციალისტი
- ადგილობრივი ტრენინგის სპეციალისტი
- ფინანსური და ტექნიკური მართვის სპეციალისტი
- ასისტენტი

### 3. პერსონალის მართვის პროცედურები

#### **3.1 ძირითადი პრინციპები**

3.1.1 მფგ-ს პერსონალის სამუშაოზე აყვანა და მართვა მხოლოდ საქართველოში არსებული კანონებისა და შრომითი კანონმდებლობის შესატყვისად უნდა წარმოებდეს.

3.1.2 კანდიდატურების ხელმძღვანელ თანამდებობებზე დანიშვნა [ე.ი. აღმასრულებელი დირექტორი და დეპარტამენტების დირექტორები] მსოფლიო ბანკის და/ან მფგ-ს საქმიანობასთან დაკავშირებული სხვა დონორების მიერ დამტკიცებას საჭიროებს.

#### **3.2 შრომითი ხელშეკრულება**

შენიშვნა: 3.2.1. და 3.2.2 პუნქტებში მოცემული პირობები არ ვრცელდება მფგ-ს არსებულ თანამშრომლებზე, არამედ მხოლოდ ახალი თანამშრომლებისათვის გამოიყენება, რომელთა სამუშაოზე აყვანაც მგლპ II-ის ძალაში შესვლამდე და/ან ძალაში შესვლის შემდეგ განხორციელდა.

### 3.2.1 თანამშრომლების სამუშაოზე აყვანა

- (ა) მგფ-ს თანამშრომლების შერჩევა: მგფ-ს თანამშრომლობის ყველა კანდიდატი უნდა ფლობდეს სალაპარაკო ქართულს და ასევე კითხულობდეს და წერდეს ამ ენაზე, მას უნდა ჰქონდეს კომპიუტერზე მუშაობის ელემენტარული გამოცდილება მაინც. ხელმძღვანელ თანამდებობებზე მყოფ თანამშრომლებს უნდა ჰქონდეთ სამუშაო ინგლისურის კარგი ცოდნა და შეეძლოთ სრულად გაერკვიონ ზეპირ და წერილობით კომუნიკაციებში და/ან დოკუმენტებში. ნებისმიერი თანამდებობის კანდიდატს უნდა გააჩნდეს მოქალაქეობის სრული უფლება და იყოს სრულწლოვანი. მგფ-ს არც ერთ თანამშრომელს არა აქვს უფლება დაიკავოს რაიმე სხვა თანამდებობა სახელმწიფო სექტორის სხვა რომელიმე ორგანიზაციაში.
- (ბ) სამუშაოზე აყვანის პროცედურები: მგფ-ს პერსონალის სამუშაოზე აყვანა უნდა ხდებოდეს კონკურსის საფუძველზე, განცხადების გამოქვეყნების შედეგად. ყოველი თანამშრომელი აყვანილი იქნება შრომითი ხელშეკრულების საფუძველზე, მასში მითითებული იქნება (i) თანამშრომლის სახელი, გვარი და მისამართი; (ii) სამუშაოზე აყვანის თარიღი; (iii) კონტრაქტის ხანგრძლივობა; (iv) თანამდებობა; (v) შეთანხმებული ხელფასი; (vi) გამოსაცდელი პერიოდის პირობები და ხანგრძლივობა; (vii) კონტრაქტის შეწყვეტის პირობები; (viii) საჩივრის და სასამართლო პროცესის პირობები დავის შემთხვევაში. შრომითი ხელშეკრულება ხელმოწერილი იქნება მგფ-ს აღმასრულებელი დირექტორის და შესაბამისი თანამშრომლის მიერ. წარსადგენი დოკუმენტები უნდა შეიცავდეს: (i) დაბადების მეტრიკას; (ii) ყველა შესაბამისი დიპლომისა და ხარისხის და სხვა პროფესიული გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტების დამოწმებული ასლები; (iii) პირადობის დამადასტურებელი ბოლო პერიოდის ორი ფოტო; და (iv) ინტერესთა კონფლიქტის არარსებობის განცხადება.

### 3.2.2 გამოსაცდელი პერიოდი

მგფ-ს ყოველი ახალი თანამშრომელი გაივლის გამოსაცდელ პერიოდს, რომლის მაქსიმალური ხანგრძლივობა მის მიერ დაკავებულ თანამდებობაზე იქნება დამოკიდებული. მგფ-ს აღმასრულებელ დირექტორს შეუძლია არ გამოიყენოს გამოსაცდელი პერიოდი, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იგი შეთანხმებული იქნება სამეთვალყურეო საბჭოსთან, ხოლო ხელმძღვანელი თანამდებობებისათვის, მხოლოდ მსოფლიო ბანკის წინასწარი თანხმობისას.

### 3.2.3 ადმინისტრაციული ზომები, თანამდებობიდან წასვლა და გათავისუფლება

ყველა ადმინისტრაციული ზომა, თანამდებობიდან წასვლა და გათავისუფლება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე ხდება. ყველა თანამშრომელი დაცულია შესაბამისი კანონებითა და წესებით, რომელიც განსაზღვრავს საჩივრისა და იურიდიული არბიტრაჟის პირობებს.

### 3.2.4 ხელფასები

- ა) ყოველი თანამშრომლის თანამდებობრივი გრადაცია და ხელფასის განაკვეთი დამოკიდებული იქნება მის მიერ დაკავებულ თანამდებობაზე, მის პროფესიონალიზმზე და მის მიერ შესრულებული სამუშაოს წლიურ შეფასებაზე.

- ბ) ხელფასის მომატების საკითხს მგფ-ს აღმასრულებელი დირექტორი წყვეტს, მისი სამეთვალყურეო საბჭოს მიერ წინასწარი დამტკიცების საფუძველზე წლიური ბიუჯეტის ნაწილის სახით.
- გ) ხელფასების გადახდა განხორციელდება საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის და სამთავრობო გადაწყვეტილების საფუძველზე. გადახდა თანამშრომლის საბანკო ანგარიშზე თანხის გადარიცხვით ან ნაღდი ფულის გაცემით მოხდება.

### 3.3 შრომის ეთიკის პრინციპები

#### 3.3.1 ძირითადი პრინციპები

ქვემოთ მოყვანილია მგფ-ში სამსახურისას გასათვალისწინებელი პროფესიული პასუხისმგებლობის პრინციპები. როგორც აღნიშნულ იქნა, მგფ-ს ყველა თანამშრომელმა თავისი სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას მკაცრად უნდა მისდოს კონფიდენციალურობის, მიუკერძოებლობის და მკაცრი დისციპლინის წესებს. კერძოდ კი, მგფ-ს თანამშრომლებს მოეთხოვებათ ზედმიწევნით მისდონ შემდეგ პრინციპებს:

##### (ა) დამოუკიდებლობა

მხოლოდ მგფ-ს აღმასრულებელ დირექტორს აქვს უფლება გასცეს ინსტრუქციები, უშუალოდ ან თანამშრომლებისათვის უფლებების გადაცემის მეშვეობით. არც ერთ გარეშე ორგანოს ან პირს არა აქვს უფლება წამოაყენოს რაიმე პრეროგატივა ზემოხსენებულის თაობაზე, გარდა იმისა, რაც მგფ-ს დებულებიდან ან საქართველოში სამოქალაქო სამართლის ფარგლებში მოღვაწე იურიდიულ პირების შესახებ კანონის საკანონმდებლო ან რეგულაციური პუნქტებიდან გამომდინარეობს.

##### (ბ) მიუკერძოებლობა

მგფ არ განახორციელებს არანაირი ფორმის დისკრიმინაციას ან უპირატესობის მინიჭების პოლიტიკას მესამე მხარის მიმართ, იქნება ეს მგფ-ს საქმიანობით მოსარგებლე, მგფ-სათვის საქონლის და მომსახურების მიმწოდებელი, თუ ვინმე სხვა პირი ან დაწესებულება, რომელსაც რაიმე სახის კავშირი აქვს მგფ-ს საქმიანობასთან ან ამ საქმიანობის შედეგებთან. მესამე მხარესთან ურთიერთობა ყოველთვის წარიმართება სს-ში მოცემული გადაწყვეტილების მიღების და შერჩევის პროცედურების შესაბამისად.

##### (გ) დანახარჯთა ეფექტურობა

დანახარჯთა მაქსიმალური ეფექტურობა ყოველთვის წამყვანი იქნება გადაწყვეტილების მიღებისას ყველა დონეზე მგფ-ს ფარგლებში და მისი პროცედურების პრაქტიკაში გამოყენებისას კლიენტებთან, მოიჯარადებთან, ან მესამე მხარესთან საქმიანი ურთიერთობის დროს.

##### (დ) ეკონომია

დანახარჯთა ეფექტურობის პრინციპის შემადგენელი ნაწილი - დანახარჯთა მინიმალიზაცია მგფ-ს და მისი ყოველი თანამშრომლის მუდმივი საზრუნავი უნდა იყოს. კერძოდ კი, პრესტიჟზე დამყარებული არანაირი მოსაზრების გამო არ შეიძლება იმ რესურსების, ან აღჭურვილობის, ან

მომსახურების შესყიდვის და გამოყენების გამართლება, რომელიც უკიდურესად საჭირო არ არის მგფ-ს ეფექტური ფუნქციონირებისათვის.

### 3.3.2 ინტერესების კონფლიქტი

მგფ-ს არცერთი თანამშრომელი არ უნდა იყოს, არც პირდაპირ და არც შუამავლის სახით დაკავშირებული იმ კომპანიებთან, ან საზოგადოებრივ ან კერძო დაწესებულებებთან, რომელთაც კომერციული ურთიერთობა აქვთ მგფ-სთან ან მისი მოსარგებლეები არიან. ისინი არ უნდა იღებდნენ არანაირი სახის ანაზღაურებას, ჰონორარს ან საკომისიოს ამ კომპანიებისა და დაწესებულებებისაგან. ყოველი თანამშრომელი ვალდებულია, რომ სამუშაოზე აყვანისას გააკეთოს განაცხადი თავისი იმ მოვალეობების, წილებისა და ქონების შესახებ, რომელიც შესაძლოა ეწინააღმდეგებოდეს ზემოხსენებულ წესს. მათ მიეცემათ ერთი თვე, რომლის განმავლობაშიც შეუძლიათ გათავისუფლდნენ ამგვარი მოვალეობების, წილებისა და ქონებისაგან. ამ ვალდებულების შესრულება სამუშაოზე აყვანის განსაკუთრებულ პირობას წარმოადგენს.

### 3.3.3 საზოგადოებრივი ქცევის ნორმები

მთავრობასთან დადებული ხელშეკრულების საფუძველზე მგფ სახელმწიფოს სამსახურში არის. შესაბამისად, მისი თანამშრომლებიც სხვა სახელმწიფო მოხელეების მსგავსად ვალდებული არიან დაიცვან კონფიდენციალურობა, მიუკერძოებლობა და დისციპლინა. მათ ასევე არა აქვთ უფლება თავისი ფუნქციების შესრულებისას ჩაებან პოლიტიკურ საქმიანობაში. მგფ-ს პერსონალს მოეთხოვება თანასწორად მოეპყრას თავის კლიენტებსა და მათ წარმომადგენლებს, სამუშაოებით ან ოპერაციებით მოსარგებლებსა და მოიჯარადებებს.

## 4. ფინანსური მართვა

### 4.1 მგფ-ს ფინანსური რესურსები

თავისი მიზნების განსახორციელებლად და ფუნქციების შესასრულებლად მგფ მობილიზებას უწევს და იყენებს შემდეგ ფინანსურ რესურსებს:

- ა. მგფ-ის სესხების მიმღებთა მიერ მგფ-ს I-ის და მგფ-ს II-ის ფარგლებში გადახდილი სესხებიდან და პროცენტებიდან მიღებული თანხები;
- ბ. საქართველოს მთავრობის მიერ მგფ-სათვის მგფ-ს I-ის (პროექტი 2002 წლის 31 დეკემბერს იხურება), მგფ-ს II-ის და/ან სხვა შესაძლო მომავალი ოპერაციების ფარგლებში გრანტის სახით გადაცემული მსოფლიო ბანკის (სგა) საკრედიტო სახსრები.
- გ. საქართველოს ადგილობრივი და ცენტრალური ბიუჯეტებიდან გამოყოფილი თანადაფინანსების თანხები;

- დ. სხვა საერთაშორისო-საფინანსო ორგანიზაციებიდან მიღებული რესურსები, ორმხრივი და მრავალმხრივი პროგრამების ფარგლებში მიღებული თანხები და არასამთავრობო ორგანიზაციათა შენატანები;
- ე. საქართველოს სხვა საფინანსო ორგანიზაციებიდან მობილიზებული რესურსები;
- ვ. საქველმოქმედო შენატანები;
- ზ. საქართველოს კანონმდებლობით დაშვებული სხვა წყაროები;

## 4.2 მგფ-ს ფინანსური რესურსების გამოყენება

4.2.1 მობილიზებული ფინანსური რესურსები შემდეგი მიზნების განსახორციელებლად გამოიყენება:

- ა. საინვესტიციო პროექტების სესხის და გრანტის სახით დაფინანსება მგფ-ს კლიენტებისათვის; მგფ-ს სესხები სგა-ს საკრედიტო სახსრებით – 50% და მგფ-სათვის გადახდილი სესხებით – 50% დაფინანსდება.
- ბ. ტექნიკური დახმარების უზრუნველყოფა საინვესტიციო პროექტების მომზადების მხარდაჭერის და ეფექტურობის გაზრდისა და ადგილობრივი მმართველობებისა და ადგილობრივი საწარმოების მართვის უნარიანობის განმტკიცების მიზნით;
- გ. მგფ-ს საოპერაციო ხარჯების დაფინანსება;

4.2.2 ექსპერიმენტის სახით მგფ გამარტივებული შერჩევის კრიტერიუმების საფუძველზე გასცემს სესხს მცირე ადგილობრივ თვითმმართველობებზე (იხ. პუნქტი ბ. 2.2.1) იმის გათვალისწინებით, რომ ამგვარი სესხებისათვის გამოყოფილი რესურსების მთლიანი თანხა არ უნდა აღემატებოდეს მგფ-ს საკრედიტო პორტფელის მთლიანი თანხის 10%-ს. ამ ტიპის სესხის გაცემა პერიოდულად გადაისინჯება [ე.ი. ყოველწლიურად მაინც] და არაადაპტაციული შესრულების შემთხვევაში მყისვე შეწყდება.

## 4.3 მგფ-ს საოპერაციო ხარჯების დაფინანსება

მგფ-ის საექსპლუატაციო ხარჯების დაფინანსება მხოლოდ მგფ-ის სესხების მიმღებთა მიერ გადახდილი საპროცენტო თანხებიდან განხორციელდება;

## 4.4 ფინანსური მართვის და საბუღალტრო აღრიცხვის პრინციპები

მგფ განაგრძობს მგდპ I-ის ფარგლებში არსებული ფინანსური მართვის სისტემით ოპერირებას, რაც მოიცავს საბუღალტრო აღრიცხვის, ფინანსური ანგარიშგების, და აუდიტის წარმოებას, რათა უზრუნველყოფილ იქნას სანდო და დროული ინფორმაცია მისი რესურსებისა და დანახარჯების შესახებ.

საბუღალტრო აღრიცხვისა და ანგარიშგებისათვის მგფ გამოიყენებს დარიცხვით მეთოდს. ამგვარი მიდგომა ორივეს - მსოფლიო ბანკისა და ადგილობრივი საგადასახადო დაწესებულებების მოთხოვნებს აკმაყოფილებს. ამ მეთოდის თანახმად, დანახარჯების აღიარება ხდება მათი წარმოშობისას, მიუხედავად იმისა, თუ როდის ხდება თანხის გადახდა.

#### 4.4.1 საბუღალტრო აღრიცხვა

საბუღალტრო აღრიცხვის მიზანია სრულად წარმოადგინოს ორგანიზაციის ფინანსური მდგომარეობა, იგი შემდეგი ძირითადი პრინციპებით ხელმძღვანელობს:

- აღრიცხვა

თავისი რესურსების სათანადოდ აღრიცხვის უზრუნველსაყოფად მგფ:

- (ა) რეგულარულად აწარმოებს მგფ-ს მიერ გამოყენებული ფინანსური სახსრების აღრიცხვას და ასევე შექმნილი და ჯერაც გამოუყენებელი ყველა საგნის აღრიცხვას;
- (ბ) ზუსტი აღრიცხვის უზრუნველყოფისათვის აწარმოებს შიდა კონტროლს;
- (გ) წარმოადგენს ანგარიშს ფინანსური სახსრების გამოყენების თაობაზე; და
- (დ) უზრუნველყოფს უწყისების დამოწმებას დამოუკიდებელი აუდიტორების მიერ.

- საბუღალტრო აღრიცხვის სტანდარტები

მგფ-ს საბუღალტრო აღრიცხვისა და შიდა კონტროლის სისტემები საბუღალტრო აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად იწარმოებს. საბუღალტრო აღრიცხვის სისტემა: (i) სრულყოფილად აღრიცხავს და აღწერს ყველა ფინანსურ ოპერაციას, პროექტის აქტივებსა და დავალიანებებს, მათ შორის ბანკის ფინანსური სახსრების გამოყენებასაც და/ან საჭიროებისამებრ სხვა დონორების მიერ უზრუნველყოფილ სახსრებს; და (ii) უზრუნველყოფს ადეკვატურ ფინანსურ ინფორმაციას პროექტის მართვისა და მონიტორინგისათვის.

- საქართველოს წესებთან შესატყვისობა

მგფ უზრუნველყოფს, რომ მისი საბუღალტრო აღრიცხვის პოლიტიკა და პროცედურები ასევე შესატყვისებოდეს ფინანსთა სამინისტროს საბუღალტრო აღრიცხვის პრინციპებსა და მეთოდოლოგიას.

#### 4.4.2 საბუღალტრო აღრიცხვის მართვა

საბუღალტრო აღრიცხვის ყოველდღიური მართვა მგფ/ცაგ-ის ფინანსური მენეჯერის მოვალეობას წარმოადგენს, რომელიც უშუალოდ მგფ-ს აღმასრულებელ დირექტორს აბარებს ანგარიშს.

### 4.5 მგფ-ს შიდა აღრიცხვისა და კონტროლის სისტემა

#### 4.5.1 შიდა კონტროლის სისტემა

- შიდა კონტროლი

მგფ-ს შიდა კონტროლის სისტემა უზრუნველყოფს ფინანსური აღრიცხვის სანდოობას და სისრულეს. კერძოდ კი, შიდა კონტროლის სისტემა უზრუნველყოფს სათანადო აღრიცხვას და უსაფრთხოებას, ისევე როგორც ფინანსური ოპერაციების კონტროლს.

- *საბუღალტრო აღრიცხვის სისტემა*

მგფ-ს ბუღალტერი აღრიცხავს, ახარისხებს, აღწერს და განმარტავს პროექტის ფინანსურ მონაცემებს. ფინანსური აღრიცხვისა და ფინანსური უწყისების საწარმოებლად მგფ-ს ბუღალტერი დაიცავს საბუღალტრო აღრიცხვის ციკლს, რომელიც ხუთი ეტაპისაგან შედგება და შემდეგ საფეხურებს გულისხმობს:

- (ა) ფინანსური ოპერაციების ანალიზი პირველადი აღრიცხვის დოკუმენტებიდან, საბუღალტრო აღრიცხვის რეგისტრაციაში შესატანი დებიტებისა და კრედიტების სათანადო რაოდენობის მიხედვით;
- (ბ) ყოველდღიური ფინანსური ოპერაციების რეგისტრაცია საბუღალტრო აღრიცხვის სათანადო პროგრამის (ORIS FM) გამოყენებით;
- (გ) ძირითადი წიგნის (გროსბუხის) გადამოწმება ყოველი კვარტალის დასასრულს;
- (დ) ძირითადი წიგნის (გროსბუხის) დახურვა და ბალანსის გაკეთება წლის ბოლოს;
- (ე) ფინანსური უწყისების მომზადება.

მგფ-ს საბუღალტრო აღრიცხვის სტრუქტურა უნდა ასახავდეს მგფ-ს ძირითად ფინანსურ ოპერაციებს. იგი უნდა იძლეოდეს ფინანსური ანგარიშების წარმოების საშუალებას და უზრუნველყოს მიმდინარე პერიოდის დანახარჯებს. გარდა ამისა, მგფ-ს საბუღალტრო აღრიცხვის სისტემის შესაძლებლობებში უნდა შედიოდეს ყველა საჭირო ფინანსური მონაცემის უზრუნველყოფა მგფ-ს მიერ პროექტის შესრულების მაჩვენებლის შესაფასებლად.

მგფ-ს საბუღალტრო აღრიცხვის სისტემა ორმაგი ბუღალტერიის სისტემას წარმოადგენს, რომელიც შეესატყვისება ფინანსთა სამინისტროს მიერ დამტკიცებულ საბუღალტრო აღრიცხვის უწყისების გეგმას.

მგფ-ს სააღრიცხვო დოკუმენტაცია და გროსბუხი ყოველთვის ცალ-ცალკე უნდა იწარმოებოდეს.

მგფ-ს სააღრიცხვო პერიოდი ერთ თვეს შეადგენს და თვის ბოლო კალენდარულ დღეს დასრულდება. სააღრიცხვო პერიოდის დახურვის თარიღი მომდევნო თვის 10 რიცხვია.

- *ფინანსური კონტროლის სისტემა*

ყველა ფინანსური ოპერაცია დამატებით დოკუმენტაციაში უნდა იქნას ასახული. დამატებითი დოკუმენტაციის რეგისტრაციის პროცესი აღრიცხვის წარმოების პირველ საფეხურს წარმოადგენს.

○ *სალაროს კონტროლი*

სალარო გათვალისწინებულია ნაღდი ფულის მცირე თანხების შესანახად, რომელიც საკანცელარიო საქონლის, ტაქსისათვის გადასახდელი თანხების, მოწოდების გადასახადების და ა.შ. დასაფარად გამოიყენება. როდესაც სალაროს თანხა გარკვეული ნაშთის ქვემოთ ჩამოდის, უნდა მოხდეს მისი შევსება პროექტის მიმდინარე ანგარიშიდან თანხის გამოტანის მეშვეობით. სალაროდან გაწეული ყველა დანახარჯი შესაბამისი ანგარიშფაქტურით უნდა იყოს დოკუმენტირებული.

სალაროს ფულის მითვისებისა ან მოპარვისაგან დაცვის მიზნით შექმნილია შიდა კონტროლის სისტემა. მგფ-ის ბუღალტერის ვალდებულებებში შედის კონტროლი გაუწიოს ნაღდი ფულს.

○ *ძირითადი საშუალებების კონტროლი*

მგფ ვალდებულია განახორციელოს ძირითადი საშუალებების მართვა და კონტროლი. მგფ-ის ყოველი თანამშრომელი პასუხისმგებელია იმ ძირითად საშუალებებზე, რომელიც მას ეკუთვნის.

ყველა შეძენილი თუ ნაჩუქარი აქტივი უნდა აღირიცხოს ძირითადი საშუალებების ჩანაწერში, იმ შემთხვევაში თუ მისი ღირებულება 150 ლარს უდრის ან აღნიშნულ თანხაზე მეტია. ეს ჩანაწერი უნდა შეიცავდეს აქტივის აღწერას, მიღების დღეს, ფასს ან მიახლოებით ღირებულებას, მდებარეობას, აგრეთვე მითითებას შეძენილია იგი თუ ნაჩუქარი. ამ ჩანაწერებს ბუღალტერი აწარმოებს.

○ *გადახდა და სავადასახადო უწყება*

ხელფასების გადახდა წარმოებს ლარებში და განისაზღვრება თანამშრომლების თანამდებობის მიხედვით. საქართველოს კანონმდებლობის მიერ ამგვარის დაშვების შემთხვევაში, ხელფასი შეიძლება გაცემულ იქნას გადახდის დღეს არსებული ლარის შესაბამისი კურსით დოლარებში.

4.5.2 აუდიტი

პროექტის და მგფ-ს წლიური აუდიტები განხორციელდება დამოუკიდებელი კერძო აუდიტორების მიერ, რომლებიც საქართველოში მსოფლიო ბანკის მიერ დაფინანსებული პროექტების აუდიტის ჩატარებაზე უფლებამოსილი აუდიტორული ფირმების სიიდან შეირჩევიან, აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების და მსოფლიო ბანკის მიერ ყოველი ფისკალური წლისათვის დამოუკიდებლად დამტკიცებული ტექნიკური დავალების თანახმად (იხ. სტანდარტ. ნიმუში სს-ს დანართ 6-ში).

პროექტის აუდიტირებული წლიური ფინანსური უწყისები მსოფლიო ბანკს გაეგზავნება ყოველი ფისკალური წლის დასასრულიდან ექვსი თვის განმავლობაში და აგრეთვე პროექტის დახურვისას.

აუდიტის კონტრაქტი შეიძლება წლიდან წლამდე გაუგრძელდეს ერთსა და იმავე აუდიტორს, დამაკმაყოფილებელი შესრულების შემთხვევაში. აუდიტის ღირებულებას მგფ საპროცენტო შემოსავლიდან დააფინანსებს, როგორც თავისი საოპერაციო ხარჯების შემადგენელ ნაწილს.

წლიური ფინანსური ანგარიშები, რომელიც აუდიტს დაექვემდებარება (თითოეული პუნქტისათვის აუდიტის ცალკე დასკვნა არის საჭირო) ყოველ ფისკალურ წელს უნდა შეიცავდეს:

(ა) პროექტისათვის

1. ფინანსური სახსრების წყაროებს და მათ გამოყენებას, მსოფლიო ბანკის და თანადაფინანსების სახსრების ცალ-ცალკე ჩვენებით ყოველი ფისკალური წლის ბოლოს მონაცემებით;
2. ფინანსური სახსრების გამოყენებას პროექტის ფარგლებში განხორციელებული სამუშაოების მიხედვით (დანახარჯების დეტალური უწყისები) ყოველი ფისკალური წლის ბოლოს მონაცემებით;
3. ბალანსი;
4. დანახარჯების უწყისების ათვისების გრაფიკი ყოველი ფისკალური წლისათვის;
5. სპეციალური ანგარიშის უწყისები ყოველი ფისკალური წლისათვის.

(ბ) მგფ-სათვის

1. ბალანსი ყოველი ფისკალური წლის ბოლოს მონაცემებით;
2. შემოსავლების უწყისები ყოველი ფისკალური წლისათვის;
3. ნაღდი ფულის ნაკადის ანგარიში ყოველი ფისკალური წლისათვის;
4. ფინანსური სახსრების დინების ანგარიში ყოველი ფისკალური წლისათვის;

**4.6 სახელმწიფო კონტროლი**

ფონდის მოღვაწეობის სახელმწიფო კონტროლს საქართველოს ფინანსთა სამინისტრო ახორციელებს, ფინანსთა სამინისტროს და მგფ-ს შორის დადებული ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობების, საერთაშორისო ხელშეკრულებების და საქართველოს კანონმდებლობის თანახმად.

**5. ანგარიშგება**

**5.1 პერიოდული ანგარიშგება**

მგფ ვალდებულია დროულად მოამზადოს და წარუდგინოს ფინანსთა სამინისტროს, მსოფლიო ბანკს და მგფ-ს სამეთვალყურეო საბჭოს შემდეგი ანგარიშები:

- (ა) ფინანსური მართვის კვარტალური ანგარიში;
- (ბ) მგფ-ს წლიური აუდიტის ანგარიში;
- (გ) პროექტის განხორციელების კვარტალური ანგარიში (ფორმატის აღწერა და შინაარსი იხ. სს-ს დანართ 7-ში);

აგრეთვე

- (დ) საქართველოს პრეზიდენტთან არსებული უცხოური ინვესტიციების (საინვესტიციო) საბჭოსათვის და მსოფლიო ბანკისათვის წარსადგენი პროექტის განხორციელების წლიური დეტალური ანგარიში;
- (ე) სხვა ანგარიშები, რომელსაც საჭიროებისამებრ მოითხოვს საქართველოს მთავრობა და/ან მგფ-ს საქმიანობასთან დაკავშირებული სხვა ორგანიზაციები.

## ბ განყოფილება მგფ-ს საქმიანობა და პროცედურები

### წინასწარი კომენტარები

ქვემოთმოყვანილ ბ განყოფილებაში მოცემული დირექტივები გამოიყენება მხოლოდ მგფ-ს ფარგლებში მგფ-ს მიერ განხორციელებული საინვესტიციო პროექტებისა და სხვა საქმიანობისათვის. სხვა წყაროებიდან დაფინანსებული მგფ-ს ოპერაციები წარმართება შესაბამისი დონორების დირექტივებისა და ნორმების თანახმად.

მსოფლიო ბანკის ყველა წესი და ინსტრუქცია ცვლილებას ექვემდებარება, აქედან გამომდინარე, ამგვარი ცვლილებების ასახვის მიზნით ამ სამოქმედო სახელმძღვანელოში შესული ინსტრუქციები შესაძლოა პერიოდულად საჭიროებისამებრ იქნას შეცვლილი ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

#### 1. მგფ-ის საქმიანობის ძირითადი მიმართულებები

##### 1.1 საინვესტიციო პროექტების დაფინანსება

მგფ-ს მიერ საინვესტიციო პროექტების დაფინანსება მგფ-ს ფარგლებში შემდეგ წესებს დაეფუძნება, რომელიც დაფინანსების სამი წყაროს წილების ამგვარ განაწილებას გულისხმობს;

20% დაიფარება მგფ-ს კლიენტის მიერ (ადგილობრივი თვითმმართველობა)

40% - სამთავრობო (განვითარების საერთაშორისო ასოციაცია) გრანტით

40% - მგფ-ს სესხით, რომლის გადახდა შემდეგი პირობების თანახმად განხორციელდება:

საპროცენტო განაკვეთი- წლიური 15%; სესხის გადახდის ვადა – 10 წელი; შეღავათიანი პერიოდი – 1 წელი (ძირითადი თანხისათვის)

სესხზე პროცენტების დარიცხვა განხორციელდება თანხების გადარიცხვის შესაბამის დღეს და გამოითვლება თორმეტი 30 დღიანი თვის 360 დღიანი წლის საფუძველზე. მგფ-ს კლიენტი არ დაიწყებს სესხის გადახდას პროექტით გათვალისწინებული სამუშაოების პერიოდში. სესხის ძირითად თანხაზე დარიცხული პროცენტების გადახდა იწყება სამუშაოების დასრულებისას (ბოლო გადარიცხვის შემდეგ). გადახდის თარიღი ემთხვევა პროცენტის დარიცხვის დასაწყისის თარიღს.

მგფ-ს კლიენტი გადაიხდის სამუშაოების შესრულების პერიოდში დარიცხული პროცენტების სრულ თანხას. შემდგომი გადახდები ყოველთვიურად განხორციელდება. პირველი გადარიცხვის დღიდან ერთი წლის განმავლობაში (შეღავათიანი პერიოდი) მგფ-ს კლიენტი არ გადაიხდის სესხის ძირითად თანხას. ამ პერიოდის დასრულებისას, იგი ყოველთვიურად გადაიხდის სესხის ძირითადი თანხის ნაწილს დარიცხულ პროცენტებთან ერთად, ყოველთვიური თანაბარი შენატანების სახით.

მგფ-ს ფარგლებში დასაფინანსებელი საინვესტიციო პროექტის შესაძლო მაქსიმალური ღირებულება 600, 000 აშშ დოლარს უტოლდება, შესაბამისი 240,000 აშშ დოლარიანი სესხის თანხის გათვალისწინებით. ამ წესიდან ნებისმიერი გადახვევა მსოფლიო ბანკის წინასწარ თანხმობას საჭიროებს მოსალოდნელი საინვესტიციო ხარჯის, ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთების

და სხვა საჭირო მოსამზადებელი საქმიანობის მოცულობისა და ტიპის, და შემოთავაზებული განხორციელების გეგმის თაობაზე, ისევე როგორც სხვა ამგვარი გამოკვლევების ექსპერტიზას.

მფ-ს სესხის ნებისმიერი პირობა შეიძლება შეიცვალოს საქართველოს მთავრობისა და მსოფლიო ბანკის ერთობლივი თანხმობის საფუძველზე მგდპ II-ის მსვლელობისას, რათ ასახულ იქნას ახალი მოვლენები საქართველოს ეკონომიკაში. რადგანაც საკრედიტო ხელშეკრულება ხელმოწერილია, მისი პირობების შეცვლა შეუძლებელია ყოველივე ამის საკრედიტო ხელშეკრულებაში ნათლად ასახვის და მფ-ს კლიენტის მიერ დამტკიცების გარეშე.

მფ-ს სესხების დაფინანსება განხორციელდება: 50%-მდე - გსა-ს მიერ მგდპ II-სათვის გამოყოფილი კრედიტით; დარჩენილი 50% – მფ-ს არსებული სესხების გადახდებიდან შემოსული თანხებით.

## 1.2 ტექნიკური დახმარების დაფინანსება

სხვაგვარი მითითების არარსებობის შემთხვევაში, მთელი ტექნიკური დახმარება, ტრენინგი და საკონსულტაციო მომსახურება გრანტის სახით იქნება უზრუნველყოფილი და მისი ღირებულების 100%-მდე გსა-ს მიერ მგდპ II-სათვის გამოყოფილი კრედიტით დაფინანსდება, გადასახადების გარეშე.

## 2. ინვესტიციების დაფინანსების კრიტერიუმები

### 2.1 უფლებამოსილი ორგანიზაციები

ქვემოთ მოყვანილია მფ-ს მიერ საინვესტიციო პროექტების დაფინანსებაზე უფლებამოსილი ორგანიზაციები - ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები, მათ საქართველოს კანონმდებლობით უფლება აქვთ აიღონ მფ-ს სესხი, აქვთ თავისი შემოსავლის წყაროები, და გადაწყვეტილების მიღების ავტონომია იმ საინვესტიციო კატეგორიებთან დაკავშირებით, რომლისთვისაც მფ-ს დაფინანსების მოპოვებას ცდილობენ:

- რესპუბლიკური დაქვემდებარების ქალაქები
- ადგილობრივი თვითმმართველობები

ადგილობრივი მმართველობები [ე.ი. რაიონული მმართველობები] იმ შემთხვევაში იქნებიან შერჩეულნი, თუ მათი იურიდიული უფლებამოსილება ყოველი შემთხვევისათვის ინდივიდუალურად იქნება დამტკიცებული.

მსოფლიო ბანკის მიერ წინასწარი დამტკიცების შემდეგ, რაც თითოეული შემთხვევისათვის ინდივიდუალურად უნდა განხორციელდეს, შესაძლოა ადგილობრივი საწარმოები აგრეთვე უფლებამოსილად იქნან მიჩნეულნი მფ-ს პირდაპირი სესხის აღებაზე, იმ შემთხვევაში, თუ ისინი დაამტკიცებენ თავის ფინანსურ დამოუკიდებლობას (ე.ი. დამოუკიდებელი ბალანსის და შემოსავლების უწყისების არსებობას), თავისი ფინანსური რესურსების წარმომავლობას ტარიფებიდან და მოსაკრებლებიდან მიღებული შემოსავლიდან, და გააჩნიათ საოპერაციო და კაპიტალური დანახარჯების თაობაზე გადაწყვეტილების მიღების ავტონომია.

## 2.2 ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები: უფლებამოსილების კრიტერიუმები

### 2.2.1 ფინანსური უფლებამოსილების პირობები

მგფ-ს სესხის აღების მსურველ ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს უნდა გააჩნდეს სათანადო სესხის აღების შესაძლებლობა, რომელიც შემდეგი მოთხოვნების საფუძველზე გამოითვლება:

- შემოთავაზებული სესხის და სხვა გადასახდელი სესხების მომსახურება არ უნდა აღემატებოდეს წინა წლის მიმდინარე საოპერაციო პროფიციტის 25%-ს;
- სესხის მთლიანი თანხა, შემოთავაზებული სესხისა და გადასახდელი დავალიანებების ჩათვლით (სახელფასო დავალიანების და სხვა გადასახდელი სესხების ჩათვლით) არ უნდა აღემატებოდეს წინა წლის ორდინარული შემოსავლის 60%-ს.

ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანო აგრეთვე უნდა აკმაყოფილებდეს ბიუჯეტის შესრულების შემდეგ კრიტერიუმებს:

- ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს მიერ გადასახდელი სახელფასო დავალიანებები კლების ტენდენციას უნდა უჩვენებდეს, და გამონაკლისი შემთხვევების გარდა, არ უნდა აღემატებოდეს მთლიანი შემოსავლის 10%-ს;
- დაუგეგმავი საბიუჯეტო დეფიციტის დასაფარად წარმოებული ცენტრალური ბიუჯეტის ტრანსფერები (ცენტრალური ბიუჯეტის გამაწონასწორებელი ტრანსფერების და ცენტრალური ბიუჯეტის სხვა ტრანსფერების გამოკლებით, როგორც გამოყვანილია ფორმულაზე დაფუძნებული გრანტებიდან და შემოსავლების განაწილებიდან) და სხვა, გამონაკლისი შემთხვევების გარდა, არ უნდა აღემატებოდეს მიმდინარე შემოსავლის 25%-ს;
- ადგილობრივი მიმდინარე შემოსავალი ზრდის ტენდენციას უნდა უჩვენებდეს;

ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს გადამხდელუნარიანობის ანალიზისას შემდეგი დამატებითი ასპექტები გამოიყენება:

- მგფ-სათვის სესხის ნებისმიერი გადაუხდელობის ან სესხის პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები უფლებამოსილნი არ არიან ახალი სესხის აღებაზე;
- შემდგომი სესხები დამოკიდებულია წინა სესხების ფარგლებში შეთანხმებულ ნებისმიერ საქმიანობის გეგმასთან სრულ ან არსებით შესატყვისობაზე;
- კომუნალური მომსახურების საწარმოებისათვის, მომხმარებლებიდან ამოღებული შემოსავალი საკმარისი უნდა იყოს სესხის მომსახურების ხარჯის და დანარჩენი საოპერაციო ხარჯების დასაფარად, ამორტიზაციის ხარჯის გამოკლებით.

უფრო მცირე ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებისათვის, რომელთა სესხის მომსახურების მთლიანი თანხა შემოთავაზებულ და ყველა სხვა აღებულ სესხებზე არ აღემატება 1.000 ლარს, მგფ თანხმობას განაცხადებს ექსპერიმენტის სახით შემდეგი სახით გაამარტივოს უფლებამოსილების კრიტერიუმები:

- სესხის მომსახურება შემოთავაზებულ და ყველა სხვა აღებულ სესხებზე არ უნდა აღემატებოდეს ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს ორდინარული შემოსავლის 60%-ს;
- სახელფასო დავალიანებები კლების ტენდენციას უჩვენებს;
- შემოთავაზებული სესხი მხოლოდ მიზნობრივი კრედიტია და თუ მსოფლიო ბანკთან სხვაგვარად არ არის შეთანხმებული, მას, მგფ-სათვის მის სრულ გადახდამდე, არ მოჰყვება სხვა სესხი.

## 2.2.2 განვითარების საპროექტო ხელშეკრულება

ნებისმიერი საინვესტიციო პროექტის მომზადებისა და დაფინანსების დაწყებამდე მგფ მოამზადებს და თავის კლიენტ ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოსთან ხელს მოაწერს განვითარების საპროექტო ხელშეკრულებას (გსხ), რომლის მოდელიც დანართი 3-ის სახით არის თანდართული. გსხ-ში განსაზღვრულია შემდეგი:

- ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს მიერ შესასრულებელი პირობები, რომელიც მგფ-ს სესხის აღების წინაპირობას წარმოადგენს;
- სესხის აღების ლიმიტი ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოსათვის, მის მიმდინარე ფინანსურ მდგომარეობაზე, და საქმიანობის პროგრამის დამაკმაყოფილებლად განხორციელებაზე დამოკიდებული შესაძლო ზრდის მაჩვენებელზე დაფუძნებით;
- საქმიანობის პროგრამის განსაზღვრა, რომელიც ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოსთან ერთად უნდა იქნას შემუშავებული; ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს მიერ განსახორციელებელი პროგრამის, მართვის გრაფიკის და სხვა რეფორმების განსაზღვრა;
- მგფ-ს დაფინანსების და მის მიერ საინვესტიციო პროექტების განხორციელების ძირითადი პირობები, შესყიდვების, გადარიცხვების და ა.შ. ჩათვლით.
- ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს მიერ შესასრულებელი სხვა პირობები.

## 2.2.3 დაფინანსების ზედა ზღვარი

მგფ II-ის რესურსების შეძლებისდაგვარად ბევრი ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოსათვის უზრუნველყოფის მიზნით ქვეყნის დედაქალაქის – თბილისისათვის გამოყოფილი სესხების საერთო შესაძლო მოცულობა მგფ II-ის საკრედიტო რესურსების 30%-მდე იქნება შეზღუდული, მსოფლიო ბანკთან სხვაგვარი შეთანხმების არსებობის შემთხვევის გარდა.

## 2.3 უფლებამოსილი საინვესტიციო პროექტები

### 2.3.1 ძირითადი პრინციპები

- ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს მიერ შერჩეული საინვესტიციო პროექტები უნდა ემსახურებოდეს ცხოვრების დონის ამაღლების მიზანს, ეხმარებოდეს სოციალური, გარემოს

დაცვის და ჯანდაცვის ძირითადი სტანდარტების დაკმაყოფილებას და ხელს უწყობდეს ადგილობრივი ეკონომიკის განვითარებას.

- წარმოდგენილი საინვესტიციო პროექტი შერჩეული უნდა იყოს ადგილზე განსაზღვრული საჭიროებების საფუძველზე. ადგილობრივი მაცხოვრებლები, საჯარო განხილვებისა და სხვა სათანადო მექანიზმების მეშვეობით, უნდა მონაწილეობდნენ ამ საჭიროებებისა და პრიორიტეტების განსაზღვრის, ტექნიკური ვარიანტების, მათი ღირებულების და შესაძლო ნეგატიური ზეგავლენის განხილვის პროცესში, რომელსაც ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს პასუხისმგებელი პირები აწარმოებენ.
- წარმოდგენილი საინვესტიციო პროექტები ტექნიკურად სიცოცხლისუნარიანი და მინიმალურ დანახარჯებიანი უნდა იყოს. თან უნდა ერთვოდეს ალტერნატიული ვარიანტების განხორციელებისა და პროექტის არგანხორციელების შემთხვევებში შესაძლო დანახარჯების შეფასება, და მათი ეკონომიკური და ფინანსური სიცოცხლისუნარიანობის ანალიზი.
- წარმოდგენილი საინვესტიციო პროექტი არ უნდა წარმოადგენდეს იმავე სფეროში ან სექტორში განსახორციელებელი სხვა დიდი პროექტის ნაწილს, რომელიც შესაძლოა ფინანსურად და ტექნიკურად უფრო ხელსაყრელი პირობებით განხორციელდეს. გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც შესაძლებელია იმის დემონსტრირება, რომ ეტაპობრივი მიდგომა, ფინანსური და ტექნიკური მიზეზების გამო, უფრო მისაღები და ეფექტურია ფინანსური და ეკონომიკური თვალსაზრისით
- წარმოდგენილ საინვესტიციო პროექტს უნდა გააჩნდეს დადებითი ეკონომიკური ამოგების განაკვეთი (ERR) ან მომგებიანობა, რომელიც შეფასების შეთანხმებული მეთოდოლოგიის გამოყენებით შეიძლება რაოდენობრივად იქნას განსაზღვრული ან სხვაგვარად იდენტიფიცირებული ალბათობის მისაღებ ხარისხში.
- წარმოდგენილ საინვესტიციო პროექტს თან უნდა ერთვოდეს ფინანსური პროგნოზები, იმის დასამტკიცებლად, რომ პროექტის მზარდი ფინანსური გავლენა (საექსპლუატაციო და შენახვის მზარდი ხარჯების ჩათვლით) დაკმაყოფილდება ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს შემოსავლების ზრდის და/ან სხვა ხარჯების შემცირების საშუალებით.
- წარმოდგენილ საინვესტიციო პროექტს თან უნდა ერთვოდეს სრული და კონკრეტული ფინანსური გეგმა, სადაც გათვალისწინებული იქნება პროექტის თანადაფინანსების თანხების დროული უზრუნველყოფა და სესხის მომსახურების ხარჯებისა და სხვა საოპერაციო ხარჯების ჩართვა მომავალი წლების ბიუჯეტებში.
- წარმოდგენილი საინვესტიციო პროექტი სრულ შესაბამისობაში უნდა იყოს საქართველოს მოქმედ კანონმდებლობასთან, ბუნების დაცვასთან დაკავშირებული კანონმდებლობის ჩათვლით (იხ. დანართი 2-ის დამატება 3/2).
- შემოთავაზებული საინვესტიციო პროექტები შესაბამისობაში უნდა იყოს მსოფლიო ბანკის გარემოს დაცვის უსაფრთხოების პოლიტიკასთან შემდეგ საკითხებთან დაკავშირებით: არსებობის ბუნებრივი გარემო, სატყეო მეურნეობა, პარაზიტებთან ბრძოლა, კულტურული მემკვიდრეობა, ადგილობრივი მოსახლეობა, იძულებითი გასახლება, კაშხლების უსაფრთხოება, პროექტები საერთაშორისო წყლებში, პროექტები სადავო ტერიტორიებზე.
- იმ შემთხვევაში, თუ სესხის გადახდა მომსახურების ტარიფების გაზრდაზე დამოკიდებული, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანომ უნდა დაამტკიცოს თავისი და შესაბამისი საწარმოს დაინტერესება და უნარი გაზარდოს ტარიფები იმ დონემდე, რომელიც საკმარისი იქნება სესხის დასაფარად და სხვა შეთანხმებული ფინანსური კრიტერიუმების დასაკმაყოფილებლად.

## 2.3.2 საინვესტიციო პროექტების ტიპები

მგდპ II-ის ფარგლებში მგფ-ს სესხითა და გრანტით დაფინანსებული საინვესტიციო პროექტები შემდეგ ტიპებს განეკუთვნება: არსებული მომსახურების ინფრასტრუქტურისა და საწარმოების რეაბილიტაცია და შეკეთება და/ან მომსახურებისათვის საჭირო აღჭურვილობის გამოცვლა ქვემოთმოყვანილ კატეგორიებში:

- წყალმომარაგებისა და კანალიზაციის სისტემების შეკეთება და რეაბილიტაცია;
- შიდა საქალაქო გზების, სანიაღვრეების, განათების რეაბილიტაცია;
- სანიტარია და მყარი ნარჩენების მენეჯმენტი.
- ბაზრები და სატრანსპორტო მომსახურების საშუალებები (ავტოსადგურები და ა.შ)

ყველა ის პროექტი, რომელიც არ განეკუთვნება ამ კატეგორიებს, მხოლოდ ბანკთან წინასწარი კონსულტაციების და მასთან შეთანხმების შემდეგ განიხილება.

მგფ-ს დაფინანსება არ გამოიყენება: კომერციული საწარმოებისათვის, მიწის შესყიდვის, საბრუნავი კაპიტალის ან სხვა მიმდინარე ხარჯების დასაფარად, ნახმარი აღჭურვილობის ან სატრანსპორტო საშუალებების შესაძენი, ასევე მათი ექსპლუატაციისა და შენახვის საქმიანობისათვის.

## 2.3.3 მსოფლიო ბანკის უსაფრთხოების პოლიტიკა

მსოფლიო ბანკისათვის მიუღებელია ის პროექტები, რომელიც არ შეესაბამება ბანკის უსაფრთხოების პოლიტიკას, და პოტენციურად შესაძლოა გამოიწვიოს პრობლემები შემდეგ საკითხებთან დაკავშირებით: იძულებითი გასახლება, არსებობის ბუნებრივი გარემო, კულტურული მემკვიდრეობა, საერთაშორისო წყლები, კაშხლების უსაფრთხოება, ადგილობრივი მოსახლეობა, პარაზიტებთან ბრძოლა, სადავო ტერიტორიები და სხვა. მგფ-ს მიერ დაფინანსებულ პროექტთან დაკავშირებით ნებისმიერი ამგვარი პრობლემის წამოჭრისას შესაბამისი ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანო და მგფ მყისვე გაივლის კონსულტაციებს მსოფლიო ბანკთან თუ რა ზომები უნდა იქნას გატარებული პროექტის მომზადებისა და/ან მისი განხორციელებისას. ამ პირობის შეუსრულებლობის ან ზომების გაუტარებლობის შემთხვევაში პროექტი უფლებამოსილი არ იქნება მგდპ II-ის ფარგლებში დაფინანსებაზე.

## 3. პროექტის მომზადება

### 3.1 საინვესტიციო პროექტების მომზადება

#### 3.1.1 პროექტის ციკლი

მგფ-ს მიერ საინვესტიციო პროექტის მომზადება შემდეგ თანმიმდევრულ საფეხურებს გულისხმობს:

##### (ა) საფეხური №1

ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანო წარუდგენს მგფ-ს კონკრეტულ საინვესტიციო პროექტს მისი დაფინანსების შესაძლებლობის განხილვის მოთხოვნით, პროექტის წარმოდგენის ფორმასთან ერთად, რომლის ფორმატიც მოცემულია დანართი 2-ის დამატებაში 3/1.

##### (ბ) საფეხური №2

მგფ ახორციელებს პროექტის დაფინანსების მოთხოვნის წინასწარ შეფასებას, რათა განსაზღვროს:

- შეესაბამება თუ არა შემოთავაზებული პროექტი მგფ-ს დაფინანსების პრინციპებს;
- აქვს თუ არა ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს სესხის აღების შესაძლებლობები.
- გააჩნია თუ არა ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს დასაფინანსებელი აქტივების შემდგომი ექსპლუატაციის ფინანსური, ტექნიკური და ადმინისტრაციული შესაძლებლობები;

(გ) საფეხური №3

თუ პროექტი არ აკმაყოფილებს აღნიშნულ პრინციპებს, მგფ ატყობინებს ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს მოთხოვნის უარყოფის შესახებ. თუ პროექტი აკმაყოფილებს წამოყენებულ მოთხოვნებს და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოსთან უკვე გაფორმებულია განვითარების საპროექტო ხელშეკრულება, მგფ გადადის საფეხურზე №4. იმ შემთხვევაში თუ ხელშეკრულება ხელმოწერილი არ არის, მგფ ამზადებს და აფორმებს ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოსთან განვითარების საპროექტო ხელშეკრულებას, (იხ. დანართი 2)

(დ) საფეხური №4

მგფ/ისდ განსაზღვრავს საკმარისია თუ არა წარმოდგენილი ტექნიკური, ფინანსური, ეკონომიკური, სოციალური და გარემოს დაცვასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია. თუ ეს დოკუმენტაცია არ არის საკმარისი დეტალური შეფასებისათვის, მგფ და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანო თანხმდებიან ქვემოთ, საფეხურ №5-ში მოცემული შეფასების კრიტერიუმების დაკმაყოფილების მიზნით განსახორციელებელი ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთების, საპროექტო და სხვა სახის სამუშაოების მოცულობასა და შესრულების პირობებზე.

(ე) საფეხური №5

პროექტის დეტალური შეფასებისას მგფ/ისდ ხელმძღვანელობს შემდეგი კრიტერიუმებით:

<ul style="list-style-type: none"> <li>• არის თუ არა შემოთავაზებული პროექტი ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოსათვის აუცილებელი და პრიორიტეტული?</li> <li>• სათანადოდ იქნა თუ არა განხილული მოსახლეობასთან ერთად პრობლემის გადაჭრის ალტერნატიული საშუალებები?</li> <li>• როგორია მგფ-ს გამოცდილება მსგავსი პროექტების განხორციელების დარგში?</li> </ul>
<ul style="list-style-type: none"> <li>• აქვს თუ არა ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს შესაძლებლობა უზრუნველყოს თანადაფინანსების 20%-იანი წილი?</li> <li>• აქვს თუ არა ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს შესაძლებლობა უზრუნველყოს სესხის მომსახურების ხარჯების დაფარვა?</li> <li>• აქვს თუ არა ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს შესაძლებლობა დააფინანსოს აქტივების შემდგომი ექსპლუატაციის ხარჯები?</li> <li>• აქვს თუ არა ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს ტექნიკური და მმართველობითი შესაძლებლობები უზრუნველყოს დასაფინანსებელი აქტივების შემდგომი უწყვეტი და დამაკმაყოფილებელი ექსპლუატაცია?</li> <li>• თუ არა, მაშინ რა ნაბიჯები იდგმება, რომ უზრუნველყოფილ იქნას აქტივების უწყვეტი და დამაკმაყოფილებელი ექსპლუატაცია?</li> </ul>

<ul style="list-style-type: none"> <li>• ვინ იქნებიან სარგებლის მიმღებნი პროექტის განხორციელების შედეგად (ხარისხობრივად და რაოდენობრივად)?</li> <li>• განხორციელდა თუ არა გარემოზე ზეგავლენის შეფასება და საჭიროების შემთხვევაში გათვალისწინებულია თუ არა შემამსუბუქებელი ღონისძიებები და შეტანილი არის თუ არა ისინი პროექტში (იხ.დანართი 2-ის დამატება 3/2)?</li> <li>• წინააღმდეგობაში არის თუ არა შემოთავაზებული პროექტი მსოფლიო ბანკის უსაფრთხოების პოლიტიკასთან?</li> </ul>
<ul style="list-style-type: none"> <li>• არის თუ არა ტექნიკური გადაწყვეტა მინიმალურ დანახარჯიანი და შესაბამისობაშია თუ არა საქართველოს მოქმედ კანონმდებლობასთან;</li> <li>• არის თუ არა შემოთავაზებული პროექტი იმავე სფეროში განსახორციელებელი სხვა დიდი პროექტის ნაწილი. თუ არის, რა სახით არის ჩართული ამ პროგრამაში ტექნიკური ასპექტების, ღირებულების და განხორციელების გრაფიკის თვალსაზრისით და როგორ ფინანსირდება ამ პროგრამის სხვა ელემენტები?</li> <li>• არის თუ არა წარმოდგენილი დოკუმენტაცია, საპროექტო და სხვა აუცილებელი დოკუმენტაციის ჩათვლით სრული და დამაკმაყოფილებელი, იმისათვის რომ მოხდეს პროექტის ტექნიკური და ფინანსური სიცოცხლისუნარიანობის შეფასება და იძლევა თუ არა შემდგომი განხორციელების საშუალებას, თუ საჭიროა დამატებითი მოსამზადებელი სამუშაოების ჩატარება?</li> <li>• აკმაყოფილებს თუ არა წარმოდგენილი ტექნიკური დოკუმენტაცია შესაბამის ტექნიკურ სტანდარტებს?</li> <li>• არის თუ არა წინასწარი ხარჯთაღრიცხვა რეალური და იძლევა თუ არა პროექტის ღირებულების გარკვეულწილად ზუსტად განსაზღვრის შესაძლებლობას?</li> <li>• არის თუ არა შემდგომი ექსპლუატაციის ხარჯების (მიმდინარე ხარჯების) გაანგარიშება რეალური და იძლევა თუ არა ადგილობრივი მმართველობის ორგანოს წლიური საბიუჯეტო დანახარჯების ზუსტად განსაზღვრის შესაძლებლობას?</li> <li>• არის თუ არა განხორციელების პერიოდის წინასწარი გაანგარიშება რეალური?</li> </ul>
<ul style="list-style-type: none"> <li>• როგორია პროექტის განხორციელების შედეგად მიღებული პირდაპირი და არაპირდაპირი სარგებელი?</li> <li>• რომელი მეთოდოლოგიით მოხდა პროექტის ეკონომიკური შეფასება, როგორ იქნა გაანგარიშებული დანახარჯები და სარგებელი, რა შედეგები იქნა მიღებული?*</li> </ul>

*შენიშვნა: იმ საინვესტიციო პროექტების ეკონომიკური შეფასება, რომელთა ღირებულება აღემატება 200,000 აშშ დოლარს და მათი განხორციელების შედეგად მიღებულ სარგებელს გააჩნია მონეტარული გამოხატულება, ხოლო შედეგებს ადვილად შესაფასებელი საბაზრო ფასი, უნდა მოხდეს წმინდა მიმდინარე ღირებულების (NPV) ან მოგება-დანახარჯების ანალიზის საფუძველზე. უფრო მცირე ღირებულების მქონე პროექტების შემთხვევაში, როდესაც სარგებელია არ გააჩნია მონეტარული გამოხატულება, შეიძლება გამოყენებული იქნას დანახარჯების ეფექტურობის ან ხარჯების თვითამოვების ანალიზის მეთოდი.*

(ვ) საფეხური №6

თუ დეტალური შეფასების შედეგები დამაკმაყოფილებელია, საინვესტიციო პროექტი საბოლოო დამტკიცებისათვის წარედგინება მგფ-ს სამეთვალყურეო საბჭოს.

## (ზ) საფეხური №7

სამეთვალყურეო საბჭოს მიერ პროექტის დამტკიცების შემდეგ, მგფ მოამზადებს საკრედიტო ხელშეკრულებას და განსახილველად და დასამტკიცებლად წარუდგენს მას ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს, (იხ. საკრედიტო ხელშეკრულების მოდელი დანართში 3) და სამეთვალყურეო საბჭოს მიერ დამტკიცების შემდეგ ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოსთან ხელს მოაწერს საკრედიტო ხელშეკრულებას.

### 3.1.2 მოსამზადებელი გამოკვლევების დაფინანსება

ადგილობრივი მმართველობის ორგანოს მიერ ამგვარი მოთხოვნის წაყენების შემთხვევაში, მგფ გრანტის სახით დააფინანსებს ყველა სახის მოსამზადებელ გამოკვლევას (წინასწარი და საბოლოო საპროექტო გათვლების ჩათვლით), რომელიც მისი ტექნიკური დახმარების პროგრამის ფარგლებში არის საჭირო იმ პროექტებისათვის, რომელთა ღირებულება წინასწარი გათვლებით არ უნდა აღემატებოდეს 600,000 აშშ დოლარს. იმ პროექტების მოსამზადებელი გამოკვლევების ხარჯები, რომელთა ღირებულებაც 600,000 აშშ დოლარს ზევით არის, ინდივიდუალურად განისაზღვრება ყოველი პროექტისათვის, მაგრამ პრინციპში დაფინანსების მსურველი ადგილობრივი მმართველობის ორგანოს მიერ უნდა იქნას დაფარული და საჭიროებისამებრ შესაძლოა სესხის თანხაში იქნას გათვალისწინებული.

## 3.2 ტექნიკური დახმარების ღონისძიებები

### 3.2.1 ძირითადი პრინციპები

- ქვემოთ მოყვანილია მგფ II-ის ფარგლებში დაფინანსებული ტექნიკური დახმარების ღონისძიებები
  - ადგილობრივი და/ან საერთაშორისო კონსულტანტების, ინდივიდების ან ფირმების მიერ უზრუნველყოფილი საკონსულტაციო მომსახურება
  - ტრენინგები

ტექნიკური დახმარების ამგვარი ღონისძიებები არ გულისხმობს რაიმე სახის აღჭურვილობის, სატრანსპორტო საშუალებების ან სხვა საქონლის უზრუნველყოფას, გამონაკლისს წარმოადგენს პროგრამები, რაც ხელს შეუწყობს მგფ-ს და/ან ადგილობრივი მმართველობის ორგანოების მართვის უნარიანობის გაუმჯობესებას.

- მგფ II-ის ფარგლებში დაფინანსებული ტექნიკური დახმარების მიმღებთა შორის არის:
  - ფინანსთა სამინისტრო და სხვა სამთავრობო ორგანიზაციები
  - ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები
  - ადგილობრივი კომუნალური საწარმოები
  - მგფ-ს დეპარტამენტები

ტექნიკური დახმარების უზრუნველყოფა რომელიმე სხვა დაწესებულებისათვის მხოლოდ მსოფლიო ბანკთან წინასწარი შეთანხმების და თანხმობის შემთხვევაში არის შესაძლებელი.

## 3.2.2 ტექნიკური დახმარების მართვის პროცედურები

### 3.2.2.1 მომზადება

მეფ/ტლდ სხვა დეპარტამენტებთან თანამშრომლობის შედეგად და ერთის მხრივ ტექნიკური დახმარებით პოტენციურ მოსარგებლებთან და მეორეს მხრივ მსოფლიო ბანკთან მჭიდრო კონსულტაციების საფუძველზე განსაზღვრავს და შეათანხმებს უზრუნველსაყოფი დახმარების მოცულობასა და პერიოდს.

მოცულობასა და განხორციელების პერიოდზე წინასწარ ხელშეკრულებაზე დაყრდნობით, და დიდი პროგრამების შემთხვევაში, სამეთვალყურეო საბჭოს მიერ წინასწარი დამტკიცების შემდეგ, მეფ/ტლდ მოამზადებს შესაბამის ტექნიკურ დავალებას და/ან ნებისმიერ სხვა მოსამზადებელ დოკუმენტს და დასამტკიცებლად წარუდგენს პოტენციურ მოსარგებლებს და მსოფლიო ბანკს.

ტექნიკური დავალების თაობაზე საჭირო შეთანხმების მიღწევის შემდეგ, მეფ/ტლდ ცაგ/შესყიდვების რგოლთან მჭიდრო თანამშრომლობით მოამზადებს იმ კონსულტანტების საბოლოო სიას, რომლებიც მოწვეულნი იქნებიან მოთხოვნილი მომსახურების შესახებ წინადადებების წარმოსადგენად და შემდგომ ამ წინადადებებს მსოფლიო ბანკს გადასცემს დასამტკიცებლად.

### 3.2.2.2 შესყიდვები

ტექნიკური დახმარების ფარგლებში განსახორციელებელი ყველა სახის მომსახურების შესყიდვა და ხელშეკრულებების გაფორმება იწარმოებს ქვემოთმოყვანილი პარაგრაფი 4-ის თანახმად.

## 4. პროექტის განხორციელება

### 4.1 შესყიდვები

#### 4.1.1 ძირითადი პრინციპები

მსოფლიო ბანკის საკრედიტო სახსრებით დასაფინანსებელი სამშენებლო სამუშაოების, საქონლის და მომსახურების შესყიდვები იწარმოებს ბანკის მიერ 1995 წლის იანვარში გამოცემული და 1996 წლის იანვარში და აგვისტოში და 1997 წლის სექტემბერსა და 1999 წლის იანვარში გადასინჯული "მსოფლიო ბანკის სახელმძღვანელო შესყიდვებისათვის" და 1997 წლის იანვარში გამოცემული და 1997 წლის სექტემბერში და 1999 წლის იანვარში გადასინჯული "მსოფლიო ბანკის სახელმძღვანელო კონსულტანტთა შერჩევისათვის" თანახმად.

სამუშაოებისა და საქონლის შესყიდვა შეძლებისდაგვარად საკონკურსო პაკეტებით იწარმოებს, თითოეული პაკეტის ღირებულება დაახლოებით 600,000 აშშ დოლარის ექვივალენტს ან მეტს შეადგენს, იმ მიზნით, რომ მოხდეს საერთაშორისო საკონკურსო ვაჭრობის ხელშეწყობა.

წესები ადგილობრივი საქონლისა და კონტრაქტორებისათვის უპირატესობის მინიჭების შესახებ ვრცელდება იმ სამუშაოებზე, რომელსაც ქართველი კონტრაქტორები აწარმოებენ და იმ საქონლის შესყიდვაზე, რომელიც საქართველოში არის წარმოებული "მსოფლიო ბანკის სახელმძღვანელო შესყიდვებისათვის" განსაზღვრული პირობების შესაბამისად.

#### 4.1.2 სამშენებლო სამუშაოების შესყიდვა

სამშენებლო სამუშაოების შესყიდვები შემდეგი პრინციპით იწარმოებს:

- (ა) საერთაშორისო საკონკურსო ვაჭრობა: შესყიდვები ყველა იმ სამუშაოებისათვის, რომელთა წინასწარი ღირებულება თითოეული კონტრაქტისათვის 600,000 აშშ დოლარის ექვივალენტს უდრის ან აღემატება, საერთაშორისო საკონკურსო ვაჭრობის პროცედურების თანახმად განხორციელდება.
- (ბ) ადგილობრივი საკონკურსო ვაჭრობა: შესყიდვები ყველა იმ სამუშაოებისათვის, რომელთა წინასწარი ღირებულება თითოეული კონტრაქტისათვის 600,000 აშშ დოლარის ექვივალენტზე ნაკლებია, ადგილობრივი საკონკურსო ვაჭრობის პროცედურების თანახმად განხორციელდება.
- (გ) მცირე სამუშაოების შესყიდვა: შესყიდვები ყველა იმ სამუშაოებისათვის, რომელთა წინასწარი ღირებულება თითოეული კონტრაქტისათვის 100,000 აშშ დოლარის ექვივალენტზე ნაკლებია, იწარმოებს ფიქსირებული ფასის კონტრაქტების პროცედურების თანახმად, რომელთა მინიჭებაც წერილობითი მოწვევის პასუხად სამი კვალიფიციური ადგილობრივი კონტრაქტორის მიერ წარმოდგენილი ფასთა კოტირების საფუძველზე განხორციელდება. მოწვევა შეიცავს: სამუშაოების დეტალურ აღწერას, ძირითადი სპეციფიკაციების ჩათვლით, დასრულების თარიღს, მსოფლიო ბანკისათვის მისაღებ ხელშეკრულების ძირითად ფორმას, და შესაბამის ნახაზებს, საჭიროებისამებრ. კონტრაქტი მიენიჭება იმ კონტრაქტორს, რომელსაც განსახორციელებელი სამუშაოებისათვის ყველაზე დაბალი ფასის მქონე ფასთა კოტირება აქვს წარმოდგენილი და რომელსაც კონტრაქტის წარმატებით შესასრულებლად საჭირო გამოცდილება და რესურსები გააჩნია.

#### 4.1.3 საქონლის შესყიდვა

- (ა) საერთაშორისო საკონკურსო ვაჭრობა: შესყიდვები ყველა იმ საქონლისათვის, რომლის წინასწარი ღირებულება თითოეული კონტრაქტისათვის 100,000 აშშ დოლარის ექვივალენტს უდრის ან აღემატება, საერთაშორისო საკონკურსო ვაჭრობის პროცედურების თანახმად განხორციელდება.
- (ბ) საერთაშორისო ვაჭრობა: შესყიდვები ყველა იმ საქონლისათვის, რომლის წინასწარი ღირებულება თითოეული კონტრაქტისათვის 100,000 აშშ დოლარის ექვივალენტზე ნაკლებია, საერთაშორისო ვაჭრობის პროცედურების თანახმად განხორციელდება.

ზემოხსენებული საერთაშორისო ვაჭრობის პროცედურების ალტერნატივის სახით, საქონლის შესყიდვა შესაძლოა განხორციელდეს გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) სააგენტოთაშორისი შესყიდვების სამსახურის (IAPSO) მეშვეობით, მსოფლიო ბანკის სახელმძღვანელოს 3.9 პარაგრაფის პირობების შესაბამისად.

- (გ) ადგილობრივი ვაჭრობა: შესყიდვები ყველა იმ საქონლისათვის, რომლის წინასწარი ღირებულება თითოეული კონტრაქტისათვის 50,000 აშშ დოლარის ექვივალენტზე ნაკლებია, ადგილობრივი ვაჭრობის პროცედურების თანახმად განხორციელდება.
- (დ) პირდაპირი კონტრაქტი: შესყიდვები იმ საფირმო სათადარიგო ნაწილებისა და ნაკეთობებისათვის, რომელთა წინასწარი ღირებულებაც მთლიანობაში 40 აშშ დოლარს უდრის ან ნაკლებია, მსოფლიო ბანკის წინასწარი თანხმობით შესაძლოა განხორციელდეს მსოფლიო ბანკის სახელმძღვანელოს პარაგრაფი 3.7-ის პირობების თანახმად.

#### 4.1.4 შესარჩევი პროცედურები საკონსულტაციო მომსახურებისათვის

საკონსულტაციო მომსახურების კონტრაქტების მინიჭება განხორციელდება შერჩევის შემდეგი მეთოდების გამოყენებით:

- (ა) ქვემოთ მოყვანილი ბ), გ) და დ) პუნქტების გამოკლებით, ყველა სახის საკონსულტაციო მომსახურებისათვის გამოყენებული იქნება ხარისხისა და ფასის მიხედვით შერჩევის პროცედურები.
- (ბ) ყველაზე დაბალი ფასის მიხედვით შერჩევის პროცედურები გამოყენებული იქნება იმ სახის საკონსულტაციო მომსახურებისათვის, როგორც არის ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთებების მომზადება, რომელთა ღირებულებაც თითოეული კონტრაქტისათვის 100,000 აშშ დოლარის ექვივალენტზე ნაკლებია, მსოფლიო ბანკის სახელმძღვანელოს პარაგრაფების 3.1 და 3.7 პირობების შესაბამისად.
- (გ) კონსულტანტების კვალიფიკაციის მიხედვით შერჩევა გამოყენებული იქნება ძალიან მცირე მოცულობის საკონსულტაციო მომსახურებისათვის, რომლის წინასწარი ღირებულებაც თითოეული კონტრაქტისათვის 100,000 აშშ დოლარის ექვივალენტზე ნაკლებია, მსოფლიო ბანკის სახელმძღვანელოს პარაგრაფების 3.1 და 3.7 პირობების შესაბამისად..
- (დ) ინდივიდუალური კონსულტანტების შერჩევის პროცედურები იმ მომსახურებისათვის გამოიყენება, რომელიც მსოფლიო ბანკის სახელმძღვანელოს 5.1-5.3 პარაგრაფებში განსაზღვრულ კრიტერიუმებს შეესაბამება.

საკონსულტაციო მომსახურების საბოლოო სიები შესაძლოა მთლიანად ადგილობრივი კონსულტანტებით იყოს დაკომპლექტებული (ფირმები, რომელთა აქციების საკონტროლო პაკეტი ეროვნულ მფლობელობაშია და ქვეყანაში არიან რეგისტრირებულნი ან იურიდიულად გაფორმებულნი), იმ შემთხვევაში თუ მომსახურების ღირებულება 200,000 აშშ დოლარის ექვივალენტზე დაბალია, კონკურენტუნარიან ფასად არსებობს კვალიფიციური ფირმების საკმარისი რაოდენობა (სამი მაინც) და უცხოელი კონსულტანტების მოსაწვევი კონკურსი გამართლებული არ არის. თუმცა, იმ შემთხვევაში, თუ უცხოური ფირმები ინტერესს გამოხატავენ, ისინი გათვალისწინებულნი უნდა იქნან.

#### 4.1.5 ბიზნეს-შესაძლებლობის გამოცხადება

ზოგადი განცხადება შესყიდვების შესახებ განვითარების ბიზნესის 2002 წლის 31 მაისის ნომერში გამოქვეყნდა და ყოველწლიურად განახლდება იმ ჩასატარებელი საერთაშორისო საკონკურსო ვაჭრობების და საკონსულტაციო მომსახურების დიდი ტენდერების შემთხვევაში, რომელთა ღირებულებაც 200,000 აშშ დოლარს აღემატება. კონსულტანტების

კონტრაქტებისათვის, რომელთა ღირებულებაც 200,000 აშშ დოლარს აღემატება, განვითარების ბიზნესში და ფართოდ გავრცელებულ ადგილობრივ გაზეთში გამოქვეყნდება მოთხოვნა ინტერესის გამოხატვის შესახებ. სამშენებლო სამუშაოების და საქონლის კონტრაქტებისათვის მოწვევა საკონკურსო ვაჭრობაზე ბანკის სახელმძღვანელოს მოთხოვნების თანახმად გამოქვეყნდება.

#### 4.1.6 შესყიდვების შესახებ გადაწყვეტილებების განხილვა ბანკის მიერ

##### 4.1.6.1 შესყიდვების დაგეგმვა:

საინვესტიციო სესხის ფარგლებში განსახორციელებელი ქვე-პროექტების განსაზღვრის შემდეგ მფუ მათ შესყიდვების გეგმაში შეიტანს, რომელიც სტანდარტული კვარტალური პროექტის განხორციელების ანგარიშის ნაწილს წარმოადგენს. შესყიდვების გეგმა მსოფლიო ბანკის მიერ იქნება განხილული, მსოფლიო ბანკის სახელმძღვანელოს დანართ 1-ის პარაგრაფი 1-ის თანახმად, საკონკურსო ვაჭრობის გამოცხადებამდე.

##### 4.1.6.2 წინასწარი განხილვა:

(ა) **სამშენებლო სამუშაოები:** წინასწარ განხილვას დაექვემდებარება: საერთაშორისო საკონკურსო ვაჭრობის ყველა, ადგილობრივი საკონკურსო ვაჭრობის პირველი ორი და ადგილობრივი საკონკურსო ვაჭრობის ყველა ის კონტრაქტი, რომლის ღირებულებაც 300,000 აშშ დოლარის ღირებულებას აღემატება და მცირე სამუშაოების პირველი ორი კონტრაქტი;

(ბ) **საქონელი:** წინასწარ განხილვას დაექვემდებარება: საერთაშორისო საკონკურსო ვაჭრობის ყველა, საერთაშორისო ვაჭრობისა და ადგილობრივი ვაჭრობის პირველი ორი და პირდაპირი შესყიდვების ყველა კონტრაქტი;

##### (გ) საკონსულტაციო მომსახურება:

- საკონსულტაციო ფირმების იმ კონტრაქტებისათვის, რომელთა ღირებულებაც 100,000 აშშ დოლარის ექვივალენტს უდრის ან მაღალია წინასწარ განხილვას დაექვემდებარება: მოთხოვნა წინადადებების წარმოდგენის შესახებ, ტექნიკური დავალება, საბოლოო სიები, კონტრაქტების პირობები, ისევე როგორც შეფასების ანგარიშები და რეკომენდაციები კონტრაქტების მინიჭების თაობაზე.
- ინდივიდუალური კონსულტანტების იმ კონტრაქტებისათვის, რომელთა ღირებულებაც 50,000 აშშ დოლარის ექვივალენტზე მაღალია წინასწარ განხილვას დაექვემდებარება: კვალიფიკაცია, გამოცდილება, ტექნიკური დავალება, კონტრაქტების პირობები, ისევე როგორც შეფასების ანგარიშები და რეკომენდაციები კონტრაქტების მინიჭების თაობაზე.
- საკონსულტაციო ფირმების იმ კონტრაქტებისათვის, რომელთა ღირებულებაც 100,000 აშშ დოლარის ექვივალენტზე დაბალია, წინასწარ განხილვას დაექვემდებარება: ფირმების საბოლოო სიები და კონსულტანტების სამუშაოზე აყვანის პირობები.
- ინდივიდუალური კონსულტანტების იმ კონტრაქტებისათვის, რომელთა ღირებულებაც 50,000 აშშ დოლარის ექვივალენტზე დაბალია წინასწარ განხილვას დაექვემდებარება მხოლოდ ტექნიკური დავალება.

##### 4.1.6.3 შემდგომი განხილვა:

ბანკის სამეთვალყურეო მისიების მსვლელობაში შესყიდვების იმ პაკეტებიდან, რომელთაც ბანკის წინასწარი განხილვა არ გაუვლია 5-დან 1 მაინც დაექვემდებარება შემდგომ განხილვას.

## 4.2 განხორციელების ზედამხედველობა

4.2.1 მგფ/ისდ, სესხის ამლები ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს სახელით, განხორციელებს კონკრეტული სესხის ფარგლებში დადებული კონტრაქტების განხორციელების ყველა ასპექტის ზედამხედველობას, (ე.ი. ტექნიკურ ზედამხედველობას, კონტრაქტის მართვას და ფინანსურ კონტროლს, გადახდებს კონტრაქტორებისა და/ან მომწოდებლებისათვის, გარემოზე ზეგავლენის მონიტორინგს და ა.შ.). აღნიშნულ ზედამხედველობას მგფ ან უშუალოდ თავისი თანამშრომლების, ან ამ მიზნით მის მიერ დაქირავებული კონსულტანტების მეშვეობით განხორციელებს. ზედამხედველობის ხარჯები მგფ-ს მიერ დაიფარება მისივე საოპერაციო ხარჯებიდან.

4.2.2 მგფ-ს მიერ მისი საოპერაციო ხარჯებიდან დაფინანსებული ზედამხედველი კონსულტანტების შერჩევა და მათთან კონტრაქტების გაფორმება საქართველოს რესპუბლიკის შესაბამისი კანონმდებლობით რეგულირდება.

4.2.3 ზედამხედველი კონსულტანტების საქმიანობას კოორდინაციას და მეთვალყურეობას გაუწევს მგფ/ისდ-ს დირექტორი ან მის მიერ ამ მიზნით დანიშნული თანამშრომელი.

4.2.4 მგფ პასუხისმგებელია სესხის ამლები ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს და/ან სხვა მესამე მხარის წინაშე ზედამხედველი კონსულტანტების მიერ შესრულებული სამუშაოების ხარისხზე, და იურიდიულ და ფინანსურ პასუხისმგებლობას კისრულობს კონსულტანტების მიერ დაშვებული პროფესიონალური შეცდომებით ან ცუდი შესრულებით გამოწვეულ ზარალთან ან დამატებით ხარჯებთან დაკავშირებით.

4.2.5 სესხის ამლებ ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს უფლება ექნება მოიწვიოს თავისი საკუთარი ექსპერტ-ზედამხედველები და ხელი უნდა მოაწეროს ზედამხედველი კონსულტანტების მიერ გამოწერილ ყველა ანგარიშფაქტურას.

4.2.6 მგფ/ტდდ პასუხისმგებელია პროექტის განხორციელების ყველა ასპექტზე. ამ მიზნით იგი ტექნიკური დახმარების მიმღებებთან და საჭიროებისამებრ სხვა დაინტერესებულ ორგანიზაციებთან და საზოგადოებრიობის წარმომადგენლებთან ერთად თვალყურს ადევნებს და მჭიდრო ზედამხედველობას გაუწევს კონსულტანტების ან მომსახურების სხვა უზრუნველყოფების მოღვაწეობას.

## 4.3 მონიტორინგი და შეფასება

4.3.1 მგფ ააწყოებს სისტემებს, იმისათვის, რომ სათანადო მონიტორინგი გაუწიოს ინვესტიციების და ტექნიკური დახმარების ღონისძიებების საშუალო და გრძელ-ვადიან შედეგებს, რაც სესხის ამლები ადგილობრივი მმართველობის ორგანოს და/ან სხვა მოსარგებლის შესრულების მაჩვენებელზე აისახება, ჩაატარებს პერიოდულ შემდგომ შეფასებებს და ახალი ოპერაციების დაგეგმვისას გაითვალისწინებს შეფასებულ შედეგებს..

4.3.2 თავისი მონიტორინგისა და შეფასების სისტემის ხელშესაწყობად მგფ თითოეული ოპერაციისათვის განსაზღვრავს:

- მონიტორინგის სათანადო მაჩვენებლებს, რომელიც საშუალებას მისცემს გაზომოს ინვესტიციის ან ტექნიკური დახმარების ზეგავლენა სესხის ამლები ადგილობრივი მმართველობის ორგანოს და საზოგადოების სხვადასხვა ჯგუფების შესრულების მაჩვენებელზე;

- მონიტორინგის მექანიზმებს, რათა თვალყური ადევნოს მგფ-ს პროექტების მოსარგებლების აქტიურ მონაწილეობას და საქმიანობას, ადრეულ ეტაპზე განსაზღვროს შესაძლო პრობლემები და შეიმუშაოს მათი შემამსუბუქებელი სტრატეგია და ზომები.
- კრიტერიუმებს, ინვესტიციების განხორციელებით და მათი შემდგომი ექსპლუატაციით და/ან გამოყენებით გამოწვეული გარემოზე ზეგავლენის მონიტორინგისათვის.

4.3.3 2004 წლის 31 დეკემბრისათვის [ან მსოფლიო ბანკთან შეთანხმებული უფრო მოგვიანებითი თარიღისათვის] მგფ მოამზადებს შუალედურ ანგარიშს, რომელშიც შეაჯამებს იმ დროისათვის განხორციელებული მონიტორინგისა და შეფასების შედეგებსა და პროექტის განხორციელებაში მიღწეულ პროგრესს, და რომელშიც საჭიროებისამებრ განსაზღვრავს პროექტის დამაკმაყოფილებელი განხორციელებისათვის მისაღებ აუცილებელ ზომებს. ანგარიში მსოფლიო ბანკის მიერ განიხილება 2005 წლის 28 თებერვლისათვის [ან მსოფლიო ბანკთან შეთანხმებული უფრო მოგვიანებითი თარიღისათვის].

## 5. პროექტის ფინანსური მართვა

### 5.1 სპეციალური ანგარიში

პროექტის მიმდინარეობისას, პროექტის ეფექტური განხორციელებისა და მსოფლიო ბანკის ფინანსური სახსრების ხარჯვისათვის გამოყენებული იქნება სპეციალური ანგარიში ("სა"). სა-ს ბრუნვადი ანგარიშის ფუნქცია ეკისრება, რომლის მეშვეობითაც მსოფლიო ბანკი წინასწარ გადარიცხვას აწარმოებს კრედიტიდან ამ ანგარიშზე, ხოლო შემდგომ, წარმოდგენილი სათანადო შევსების განაცხადის საფუძველზე შეავსებს სპეციალურ ანგარიშს. გადარიცხვების წარმოება ასევე შესაძლებელია გადახდების ფორმით, რომელსაც უშუალოდ მსოფლიო ბანკი ახორციელებს (ძირითადად საერთაშორისო გადახდებისათვის), ან მთავრობის მიერ უკვე გაწეული პროექტის ხარჯების ასანაზღაურებლად.

მკაცრად აკრძალულია სა-ს ნებისმიერი ნაწილის გამოყენება მთავრობის თანადაფინანსების წილის დასაფინანსებლად. ნებისმიერი ამგვარი არაუფლებამოსილი ხარჯის დაფარვისას სა-დან, მსოფლიო ბანკს უფლება აქვს არ განათავსოს ნებისმიერი შემდგომი დეპოზიტები იქამდე, სანამ მთავრობა არ აანაზღაურებს ამ თანხებს. სა-დან თანხების გამოტანა მხოლოდ უფლებამოსილი ხარჯებისათვის არის შესაძლებელი. იმ შემთხვევაში, თუ უფლებამოსილი გადახდები ეროვნულ ვალუტაში უნდა განხორციელდეს, თანხა ირიცხება სა-დან და ხდება მისი კონვერტირება იმ დღეს დაფიქსირებული ოფიციალური გადაცვლის კურსის თანახმად.

ყოველთვიურად, ან უფრო ხშირად, საჭიროებისამებრ, მგფ-ს ფინანსების სპეციალისტები მოამზადებენ საჭირო დამხმარე დოკუმენტაციას სტანდარტული შევსების განაცხადისათვის პროექტის ფარგლებში განხორციელებულ საქმიანობასთან დაკავშირებით, იმ ჩანაწერებსა და ქვითრებზე დაყრდნობით, რომელსაც მათ მგფ-ს ბუღალტერია მიაწოდებს და რომელიც თავის მხრივ უზრუნველყოფს, რომ წარმოებული იყოს შესაბამისი საბუღალტრო ჩანაწერები. შევსების განაცხადი და მასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია მგფ-ს ფინანსური მენეჯერის მიერ შემოწმდება და დამტკიცდება მგფ-ს აღმასრულებელი დირექტორის მიერ. ამგვარ დამხმარე დოკუმენტაციაში შევა დანახარჯების უწყისების ჩამონათვალი, იმ დანახარჯებისათვის,

რომელიც წინასწარი განხილვის ზღვარს ქვემოთ არის და სრული დოკუმენტაცია, იმ დანახარჯებისათვის, რომელიც წინასწარი განხილვის ზღვარს ზევით არის, ზემოთ მოყვანილი დოკუმენტაცია მსოფლიო ბანკის გადახდების სახელმძღვანელოში განსაზღვრული მოთხოვნების შესაბამისად უნდა იქნას მომზადებული. მგფ-ს ფინანსების სპეციალისტები ფორმა 1903-ის გამოყენებით მოამზადებენ შევსების განაცხადს და აღნიშნულ ფორმას მსოფლიო ბანკს წარუდგენენ სპეციალური ანგარიშის შესავსებად.

## 5.2 ეროვნული ვალუტის ანგარიში

მგფ გახსნის ეროვნული ვალუტის ანგარიშს მსოფლიო ბანკისათვის მისაღებ ადგილობრივ კომერციულ ბანკში. ეროვნული ვალუტის ანგარიში გამოყენებული იქნება უფლებამოსილი გადახდების საწარმოებლად ეროვნულ ვალუტაში. გადაცვლასთან დაკავშირებული რისკის მინიშნულად დასაყვანად, სავარაუდოა, რომ მნიშვნელოვანი ფინანსური სახსრები არ დაგროვდეს ეროვნული ვალუტის ანგარიშზე, არამედ მხოლოდ ლარებში გადასახდელი მიმდინარე ხარჯებისათვის საჭირო თანხები იქნას გადარიცხული და კონვერტირებული სპეციალური ანგარიშიდან ეროვნული ვალუტის ანგარიშზე გამოსაყენებლად.

## 5.3 საბუღალტრო აღრიცხვის პროცედურები

### 5.3.1 შედარებები

მგფ მსოფლიო ბანკიდან მიიღებს გადახდების ავიზოებს და ყოველთვიური გადარიცხვების ჯამურ ანგარიშს, რომელშიც მოცემული იქნება პირდაპირი გადახდების და სპეციალური ანგარიშის შევსების დეტალები. მგფ-ს ბუღალტერმა უნდა განახორციელოს ყოველთვიური შედარებები პროექტის ჩანაწერებსა და მსოფლიო ბანკის აღნიშნულ უწყისებს შორის, რათა უზრუნველყოს ყველა შევსების მიღება და აღრიცხვა და ყველა მოთხოვნილი პირდაპირი გადახდის ზუსტად განხორციელება.

ის ბანკი, სადაც სპეციალური ანგარიში გაიხსნება, გასცემს გადახდების და მიღების ავიზოებს და ყოველთვიურ საბანკო უწყისებს სპეციალური ანგარიშისათვის. უნდა განხორციელდეს აგრეთვე აღნიშნულის შედარება პროექტის ჩანაწერებთან. ბანკის შედარებები მგფ-ს ბუღალტერიის მიერ უნდა მომზადდეს, შემოწმდეს მგფ-ს ფინანსური მენეჯერის მიერ და მინიშნულ ყოველთვიურად დამტკიცდეს მგფ-ს აღმასრულებელი დირექტორის მიერ.

მსოფლიო ბანკიდან მიღებული გადახდების ავიზოები და ყოველთვიური გადარიცხვების ჯამური ანგარიში უნდა აგრეთვე შემოწმდეს მგფ-ს მიერ მომზადებულ შევსების განაცხადებთან მიმართებაში. ბუღალტერმა უნდა უზრუნველყოს, რომ მსოფლიო ბანკის გადარიცხვების ოფისს მიეწოდებოდეს მისამართების ზუსტი დეტალები, რათა მგფ დროულად და სათანადოდ იღებდეს გადახდების ავიზოებს და ყოველთვიური გადარიცხვების ჯამურ ანგარიშს.

სპეციალური ანგარიშის ოპერაციების ყველა ჩანაწერი სათანადოდ უნდა წარმოებდეს და ინახებოდეს მინიშნულ ერთი წლის განმავლობაში მსოფლიო ბანკის მიერ ყოველი ფისკალური წლის (31 დეკემბრამდე) წლიური აუდიტის ანგარიშის მიღებიდან. ეს კი მოიცავს ქვითრების და გადახდების, საბანკო უწყისებისა და ყოველთვიური შედარებების ყველა დედან-ჩანაწერს.

### 5.3.2 ცვლილება საბუღალტრო აღრიცხვის პოლიტიკასა და წინასწარი აღრიცხვაში

ორგანიზაციის მიერ განხორციელებულმა საბუღალტრო აღრიცხვის შეცვლამ შესაძლოა მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინოს ფინანსური მდგომარეობის, საბუღალტრო აღრიცხვის პერიოდის განმავლობაში განხორციელებული ოპერაციების შედეგების და შედარებით ფინანსურ უწყისებში და წარსული პერიოდების განმავლობაში წარმოჩენილი ტენდენციებისა წარმოდგენაზე. შესაბამისად ცვლილება იმგვარად უნდა იყოს წარმოდგენილი, რომ გაადვილდეს ფინანსური უწყისების ანალიზი და გააზრება. უნდა აღინიშნოს, რომ არსებულ ფინანსურ უწყისებში შეცდომის ჩასწორება არ უნდა ჩაითვალოს საბუღალტრო ცვლილებად, მაგრამ მიუხედავად ამისა თუ იგი მნიშვნელოვანია მაინც უნდა მოხდეს მისი გამოამჟღავნება.

თუ პროექტის მიმდინარეობისას რაიმე ცვლილების შეტანა მოხდა საბუღალტრო აღრიცხვის პოლიტიკასა თუ წინასწარ აღრიცხვაში, ან ადგილი ჰქონდა უწინ დაშვებული მნიშვნელოვანი შეცდომის ჩასწორებას, მგფ-ს ფინანსურ მენეჯერს გათვითცნობიერებული უნდა ჰქონდეს, რომ საჭიროა ამ ფაქტების გამოამჟღავნება ანგარიშგებისას და ასევე ფინანსურ უწყისებში.

#### ○ ცვლილება საბუღალტრო აღრიცხვის პოლიტიკაში

ცვლილება საბუღალტრო აღრიცხვის პოლიტიკაში განპირობებულია ანგარიშგებისათვის უწინ გამოყენებული პრინციპისაგან განსხვავებული საბუღალტრო აღრიცხვის პრინციპის მიღებითა ან გამოყენებით. საბუღალტრო აღრიცხვის პოლიტიკის ცვლილების მახასიათებელი იმაში მდგომარეობს, რომ იგი შეეხება არჩევანს საბუღალტრო აღრიცხვის ორ ან მეტ ნებადართულ ინტერპრეტაციას შორის.

#### ○ ცვლილება წინასწარ აღრიცხვაში

ცვლილება საბუღალტრო აღრიცხვაში გამოყენებულ წინასწარი აღრიცხვაში ფინანსური უწყისების პერიოდული წარმოდგენის აუცილებელ შედეგს წარმოადგენს. ფინანსური უწყისების მომზადება მომავალი მოვლენების შედეგების შეფასებას საჭიროებს. წინასწარ აღრიცხვაში შეტანილი ცვლილების შედეგი გათვალისწინებული უნდა იქნას ამ ცვლილების პერიოდში, თუ ეს ცვლილება მხოლოდ ამ პერიოდს ეხება, ან ცვლილების პერიოდში და შემდგომ პერიოდებში, თუკი ცვლილება ირივეს ეხება.

#### ○ ნებართვები

ნებისმიერი ცვლილება საბუღალტრო აღრიცხვის პოლიტიკაში ფინანსური დირექტორის მიერ უნდა იქნას აღწერილი წერილობითი ფორმით და დამატების სახით თანდართული სამოქმედო სახელმძღვანელოზე. სახელმძღვანელოს დამატება მგფ-ს აღმასრულებელი დირექტორის მიერ უნდა დამტკიცდეს, რის შედეგადაც იგი დანართის განუყოფელი ნაწილი გახდება. გათვალისწინებულია, რომ ცვლილება საბუღალტრო აღრიცხვის პოლიტიკაში შეიძლება შემდეგი მიზეზებით იყოს გამოწვეული:

- (ა) ცვლილებები სავალდებულოა და შეთანხმებულია საქართველოს კანონმდებლობასთან – ამ შემთხვევაში ცვლილება განხორციელდება შესაბამისი

ნორმატიული აქტის(ების) საფუძველზე. მგფ-ს ფინანსური მართვის სისტემაში ცვლილებების შეტანის დეტალური დირექტივები (იმ შემთხვევაში, თუ შესაბამისი ნორმატიული აქტი არ ითვალისწინებს ამგვარ დირექტივებს) მგფ-ს ფინანსური მენეჯერის მიერ იქნება გაცემული და შემდგომ შეფასდება მგფ-ს აღმასრულებელი დირექტორის მიერ. საჭირო არ არის სხვა დამატებითი ნებართვების მოპოვება.

- (ბ) ცვლილებები "ხელსაყრელია" – ცვლილებები განპირობებულია პროექტის სპეციფიკით. ამგვარ სიტუაციაში ცვლილებები მსოფლიო ბანკთან უნდა იქნას შეთანხმებული. წერილობით დირექტივებს, რომელსაც მგფ-ს ფინანსური მენეჯერი გასცემს, შემდგომ მგფ-ს აღმასრულებელი დირექტორი დაამტკიცებს.

### 5.3.3 შეცდომის ჩასწორება არსებულ ფინანსურ უწყისებში

არსებულ ფინანსურ უწყისებში შეცდომის ჩასწორების შესახებ ანგარიშგება საბუღალტრო აღრიცხვის ცვლილების შესახებ ანგარიშგების ანალოგიურ ფაქტორებს ეხება. შეცდომები ფინანსურ უწყისებში გამოწვეულია მათემატიკური შეცდომებით, შეცდომებით საბუღალტრო აღრიცხვის სტანდარტების გამოყენებაში, ან იმ ფაქტების უგულებელყოფით ან არასწორი გამოყენებით, რომელიც ფინანსური უწყისების მომზადებისას არსებობდა.

შეცდომები ფინანსურ უწყისებში ორ კატეგორიად იყოფა:

- (ა) არსებითი შეცდომა – შეცდომა, რომელიც გავლენას ახდენს არააუდიტირებულ ფინანსურ უწყისში წარმოდგენილ ინფორმაციაზე – ე.ი. არასწორად წარმოადგენს პროექტის ხარჯებს, დაფინანსებას დაფინანსების წყაროების მიერ, ან საბანკო ანგარიშის ნაშთებს და ბალანსის სხვა პუნქტებს ფაქტიური თანხების 1%-ზე მაღალი ცდომილებით;
- (ბ) უმნიშვნელო შეცდომა – შეცდომა, რომელსაც ზემოთ მოყვანილი შედეგი არ მოჰყვება.

იმ შემთხვევაში, როდესაც ადგილი ექნება არსებით შეცდომას, მგფ განუმარტავს ფინანსური უწყისების მიმღებებს შეცდომის ხასიათსა და მიზეზს. მგფ ხელახლა გაგზავნის ფინანსურ უწყისებს დამატებითი სტრიქონით (და/ან საჭიროებისამებრ განმარტებითი ბარათით), რომელშიც ჩასწორებული იქნება წინა ფინანსურ უწყისში დაშვებული შეცდომა.

თუ არსებითი შეცდომა, რაიმე მიზეზის გამო, აუდიტირებულ ფინანსურ უწყისებში არის დაშვებული, მგფ ამ შეცდომის შესასწორებლად აუდიტორს დაუკავშირდება და ხელახლა გამოსცემს აუდიტის ანგარიშს.

იმ შემთხვევაში, თუ შეცდომა უმნიშვნელოა, მიმღებს გაეგზავნება შეტყობინება ამ შეცდომის ხასიათის, მიზეზის და შემასწორებელი ზომების შესახებ.

### 5.3.4 გამოაშკარავება

იმ შემთხვევაში, თუ საბუღალტრო აღრიცხვის პოლიტიკაში ცვლილებები ანგარიშგების პერიოდში იქნა შეტანილი, საჭიროა ამ ცვლილებების და მათი მიზეზების გამოაშკარავება. თუკი ამ ცვლილებებმა არსებით მატერიალურ და ფინანსურ შედეგებამდე მიგვიყვანა, აუცილებელია მიმდინარე წლის მოგებასა ან დანაკარგზე ამ ცვლილების ზეგავლენის ხასიათისა და რაოდენობრივი მაჩვენებლის გამოაშკარავება. წინა პერიოდის ცვლილებების ხასიათი, რომელიც შეცდომის ჩასწორებასთან იყო დაკავშირებული, ორგანიზაციის ფინანსური უწყისების ჩანაწერებში უნდა იქნას შეტანილი.

### 5.3.5 მონიტორინგი და ანგარიშგება

საინფორმაციო სისტემა უნდა გადაისინჯოს, რათა უზრუნველყოფილ იქნას მსოფლიო ბანკისათვის დამაკმაყოფილებელი პროექტის მონიტორინგის ანგარიშგების წარმოდგენა და გაადვილდეს პროექტის ოპერაციების მართვა. აღნიშნული გულისხმობს: შესაბამისი სტრუქტურის ჩამოყალიბებას ხელმძღვანელი პირებისა და პასუხისმგებელი თანამშრომლებისათვის ინფორმაციის მისაწოდებლად, იმისათვის, რომ მათ სათანადოდ განახორციელონ თავისი საქმიანობა; ზომების მიღებას მთავრობასთან, სამეთვალყურეო ორგანიზაციებთან, მომწოდებლებთან, პროექტით მოსარგებლებთან, მსოფლიო ბანკთან და სხვა დონორებთან ეფექტური კომუნიკაციის დასამყარებლად; და მსოფლიო ბანკის მიერ მოთხოვნილი ფინანსური ინფორმაციის მომზადების, გაფორმების და გაგზავნის პროცედურების შემუშავებას. უნდა გადაისინჯოს პროექტის ფაქტიური და დაგეგმილი ღონისძიებების პერიოდული შედარების და სისტემების რეგულარული შეფასების ღონისძიებები. ამ ღონისძიებებმა შიდა კონტროლის სისტემის ხარისხის და შესრულების შეფასების საშუალება უნდა მისცეს მგფ-ს ხელმძღვანელობას და თანამშრომლებს. აღნიშნულ ღონისძიებებში უნდა შედიოდეს:

- ინვენტარიზაცია და შემოწმება, და ანგარიშგების მომზადება და გაგზავნა - ინვენტარიზაცია და შემოწმება მგფ-ს მიერ კვარტალურად ჩატარდება. ინვენტარიზაციის და შემოწმების ანგარიში უნდა შეიცავდეს: აქტივების სიას, მათ წლოვანებას (შესყიდვის/წარმოების თარიღი), შედარებას ბოლო ინვენტარიზაციის შედეგებთან, და შეუსაბამობების განმარტებას, საჭიროებისამებრ. ინვენტარიზაციის ანგარიში გადამოწმდება მგფ-ს ფინანსური მენეჯერის მიერ და დასამტკიცებლად გადაეცემა მგფ-ს აღმასრულებელ დირექტორს.
- მნიშვნელოვანი ნაკლოვანებებისა და აუდიტის დასკვნების ხელმძღვანელობისათვის დროულად შეტყობინების და სათანადო ზომების მიღების ეფექტური პროცედურები. მგფ-ს ფინანსისტები პასუხისმგებელი არიან აუდიტორების დასკვნების/რეკომენდაციების შესაბამისი განმარტებები/მაკორექტირებელი ზომების დროულად (აუდიტის ანგარიშის თარიღიდან 30 დღის განმავლობაში) გატარებაზე.

### 5.3.6 შესყიდვების კონტროლი

ფინანსური მენეჯერი მჭიდროდ ითანამშრომლებს შესყიდვების მენეჯერთან, რათა უზრუნველყოს შიდა კონტროლის სათანადო სისტემა შემდეგი საკითხების მოსაგვარებლად:

- კონტრაქტების და შესყიდვების ყველა სხვა მნიშვნელოვანი ასპექტის სათანადოდ დამტკიცება და მონიტორინგი (საქონლის და მომსახურების მოსაწოდებლად, და მათი მართვისა და ანგარიშგების უზრუნველსაყოფად შესყიდვების პირობების შესაბამისად);
- კონტრაქტის თანხების რეგისტრირება ხელმოწერილი კონტრაქტებიდან და შემდგომი ცვლილებების შესატყვისობა კონტრაქტის პირობებთან, მათი სათანადოდ დამტკიცება და კორექტირება კონტრაქტების რეგისტრში მოცემული თანხების შესაბამისად (რამდენიმე კონტრაქტის შემთხვევაში, საჭირო იქნება კონტრაქტების რეგისტრი, სადაც შეტანილია მნიშვნელოვანი ინფორმაცია, როგორცაა დაკავები და ა.შ თითოეული კონტრაქტისათვის);
- დამტკიცებული ანგარიშგაქვების თანხების გატარება, დამტკიცების თარიღის, გადასახდელი, გადახდილი და მომავალი გადახდისათვის გადავადებული თანხის მითითებით;
- კონტრაქტის ფარგლებში წარმოებული გადახდების გატარება შესაბამის კონტრაქტებთან ერთად, გადახდის თარიღის მითითებით (გადახდის გადავადების შემთხვევაში, საჭიროა განმარტება).

ეს ოპერაციები განხორციელდება ფინანსური და მართვის ანგარიშგების სისტემის მეშვეობით, შიდა ქსელის დახმარებით. ყველა აღრიცხული ფინანსური ოპერაცია სანქციონირებისათვის/დასამოწმებლად ავტომატურად გადაიგზავნება სისტემის ადმინისტრატორთან.

დამტკიცებულია საქართველოს  
პრეზიდენტის 2002 წლის 3 მაისის  
№210 ბრძანებულებით

**საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის  
დ ე ბ უ ლ ე ბ ა**

**მუხლი 1. ზოგადი დებულებანი**

1. საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი (შემდგომში ფონდი) არის საჯარო სამართლის იურიდიული პირი, რომლის მიზანია მოახდინოს სახსრების მობილიზება შემდეგი დონორებისაგან: საერთაშორისო და საქართველოს ფინანსური ორგანიზაციები, დონორი სააგენტოები და ქვეყნები, ეკონომიკური ორგანიზაციები, ცენტრალური და ადგილობრივი მმართველობის ორგანოები, და ხელმისაწვდომი გახადოს ამ სახსრების ინვესტირება ადგილობრივ ინფრასტრუქტურაში და მომსახურებაში, იმავდროულად ხელი შეუწყოს ადგილობრივი მმართველობის ორგანოების ინსტიტუციონალური და ფინანსური შესაძლებლობების გაძლიერებას.
2. თავისი საქმიანობისას ფონდი ხელმძღვანელობს 1999 წლის 28 მაისის „საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ“ კანონით, საქართველოს სხვა კანონებით, საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებებითა და განკარგულებებით, საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციებთან და სხვა დონორებთან საქართველოს მთავრობის მიერ დადებული ხელშეკრულებებითა და ამ დებულებით.
3. თავის ყოველდღიურ საქმიანობაში ფონდი გამოიყენებს საოპერაციო პროცედურებს, პოტენციური სესხის ამღებისა და საინვესტიციო პროექტების შერჩევის კრიტერიუმებს, რომლებიც დაფუძნებულია შესაბამისი დონორებისათვის მისაღებ და სამეთვალყურეო საბჭოს მიერ დამტკიცებულ პროცედურებზე ან სამოქმედო სახელმძღვანელოზე.
4. ფონდის საქმიანობის კოორდინაციასა და მართვას ახორციელებს საქართველოს პრეზიდენტის მიერ დანიშნული სამეთვალყურეო საბჭო, რომელიც ფუნქციონირებს საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულების შესაბამისად.
5. ფონდი ანგარიშვალდებულია საქართველოს პრეზიდენტის წინაშე.
6. ფონდს გააჩნია დამოუკიდებელი საბუღალტრო ბალანსი, საბანკო ანგარიში და ქართულ-ინგლისური ბეჭედი.
7. ფონდის სათაო ოფისი მდებარეობს თბილისში.

## მუხლი 2. ფონდის ვალდებულებები და ფუნქციები

1. ფონდი პასუხისმგებელია ცენტრალური და ადგილობრივი ბიუჯეტებიდან, მსოფლიო ბანკიდან, სხვა დონორებისგან მიღებული და ძირითადი და საპროცენტო თანხების სახით ფონდის სესხებიდან ამონაგები სახსრების მართვისთვის, რომლებიც გამიზნულია ადგილობრივი ინფრასტრუქტურისა და მომსახურების სფეროში განსახორციელებელი საინვესტიციო პროექტებისა და შესაბამისი ტექნიკური დახმარების დასაფინანსებლად.

2. ფონდის ვალდებულებებია:

- (ა) ადგილობრივი საინვესტიციო პროგრამების დაფინანსებასა და განხორციელებაში მონაწილეობის მიღება;
- (ბ) ფონდის სახსრების პოტენციური მსესხებლების სესხის აღების შესაძლებლობების შეფასება, რაც დაფუძნებულია სამოქმედო სახელმძღვანელოში განსაზღვრულ კრიტერიუმებზე ან შესაბამისი დონორებისთვის მისაღებ სხვა წესებსა და ინსტრუქციებზე.
- (გ) ადგილობრივი ინფრასტრუქტურის საინვესტიციო პროექტების შეფასება, რაც დაფუძნებულია სამოქმედო სახელმძღვანელოში განსაზღვრულ კრიტერიუმებზე ან შესაბამისი დონორებისთვის მისაღებ სხვა წესებსა და ინსტრუქციებზე.
- (დ) ადგილობრივი ინფრასტრუქტურის საინვესტიციო პროექტების დაფინანსება, საქართველოს მთავრობასა და შესაბამის დონორებს შორის შეთანხმებული პროცედურებისა და პირობების შესაბამისად;
- (ე) ფონდის მიერ დაფინანსებული საინვესტიციო პროექტების განხორციელების ზედამხედველობა;
- (ვ) ტექნიკური დახმარების თანხების მობილიზება, და აგრეთვე სხვა ტექნიკური დახმარების პროგრამების განხორციელება ადგილობრივი მმართველობის ორგანოებისა და ადგილობრივი კომუნალური საწარმოების ინსტიტუციონალური და ფინანსური შესაძლებლობების გაძლიერებისათვის;
- (ზ) ფონდის მიერ დაფინანსებული ტექნიკური დახმარების კონტრაქტების განხორციელების ზედამხედველობა;
- (თ) ფონდის მიერ დაფინანსებული ტექნიკური დახმარების ღონისძიებათა კოორდინირება შესაბამის სამინისტროებსა და სხვა სააგენტოებთან;
- (ი) ტექნიკური დახმარების პროგრამების კოორდინირება სხვა დონორებთან;
- (კ) ფონდის საქმიანობასთან დაკავშირებით გამოყოფილი თანხების, საბუღალტრო და ფინანსური მართვის განხორციელება;
- (ლ) დამოუკიდებელი აუდიტორების მიერ ფონდის ანგარიშების ყოველწლიური აუდიტის განხორციელების უზრუნველყოფა საერთაშორისო სააუდიტო სტანდარტების შესაბამისად;

## მუხლი 3. ფონდის სტრუქტურა და მართვა

1. ფონდის საქმიანობის კოორდინაციასა და მართვას ახორციელებს სამეთვალყურეო საბჭო, რომელსაც ხელმძღვანელობს ორი თანათავმჯდომარე და რომლის წევრები, ისევე როგორც თავმჯდომარეები ინიშნებიან საქართველოს პრეზიდენტის მიერ.

2. საბჭო იკრიბება სამ თვეში ერთხელ მაინც. საბჭოს სხდომას იწვევს ერთ-ერთი თანათამაჯდომარე, რომელიც იმავდროულად ხელმძღვანელობს სხდომას.

3. საბჭოს კომპეტენციაში შედის:

- ა) ფონდის სამოქმედო სახელმძღვანელოსა და მასში შესატანი ცვლილებებისა და შესწორებების განხილვა და დამტკიცება;
- ბ) ფონდის გრძელვადიანი ბიზნეს გეგმისა და მასში შესატანი ცვლილებებისა და შესწორებების განხილვა და დამტკიცება;
- გ) პროექტის განვითარების ხელშეკრულების, სასესხო ხელშეკრულების და ფონდის სხვა საკონტრაქტო დოკუმენტების პირობების განხილვა და დამტკიცება;
- დ) ფონდის წლიური ბიუჯეტის, საშტატო განრიგისა და თანამდებობრივი სარგოების და/ან ბიუჯეტში ცვლილებების განხილვა და დამტკიცება, სახელმწიფო კონტროლის განმასხორციელებელი ორგანოს თანხმობით;
- ე) ფონდის მიერ მსოფლიო ბანკთან, სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებთან და ორმხრივ ან მრავალმხრივ დონორებთან დადებული ხელშეკრულებების განხილვა და დამტკიცება სახელმწიფო კონტროლის განმასხორციელებელი ორგანოს თანხმობით;
- ვ) ფონდის სასესხო პირობებში, მათ შორის სესხის გადახდის ვადებში, საპროცენტო განაკვეთებსა და გადასახადებში შეტანილი ცვლილებების განხილვა და დამტკიცება;
- ზ) ადგილობრივი მმართველობების მიერ წარმოდგენილ საინვესტიციო პროექტებთან დაკავშირებული ფონდის სესხებისა და გრანტების დამტკიცება;
- ტ) ფონდის მიერ განსახორციელებელი ტექნიკური დახმარების და ტრენინგის პროგრამების განხილვა და დამტკიცება;
- ი) ფონდის მიერ პროექტის პორტფელის სტატუსის განხორციელებული ღონისძიებების, წლიური ბიუჯეტის შესრულების ფინანსურ მდგომარეობისა და/ან საჭიროებისამებრ სხვა საკითხების შესახებ წარსადგენი კვარტალური ან სხვა პერიოდული და ერთჯერადი ანგარიშების განხილვა;
- კ) გარე აუდიტორების და წლიურ სააუდიტორო ანგარიშში მოცემული რეკომენდაციებისა და დასკვნების დამტკიცება;

4. სამეთვალყურეო საბჭო უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება თუ სხდომას ესწრება წევრთა ორი მესამედი მაინც. სამეთვალყურეო საბჭოს თითოეულ წევრს მხოლოდ ერთი ხმის უფლება აქვს. საბჭო გადაწყვეტილებას იღებს სხდომაზე დამსწრე წევრების ხმების უბრალო უმრავლესობით. თანაბარი ხმების შემთხვევაში, სხდომის თავმჯდომარეს შეუძლია გამოიყენოს ხელახალი კენჭისყრის უფლება. თუ სხდომის თავმჯდომარე არ გამოიყენებს აღნიშნულ უფლებას, წინადადება ამოღებულ იქნება დღის წესრიგიდან.

5. ყოველ სხდომაზე დგება ოქმი, რომელიც ასახავს სხდომის დროს განხილულ ყველა საკითხს და მიღებულ გადაწყვეტილებას. ფონდის აღმასრულებელი დირექტორი მოამზადებს ოქმს სხდომიდან ხუთ სამუშაო დღეში, სხდომაზე დამსწრე საბჭოს ყველა წევრთან შეთანხმების შემდეგ. სამეთვალყურეო საბჭოს ყველა წევრს უფლება აქვს მოითხოვოს თავისი დამოუკიდებელი მოსაზრების დაფიქსირება სხდომის ოქმში.

6. ფონდს მართავს აღმასრულებელი დირექტორი, რომელსაც თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს საქართველოს პრეზიდენტი.

7. ფონდის აღმასრულებელი დირექტორი უნდა იყოს საქართველოს მოქალაქე და უნდა ჰქონდეს შესაბამისი პროფესიონალური გამოცდილება.

8. ფონდის აღმასრულებელი დირექტორი:

- (ა) მართავს ფონდის საქმიანობას;
- (ბ) წარმოადგენს ფონდს სამთავრობო ორგანიზაციებთან, ადგილობრივი მმართველობის ორგანოებთან, საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებთან და ორმხრივ ან მრავალმხრივ დონორებთან ურთიერთობისას და ხელს აწერს ნებისმიერი სახის კორესპონდენციას.
- (გ) ამზადებს ფონდის გრძელვადიან ბიზნეს გეგმას და მასში შესატან ნებისმიერ ცვლილებებს;
- (დ) კოორდინირებას უწევს ფონდის სამოქმედო სახელმძღვანელოსა და მასში შესატან ნებისმიერ ცვლილებათა მომზადებას და დასამტკიცებლად წარუდგენს მას სამეთვალყურეო საბჭოს;
- (ე) სამოქმედო სახელმძღვანელოში განსაზღვრული საორგანიზაციო სტრუქტურის შესაბამისად თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს ფონდის თანამშრომლებს, აფორმებს შრომით ხელშეკრულებებს ფონდის თანამშრომლებთან; ანაწილებს ფუნქციებს თანამშრომლებს შორის სამოქმედო სახელმძღვანელოში განსაზღვრული სტრუქტურის შესაბამისად;
- (ვ) კონტრაქტების საფუძველზე იქირავებს სათანადო კონსულტანტებს კონკრეტული დროებითი სამუშაოს შესასრულებლად;
- (ზ) დასამტკიცებლად წარუდგენს სამეთვალყურეო საბჭოს ფონდის წლიურ ბიუჯეტს (და/ან მასში შესატან ცვლილებებს) და ასრულებს მას;
- (თ) ამზადებს სამეთვალყურეო საბჭოს სპეციალურ სხდომებს.
- (ი) მონაწილეობს სამეთვალყურეო საბჭოს სხდომებში ხმის უფლების გარეშე;
- (კ) ამზადებს სამეთვალყურეო საბჭოზე განსახილველ საკითხებს და აღნიშნულ სხდომათა ოქმებს;
- (ლ) ფონდის სახელით ხელს აწერს პროექტის განვითარების ხელშეკრულებებს, ფონდის მიერ დაფინანსებული ინვესტიციების ან ტექნიკური დახმარების პროექტების განხორციელებასთან დაკავშირებულ სასესხო და/ან საგრანტო ხელშეკრულებებსა და სხვა ოფიციალურ დოკუმენტებს, მათ შორის სამუშაოების, საქონლის და მომსახურების შესყიდვებთან დაკავშირებულ კონტრაქტებს;
- (მ) ხელს აწერს ფონდის ფინანსურ ოპერაციებთან დაკავშირებულ ნებისმიერ დოკუმენტს;
- (ნ) უზრუნველყოფს მჭიდრო კოორდინაციას ფონდის მიერ დაფინანსებულ საინვესტიციო ღონისძიებებსა და ტექნიკურ დახმარებას შორის;
- (ო) კოორდინაციას უწევს ფონდის მიერ დაფინანსებულ ტექნიკური დახმარებისა და ტრენინგის პროგრამების იდენტიფიკაციას, მომზადებასა და განხორციელებას, აგრეთვე ახორციელებს ფონდის საინვესტიციო და ტექნიკური დახმარების პროგრამების მონიტორინგსა და შეფასებას;
- (პ) ხელს აწერს ტექნიკურ-ეკონომიკურ შეფასებებს და სხვა დოკუმენტებს, რომლებიც ფონდის მიერ დასაფინანსებელი საინვესტიციო და ტექნიკური დახმარების პროექტების დამტკიცების მიზნით სამეთვალყურეო საბჭოსათვის წარსადგენ რეკომენდაციათა საფუძველს წარმოადგენენ;

- (ჟ) ამზადებს სამეთვალყურეო საბჭოსათვის წარსადგენ რეკომენდაციებს ფონდის მიერ დასაფინანსებელ საინვესტიციო და ტექნიკური დახმარების პროექტებთან დაკავშირებით;
- (რ) მონიტორინგს უწევს პროექტის საერთო მიმდინარეობას;
- (ს) ამზადებს სამეთვალყურეო საბჭოსათვის, საქართველოს მთავრობისათვის და/ან მსოფლიო ბანკისათვის და/ან ნებისმიერი სხვა დონორისათვის წარსადგენ კვარტალურ ანგარიშებს, ისევე როგორც სხვა ნებისმიერ პერიოდულ და ერთჯერად ანგარიშებს და/ან სამეთვალყურეო საბჭოს, საქართველოს მთავრობის და/ან მსოფლიო ბანკის და/ან სხვა დონორების მიერ მოთხოვნილ ფონდის საქმიანობასთან დაკავშირებულ დოკუმენტებს.
- (ტ) შეარჩევს გარე აუდიტორებს ფონდის ფინანსური უწყისების წლიური აუდიტის მოსაწყობად და პასუხისმგებელია აუდიტორებისთვის წარდგენილი დოკუმენტაციის სისწორეზე.

9. ფონდის სტრუქტურა, საქმიანობა, პროცედურები და პერსონალი განსაზღვრულია სამეთვალყურეო საბჭოს მიერ დამტკიცებულ სამოქმედო სახელმძღვანელოში.

#### **მუხლი 4. ფონდის ფინანსური რესურსები**

1. ფონდი თავისი მიზნების მისაღწევად და ფუნქციების შესასრულებლად მობილიზებას უწევს და იყენებს შემდეგ ფინანსურ რესურსებს:

- ა) ფონდის სესხების მიმღებთა მიერ გადახდილი სესხებიდან და პროცენტებიდან მიღებული თანხები, რომელსაც საქართველოს მთავრობა ფონდს სრულად გადასცემს მე-20 მუხლში განსაზღვრული მიზნების განსახორციელებლად.
- ბ) მსოფლიო ბანკის პროექტების ფარგლებში გამოყოფილი თანხები;
- გ) საქართველოს ადგილობრივი და ცენტრალური ბიუჯეტებიდან თანადაფინანსების სახით გამოყოფილი თანხები;
- დ) სხვა საერთაშორისო-საფინანსო ორგანიზაციებიდან მიღებული რესურსების ორმხრივი და მრავალმხრივი პროგრამების ფარგლებში მიღებული თანხები და არასამთავრობო ორგანიზაციათა შენატანები;
- ე) საქართველოს სხვა საფინანსო ორგანიზაციებიდან მობილიზებული რესურსები;
- ვ) საქველმოქმედო შენატანები;
- ზ) საქართველოს კანონმდებლობით დაშვებული სხვა წყაროები;

2. მობილიზებული ფინანსური რესურსები შემდეგი მიზნების განსახორციელებლად გამოიყენება:

- ა) ადგილობრივი ინფრასტრუქტურის საინვესტიციო პროექტების დაფინანსება;
- ბ) ტექნიკური დახმარების უზრუნველყოფა საინვესტიციო პროექტების მხარდაჭერისა და ეფექტიანობის გაზრდის მიზნით;
- გ) ფონდის საოპერაციო ხარჯების დაფინანსება;

3. ფონდის საოპერაციო ხარჯების დაფინანსება ხორციელდება მხოლოდ ფონდის სესხების მიმღებთა მიერ გადახდილი საპროცენტო თანხებიდან;

## **მუხლი 5. ფინანსური მართვა და აუდიტი**

1. ფონდმა უნდა აწარმოოს თავისი ანგარიშები საერთაშორისო საბუღალტრო პრინციპების შესაბამისად და პერიოდულად გამოაქვეყნოს ფინანსური უწყისები.
2. წელიწადში ერთხელ მაინც, ფონდმა უნდა გამოაქვეყნოს ფინანსური უწყისები, რომელიც საერთაშორისო საბუღალტრო პრინციპების შესაბამისადაა მომზადებული და აუდიტირებულია კვალიფიციური, კომპეტენტური, გამოცდილი და დამოუკიდებელი აუდიტორების მიერ საერთაშორისო აუდიტის პრაქტიკის თანახმად.

## **მუხლი 6. ანგარიშების ღონისძიებები**

ფონდი პასუხისმგებელია დროულად მოამზადოს და სამეთვალყურეო საბჭოს, მსოფლიო ბანკს, საქართველოს სახელმწიფო კანცელარიასა და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს განსახილველად წარუდგინოს შემდეგი ანგარიშები:

- ა) ფინანსური მართვის კვარტალური ანგარიშები;
- ბ) ფონდის ფინანსური უწყისებისა და სპეციალური ანგარიშების წლიური აუდიტის ანგარიშები;
- გ) პროექტის მიმდინარეობის შესრულების ანგარიშები შესრულების გეგმის შესაბამისად;
- დ) პროექტის მიმდინარეობის დეტალური წლიური ანგარიში;
- ე) სხვა ანგარიშები მოთხოვნის მიხედვით.

## **მუხლი 7. სახელმწიფო კონტროლი**

ფონდის საქმიანობის სახელმწიფო კონტროლს ახორციელებს საქართველოს ფინანსთა სამინისტრო საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

## **მუხლი 8. დებულებაში ცვლილებების შეტანა**

დებულებაში ცვლილებებისა და შესწორებების შეტანა ხდება პრეზიდენტის ბრძანებულებით.

## **მუხლი 9. ფონდის ლიკვიდაცია და რეორგანიზაცია**

ფონდის ლიკვიდაცია და რეორგანიზაცია ხდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად.

## განვითარების ხელშეკრულება

ქ. \_\_\_\_\_ მერიასა

და

საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდს

შორის

2002 წ.

## განვითარების ხელშეკრულება

ქ. \_\_\_\_\_

“\_\_\_” \_\_\_\_\_ 2002 წ.

ჩვენ, ქვემოთ ხელისმომწერნი, ქ. \_\_\_\_\_ მერია, ქ. \_\_\_\_\_ მერის \_\_\_\_\_ სახით, შემდგომში “მუნიციპალიტეტად” წოდებული, ერთი მხრივ და საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი, აღმასრულებელი დირექტორის ვიქტორ მეტრეველის სახით, შემდგომში “მგფ”-დ წოდებული, მეორეს მხრივ, მუნიციპალური განვითარებისა და დეცენტრალიზაციის მეორე პროექტის ფარგლებში თანამშრომლობის მიზნით შევთანხმდით და საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნათა შესაბამისად დავდეთ წინამდებარე ხელშეკრულება შემდეგზე:

### მუხლი 1 ხელშეკრულების მიზანი

წინამდებარე ხელშეკრულების მიზანია, საშუალება მიეცეს “მუნიციპალიტეტ”-ს გაზარდოს მოსახლეობისათვის მომსახურების მიწოდების შესაძლებლობები. ამ მიზნის მისაღწევად “მგფ” დახმარებას გაუწევს “მუნიციპალიტეტ”-ს მისი ინსტიტუციონალური შესაძლებლობების გაძლიერებაში, რათა მან:

- განახორციელოს საკუთარი ფუნქციები დემოკრატიისა და საზოგადოებრიობასთან თანამშრომლობის პრინციპებზე დაყრდნობით, მიღებული საერთაშორისო პრაქტიკის შესაბამისად;
- გაზარდოს ფინანსური შესაძლებლობები და გააუმჯობესოს ფინანსური მართვა;
- გააუმჯობესოს ადმინისტრაციული და შრომითი რესურსების მართვა;
- გააუმჯობესოს ტექნიკური და მატერიალური შესაძლებლობები მომსახურების უზრუნველყოფისა და საინვესტიციო პროექტების განხორციელებისათვის;
- განსაზღვროს, მოამზადოს, განახორციელოს და დააფინანსოს საინვესტიციო პროექტები.

### მუხლი 2 “მუნიციპალიტეტი”-ს ვალდებულებები

ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში “მუნიციპალიტეტი” თანახმაა:

- მისდიოს და განახორციელოს “განსახორციელებელ ღონისძიებათა გეგმა”-ს, რომელიც განსაზღვრულია წინამდებარე ხელშეკრულების დამატება 1-ით და რომელიც შეიძლება შეიცვალოს მხარეთა ურთიერთშეთანხმების საფუძველზე;
- ითანამშრომლოს “მგფ”-თან წინამდებარე ხელშეკრულების დამატება 2-ით განსაზღვრული საინვესტიციო პროექტების განხორციელებისას;
- მიაწოდოს “მგფ”-ს ნებისმიერი მოთხოვნილი ინფორმაცია წინამდებარე ხელშეკრულების დამატება 3-ით განსაზღვრული პირობების შესაბამისად;

- განახორციელოს საკუთარი ფუნქციები ღიად, გამჭვირვალედ და საზოგადოებრიობის მონაწილეობით, საქართველოს შესაბამისი კანონმდებლობისა და მიღებული საერთაშორისო პრაქტიკის თანახმად.

### მუხლი 3 “მგფ”-ის ვალდებულებები

“მგფ” თანახმაა უზრუნველყოს “მუნიციპალიტეტი” შემდეგით:

- ფინანსური რესურსებითა და ადმინისტრაციული დახმარების გაწევით ადგილობრივი საინვესტიციო პროექტების განხორციელებისას წინამდებარე ხელშეკრულების დამატება 3-ით განსაზღვრული პირობების გათვალისწინებით;
- ტექნიკური დახმარების გაწევით წინამდებარე ხელშეკრულების დამატება 1-ით გათვალისწინებული “განსახორციელებელ ღონისძიებათა გეგმის” განხორციელებისას.

### მუხლი 4 სესხის ალების ლიმიტი

“მუნიციპალიტეტი”-ს სესხის ალების ლიმიტი განისაზღვრება წინამდებარე ხელშეკრულების დამატება 3-ში მოცემული სესხის ალების შესაძლებლობების კრიტერიუმების საფუძველზე და აისახება წინამდებარე ხელშეკრულების დამატება 4-ში. სესხის ალების ლიმიტი გადაანგარიშებული იქნება ყოველი ფისკალური წლის შემდეგ “მუნიციპალიტეტი”-ს შესაბამისი საბიუჯეტო მაჩვენებლების საფუძველზე.

### მუხლი 5 საინვესტიციო პროექტების დაფინანსება

“მუნიციპალიტეტი”-ს უფლება აქვს “მგფ”-ს დასაფინანსებლად წარუდგინოს საინვესტიციო პროექტები. თითოეულ საინვესტიციო პროექტს თან უნდა ერთვოდეს წინამდებარე ხელშეკრულების დამატება 3-ით განსაზღვრული პირობების შესაბამისად მომზადებული შემდეგი დოკუმენტაცია:

- წერილი “მგფ”-ის ფინანსური დახმარების მოთხოვნის შესახებ;
- პროექტის წარმოდგენის ფორმა, როგორც ეს ნაჩვენებია ხელშეკრულების დამატება 3-ში და რომელშიც მოცემულია პროექტის ან პროექტების ტიპი და მოცულობა, ამასთან პროექტის ან პროექტების ტექნიკური, ეკონომიკური, ფინანსური, სოციალური და სხვა შესაბამისი დასაბუთება.

### მუხლი 6 ფინანსური პირობები

ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში “მუნიციპალიტეტი” ვალდებულია განახორციელოს ღონისძიებები, რომლებიც უზრუნველყოფენ “მგფ”-სთან შეთანხმებული ფინანსური პირობების დაცვას და არ ისესხოს სხვა მსესხებლისაგან ნებისმიერი ოდენობის სესხი “მგფ”-ს წერილობითი

თანხმობის გარეშე, აღნიშნული თანხმობა დამოკიდებული იქნება “მუნიციპალიტეტი”-ს მიერ წარმოდგენილ ფინანსურ გაანგარიშებაზე, რომელიც დამტკიცებს “მგფ”-დან მიღებული სესხის შემდგომი შეუფერხებელი მომსახურების შესაძლებლობას.

#### მუხლი 7 შესყიდვები

“მუნიციპალიტეტი” თანახმაა, რომ წინამდებარე ხელშეკრულების ფარგლებში გათვალისწინებული შესყიდვები განხორციელოს “მგფ”-მა.

#### მუხლი 8 გადახდები

“მუნიციპალიტეტი” თანახმაა, რომ წინამდებარე ხელშეკრულების ფარგლებში გათვალისწინებული საქმიანობის ანაზღაურება განხორციელოს “მგფ”-მა. საინვესტიციო პროექტების დაფინანსებისას “მგფ” “მუნიციპალიტეტი”-ის სახელით გამოიყენებს ერთ ან მეტ საბანკო ანგარიშს. გადახდები განხორციელდება “მგფ”-ის მიერ უშუალოდ სამუშაოთა შემსრულებელზე.

#### მუხლი 9 წარმომადგენლობითი უფლებამოსილება

წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების განხორციელებისას “მგფ” წარმოადგენს “მუნიციპალიტეტ”-ს და წინამდებარე ხელშეკრულების ფარგლებში “მგფ”-ის მიერ განხორციელებული საქმიანობა ჩაითვლება მუნიციპალიტეტის მიერ განხორციელებულ საქმიანობად.

#### მუხლი 10 ხელშეკრულების მოქმედების ვადა

წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის ქ. \_\_\_\_\_ საკრებულოს მიერ მისი დამტკიცების დღიდან და ძალაშია 4 წლის განმავლობაში, როგორც ეს გათვალისწინებულია მუნიციპალური განვითარებისა და დეცენტრალიზაციის მეორე პროექტში. ხელშეკრულების მოქმედების ვადა შეიძლება გაგრძელდეს მხარეთა თანხმობის საფუძველზე.

#### მუხლი 11 ხელშეკრულების გადასინჯვა და ვადამდე შეწყვეტა

ხელშეკრულება შეიძლება გადასინჯულ იქნეს ორმხრივი თანხმობის საფუძველზე. ნებისმიერი ცვლილება, დამატება თუ დანართი უნდა გაფორმდეს წერილობითი ფორმით უფლებამოსილი პირების მიერ, რის შემდეგაც იგი ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

იმ შემთხვევაში, თუ “მუნიციპალიტეტი” ან “მგფ” არ შეასრულებს წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვალდებულებებს, მეორე მხარეს უფლება აქვს მოითხოვოს მისი შეწყვეტა ამ ხელშეკრულებისა და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 12  
დავების გადაწყვეტა

მხარეებს შორის წარმოშობილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა წყდება მხარეთა ურთიერთშეთანხმების გზით. შეუთანხმებლობის შემთხვევაში – საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 13  
სხვა პირობები

წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული საკითხები რეგულირდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით, გარდა იმ შემთხვევისა, თუ ეს სხვაგვარად არ არის განსაზღვრული საქართველოსა და მსოფლიო ბანკს შორის გაფორმებული საერთაშორისო ხელშეკრულებებითა თუ შეთანხმებებით.

შემდეგი თანდართული დოკუმენტები ამ ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს:

- განსახორციელებელ ღონისძიებათა გეგმა (დამატება 1);
- პრიორიტეტული საინვესტიციო პროექტების ჩამონათვალი (დამატება 2);
- საინვესტიციო პროექტებისა და ტექნიკური დანხარების პროგრამების დაფინანსების პირობები (დამატება 3);
- სესხის აღების შესაძლებლობების მაჩვენებლები (დამატება 4).

მუხლი 14  
მხარეთა იურიდიული მისამართები

"მუნიციპალიტეტი" :  
ქ. \_\_\_\_\_ მერია  
380000, \_\_\_\_\_,  
ტელ/ფაქსი:

მგფ :  
საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი,  
380077, თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზირი 41,  
ტელ/ფაქსი: 94-32-40, 94-04-39

მუნიციპალიტეტის სახელით

მგფ-ის სახელით

\_\_\_\_\_

ხელმოწერა, ბეჭედი

\_\_\_\_\_

ხელმოწერა, ბეჭედი

\_\_\_\_\_

ქ. \_\_\_\_\_ მერი

ვიქტორ მეტრეველი  
აღმასრულებელი დირექტორი

განსახორციელებელ ღონისძიებათა გეგმა

მიზანი	ღონისძიებები	მოსალოდნელი შედეგები
ფინანსური მართვის გაუმჯობესება (ანგარიშგების და საბუღალტრო აღრიცხვის სისტემები)	<ul style="list-style-type: none"> <li>• სახაზინო სისტემისა და მისი რეგიონალური სამსახურების რეფორმირება</li> <li>• საბუღალტრო აღრიცხვისა და აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების მიღება</li> </ul>	<p>ეფექტური ადგილობრივი თვითმმართველობა, რომელიც სათანადო ფინანსურ და ეკონომიკურ საფუძველს ეყარება</p>
ანგარიშგებიანობისა და საზოგადოებრიობის მონაწილეობის გაზრდა (ბიუჯეტის განხილვები და გაუმჯობესებული ანგარიშგება)	<ul style="list-style-type: none"> <li>• ანგარიშგების იმგვარი სისტემის დაწესება, რომელიც საჯარო და გამჭვირვალე ინფორმაციას ეყარება და საშუალებას აძლევს საზოგადოებრიობას ეფექტური მონიტორინგი გაუწიოს ადგილობრივი მმართველობის მოღვაწეობას და სათანადო რეაგირება მოახდინოს მასზე – იმისათვის, რომ პოლიტიკოსებსა და ადგილობრივ ხელისუფალთ პასუხისმგებლობის სტიმული გააჩნდეთ</li> <li>• ბიუჯეტის ანგარიშგების რეგულარული გამოქვეყნება</li> <li>• დანახარჯებთან დაკავშირებული ანგარიშგების გაუმჯობესება საზოგადოებრივი აუდიტებისა და მონიტორინგის მეშვეობით</li> <li>• ბიუჯეტის შედგენასთან, მის დამტკიცებასა და განხორციელებასთან დაკავშირებული დისციპლინარული პროცედურები</li> <li>• ზუსტი ინფორმაციის უზრუნველყოფა</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>• ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებისა და სამოქალაქო საზოგადოების უნარიანობის გაზრდა განვითარების პროცესების მონიტორინგისა და ანალიზის და პროექტების მიზნობრივი განხორციელების დარგში, სათანადო ცოდნის შექმნა სიღარიბის დაძლევის პროცესის თვალყურის დევნებისა და კონტროლისათვის</li> <li>• სტაბილური კავშირების დამყარება ხელისუფლებასა და ელექტორატს შორის</li> </ul>
შემოსავლების გაზრდა (ადგილობრივი გადასახადები და მოსაკრებლები)	<ul style="list-style-type: none"> <li>• აღრიცხვის ეფექტური სისტემის დაწესება ადგილობრივი გადასახადებისა და მოსაკრებლებისათვის</li> <li>• გადასახადების აკრეფის მართვის გაუმჯობესება</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>• ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები პროექტის დასასრულისათვის გაზრდიან თავის ფინანსურ სიცოცხლისუნარიანობას, ადგილობრივი გადასახადებიდან და მოსაკრებლებიდან მიღებული შემოსავლების - %-ით<sup>1</sup> გაზრდის მეშვეობით პირველი წლის ბოლოს დაწესებულ საწყის მაჩვენებელთან შედარებით.</li> <li>• გაზრდიან მიწის გადასახადის აკრეფას, მეორე წელს – - %-ით, ხოლო პროექტის დასასრულისათვის - — %-ით პირველი წლის ბოლოს დაწესებულ საწყის მაჩვენებელთან შედარებით</li> </ul>

<sup>1</sup> პროცენტის განსაზღვრა ყოველი შემთხვევისათვის ინდივიდუალურად განხორციელდება

პრიორიტეტული საინვესტიციო პროექტების ჩამონათვალი

200\_\_ წლისათვის

№	პროექტის დასახელება	წინასწარი ღირებულება (ლარებში)
1.		
2.		
3.		

## საინვესტიციო პროექტებისა და ტექნიკური დახმარების პროგრამების დაფინანსების პირობები

### 1. მგფ-ის საქმიანობის ძირითადი მიმართულებები

#### 1.1 საინვესტიციო პროექტების დაფინანსება

მგფ-ს მიერ საინვესტიციო პროექტების დაფინანსება მგდპ II-ის ფარგლებში შემდეგ წესებს დაეფუძნება, რომელიც დაფინანსების სამი წყაროს წილების ამგვარ განაწილებას გულისხმობს;

20% დაიფარება მგფ-ს კლიენტის მიერ (ადგილობრივი თვითმმართველობა)

40% - სამთავრობო (განვითარების საერთაშორისო ასოციაცია) გრანტით

40% - მგფ-ს სესხით, რომლის გადახდა შემდეგი პირობების თანახმად განხორციელდება:

საპროცენტო განაკვეთი- წლიური 15%; სესხის გადახდის ვადა – 10 წელი; შეღავათიანი პერიოდი – 1 წელი (ძირითადი თანხისათვის)

სესხზე პროცენტების დარიცხვა განხორციელდება თანხების გადარიცხვის შესაბამის დღეს და გამოითვლება თორმეტი 30 დღიანი თვის 360 დღიანი წლის საფუძველზე. მგფ-ს კლიენტი არ დაიწყებს სესხის გადახდას პროექტით გათვალისწინებული სამუშაოების პერიოდში. სესხის ძირითად თანხაზე დარიცხული პროცენტების გადახდა იწყება სამუშაოების დამთავრებისას (ბოლო გადარიცხვის შემდეგ). გადახდის თარიღი ემთხვევა პროცენტის დარიცხვის დასაწყისის თარიღს.

მგფ-ს კლიენტი გადაიხდის სამუშაოების შესრულების პერიოდში დარიცხული პროცენტების სრულ თანხას. შემდგომი გადახდები ყოველთვიურად განხორციელდება. პირველი გადარიცხვის დღიდან ერთი წლის განმავლობაში (შეღავათიანი პერიოდი) მგფ-ს კლიენტი არ გადაიხდის სესხის ძირითად თანხას. ამ პერიოდის დასრულებისას, იგი ყოველთვიურად გადაიხდის სესხის ძირითადი თანხის ნაწილს დარიცხულ პროცენტებთან ერთად, ყოველთვიური თანაბარი შენატანების სახით.

მგდპ II-ის ფარგლებში დასაფინანსებელი საინვესტიციო პროექტის შესაძლო მაქსიმალური ღირებულება 600, 000 აშშ დოლარს უტოლდება, შესაბამისი 240,000 აშშ დოლარიანი სესხის თანხის გათვალისწინებით. ამ წესიდან ნებისმიერი გადახვევა მსოფლიო ბანკის წინასწარ თანხმობას საჭიროებს მოსალოდნელი საინვესტიციო ხარჯის, ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთების და სხვა საჭირო მოსამზადებელი საქმიანობის მოცულობისა და ტიპის, და შემოთავაზებული განხორციელების გეგმის თაობაზე, ისევე როგორც სხვა ამგვარი გამოკვლევების ექსპერტიზას.

მგფ-ს სესხის ნებისმიერი პირობა შეიძლება შეიცვალოს საქართველოს მთავრობისა და მსოფლიო ბანკის ერთობლივი თანხმობის საფუძველზე მგდპ II-ის მსვლელობისას, რათ ასახულ იქნას ახალი მოვლენები საქართველოს ეკონომიკაში. რადგანაც საკრედიტო ხელშეკრულება ხელმოწერილია, მისი პირობების შეცვლა შეუძლებელია ყოველივე ამის საკრედიტო ხელშეკრულებაში ნათლად ასახვის და მგფ-ს კლიენტის მიერ დამტკიცების გარეშე.

## 1.2 ტექნიკური დახმარების დაფინანსება

სხვაგვარი მითითების არარსებობის შემთხვევაში, მთელი ტექნიკური დახმარება, ტრენინგი და საკონსულტაციო მომსახურება გრანტის სახით იქნება უზრუნველყოფილი.

## 2. ინვესტიციების დაფინანსების კრიტერიუმები

### 2.1 ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები: უფლებამოსილების კრიტერიუმები

#### 2.1.1 ფინანსური უფლებამოსილების პირობები

მგფ-ს სესხის აღების მსურველ ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს უნდა გააჩნდეს სათანადო სესხის აღების შესაძლებლობა, რომელიც შემდეგი მოთხოვნების საფუძველზე გამოითვლება:

- შემოთავაზებული სესხის და სხვა გადასახდელი სესხების მომსახურება არ უნდა აღემატებოდეს წინა წლის მიმდინარე საოპერაციო პროფიციტის 25%-ს;
- სესხის მთლიანი თანხა, შემოთავაზებული სესხისა და გადასახდელი დავალიანებების ჩათვლით (სახელფასო დავალიანების და სხვა გადასახდელი სესხების ჩათვლით) არ უნდა აღემატებოდეს წინა წლის ორდინარული შემოსავლის 60%-ს.

ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანო აგრეთვე უნდა აკმაყოფილებდეს ბიუჯეტის შესრულების შემდეგ კრიტერიუმებს:

- ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს მიერ გადასახდელი სახელფასო დავალიანებები კლების ტენდენციას უნდა უჩვენებდეს, და გამონაკლისი შემთხვევების გარდა, არ უნდა აღემატებოდეს მთლიანი შემოსავლის 10%-ს;
- დაუგეგმავი საბიუჯეტო დეფიციტის დასაფარად წარმოებული ცენტრალური ბიუჯეტის ტრანსფერები (ცენტრალური ბიუჯეტის გამაწონასწორებელი ტრანსფერების და ცენტრალური ბიუჯეტის სხვა ტრანსფერების გამოკლებით, როგორც გამოყვანილია ფორმულაზე დაფუძნებული გრანტებიდან და შემოსავლების განაწილებიდან) და სხვა, გამონაკლისი შემთხვევების გარდა, არ უნდა აღემატებოდეს მიმდინარე შემოსავლის 25%-ს;
- ადგილობრივი მიმდინარე შემოსავალი ზრდის ტენდენციას უნდა უჩვენებდეს;

ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს გადამხდელუნარიანობის ანალიზისას შემდეგი დამატებითი ასპექტები გამოიყენება:

- მგფ-სათვის სესხის ნებისმიერი გადაუხდელობის ან სესხის პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები უფლებამოსილნი არ არიან ახალი სესხის აღებაზე;
- შემდგომი სესხები დამოკიდებულია წინა სესხების ფარგლებში შეთანხმებულ ნებისმიერ საქმიანობის გეგმასთან სრულ ან არსებით შესატყვისობაზე;

- კომუნალური მომსახურების საწარმოებისათვის, მომხმარებლებიდან ამოღებული შემოსავალი საკმარისი უნდა იყოს სესხის მომსახურების ხარჯის და დანარჩენი საოპერაციო ხარჯების დასაფარად, ამორტიზაციის ხარჯის გამოკლებით.

უფრო მცირე ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებისათვის, რომელთა სესხის მომსახურების მთლიანი თანხა შემოთავაზებულ და ყველა სხვა აღებულ სესხებზე არ აღემატება 1.000 ლარს, მგფ თანხმობას განაცხადებს ექსპერიმენტის სახით შემდეგი სახით გაამარტივოს უფლებამოსილების კრიტერიუმები:

- სესხის მომსახურება შემოთავაზებულ და ყველა სხვა აღებულ სესხებზე არ უნდა აღემატებოდეს ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს ორდინარული შემოსავლის 60%-ს.;
- სახელფასო დავალიანებები კლების ტენდენციას უჩვენებს;
- შემოთავაზებული სესხი მხოლოდ მიზნობრივი კრედიტია და თუ მსოფლიო ბანკთან სხვაგვარად არ არის შეთანხმებული, მას, მგფ-სათვის მის სრულ გადახდამდე, არ მოჰყვება სხვა სესხი.

## 2.2 უფლებამოსილი საინვესტიციო პროექტები

### 2.2.1 ძირითადი პრინციპები

- ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს მიერ შერჩეული საინვესტიციო პროექტები უნდა ემსახურობდეს ცხოვრების დონის ამაღლების მიზანს, ეხმარებოდეს სოციალური, გარემოს დაცვის და ჯანდაცვის ძირითადი სტანდარტების დაკმაყოფილებას და ხელს უწყობდეს ადგილობრივი ეკონომიკის განვითარებას.
- წარმოდგენილი საინვესტიციო პროექტი შერჩეული უნდა იყოს ადგილზე განსაზღვრული საჭიროებების საფუძველზე. ადგილობრივი მაცხოვრებლები, საჯარო განხილვებისა და სხვა სათანადო მექანიზმების მეშვეობით, უნდა მონაწილეობდნენ ამ საჭიროებებისა და პრიორიტეტების განსაზღვრის, ტექნიკური ვარიანტების, მათი ღირებულების და შესაძლო ნეგატიური ზეგავლენის განხილვის პროცესში, რომელსაც ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს პასუხისმგებელი პირები აწარმოებენ.
- წარმოდგენილი საინვესტიციო პროექტები ტექნიკურად სიცოცხლისუნარიანი და მინიმალურ დანახარჯებიანი უნდა იყოს. თან უნდა ერთვოდეს ალტერნატიული ვარიანტების განხორციელებისა და პროექტის არგანხორციელების შემთხვევებში შესაძლო დანახარჯების შეფასება, და მათი ეკონომიკური და ფინანსური სიცოცხლისუნარიანობის ანალიზი.
- წარმოდგენილი საინვესტიციო პროექტი არ უნდა წარმოადგენდეს იმავე სფეროში ან სექტორში განსახორციელებელი სხვა დიდი პროექტის ნაწილს, რომელიც შესაძლოა ფინანსურად და ტექნიკურად უფრო ხელსაყრელი პირობებით განხორციელდეს. გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც შესაძლებელია იმის დემონსტრირება, რომ ეტაპობრივი მიდგომა, ფინანსური და ტექნიკური მიზეზების გამო, უფრო მისაღები და ეფექტურია ფინანსური და ეკონომიკური თვალსაზრისით
- წარმოდგენილ საინვესტიციო პროექტს უნდა გააჩნდეს დადებითი ეკონომიკური ამოვების განაკვეთი (ERR) ან მომგებიანობა, რომელიც შეფასების შეთანხმებული მეთოდოლოგიის

გამოყენებით შეიძლება რაოდენობრივად იქნას განსაზღვრული ან სხვაგვარად იდენტიფიცირებული ალბათობის მისაღებ ხარისხში.

- წარმოდგენილ საინვესტიციო პროექტს თან უნდა ერთვოდეს ფინანსური პროგნოზები, იმის დასამტკიცებლად, რომ პროექტის მზარდი ფინანსური გავლენა (საექსპლუატაციო და შენახვის მზარდი ხარჯების ჩათვლით) დაკმაყოფილებს ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს შემოსავლების ზრდის და/ან სხვა ხარჯების შემცირების საშუალებით.
- წარმოდგენილ საინვესტიციო პროექტს თან უნდა ერთვოდეს სრული და კონკრეტული ფინანსური გეგმა, სადაც გათვალისწინებული იქნება პროექტის თანდაფინანსების თანხების დროული უზრუნველყოფა და სესხის მომსახურების ხარჯებისა და სხვა საოპერაციო ხარჯების ჩართვა მომავალი წლების ბიუჯეტებში.
- წარმოდგენილი საინვესტიციო პროექტი სრულ შესაბამისობაში უნდა იყოს საქართველოს მოქმედ კანონმდებლობასთან, ბუნების დაცვასთან დაკავშირებული კანონმდებლობის ჩათვლით (იხ. დანართი 2-ის დამატება 3/2).
- შემოთავაზებული საინვესტიციო პროექტები შესაბამისობაში უნდა იყოს მსოფლიო ბანკის გარემოს დაცვის უსაფრთხოების პოლიტიკასთან შემდეგ საკითხებთან დაკავშირებით: არსებობის ბუნებრივი გარემო, სატყეო მეურნეობა, პარაზიტებთან ბრძოლა, კულტურული მემკვიდრეობა, ადგილობრივი მოსახლეობა, იძულებითი გასახლება, კაშხალების უსაფრთხოება, პროექტები საერთაშორისო წყლებში, პროექტები სადავო ტერიტორიებზე.
- იმ შემთხვევაში, თუ სესხის გადახდა მომსახურების ტარიფების გაზრდაზე დამოკიდებული, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანომ უნდა დაამტკიცოს თავისი და შესაბამისი საწარმოს დაინტერესება და უნარი გაზარდოს ტარიფები იმ დონემდე, რომელიც საკმარისი იქნება სესხის დასაფარად და სხვა შეთანხმებული ფინანსური კრიტერიუმების დასაკმაყოფილებლად.

## 2.2.2 საინვესტიციო პროექტების ტიპები

მგდპ II-ის ფარგლებში მგფ-ს სესხითა და გრანტით დაფინანსებული საინვესტიციო პროექტები შემდეგ ტიპებს განეკუთვნება: არსებული მომსახურების ინფრასტრუქტურისა და საწარმოების რეაბილიტაცია და შეკეთება და/ან მომსახურებისათვის საჭირო აღჭურვილობის გამოცვლა ქვემოთმოყვანილ კატეგორიებში:

- წყალმომარაგებისა და კანალიზაციის სისტემების შეკეთება და რეაბილიტაცია;
- შიდა საქალაქო გზების, სანიაღვრეების, განათების რეაბილიტაცია;
- სანიტარია და მყარი ნარჩენების მენეჯმენტი.
- ბაზრები და სატრანსპორტო მომსახურების საშუალებები (ავტოსადგურები და ა.შ)

ყველა ის პროექტი, რომელიც არ განეკუთვნება ამ კატეგორიებს, მხოლოდ ბანკთან წინასწარი კონსულტაციების და მასთან შეთანხმების შემდეგ განიხილება.

მგფ-ს დაფინანსება არ გამოიყენება: კომერციული საწარმოებისათვის, მიწის შესყიდვის, საბრუნავი კაპიტალის ან სხვა მიმდინარე ხარჯების დასაფარად, ნახმარი აღჭურვილობის ან სატრანსპორტო საშუალებების შესაძენი, ასევე მათი ექსპლუატაციისა და შენახვის საქმიანობისათვის.

### 2.2.3 მსოფლიო ბანკის უსაფრთხოების პოლიტიკა

მსოფლიო ბანკისათვის მიუღებელია ის პროექტები, რომელიც არ შეესაბამება ბანკის უსაფრთხოების პოლიტიკას, და პოტენციურად შესაძლოა გამოიწვიოს პრობლემები შემდეგ საკითხებთან დაკავშირებით: იძულებითი გასახლება, არსებობის ბუნებრივი გარემო, კულტურული მემკვიდრეობა, საერთაშორისო წყლები, კაშხლების უსაფრთხოება, ადგილობრივი მოსახლეობა, პარაზიტებთან ბრძოლა, სადავო ტერიტორიები და სხვა. მგფ-ს მიერ დაფინანსებულ პროექტთან დაკავშირებით ნებისმიერი ამგვარი პრობლემის წამოჭრისას შესაბამისი ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანო და მგფ მყისვე გაივლის კონსულტაციებს მსოფლიო ბანკთან თუ რა ზომები უნდა იქნას გატარებული პროექტის მომზადებისა და/ან მისი განხორციელებისას. ამ პირობის შეუსრულებლობის ან ზომების გაუტარებლობის შემთხვევაში პროექტი უფლებამოსილი არ იქნება მდგპ II-ის ფარგლებში დაფინანსებაზე.

## 3. პროექტის მომზადება

### 3.1 საინვესტიციო პროექტების მომზადება

#### 3.1.1 პროექტის ციკლი

მგფ-ს მიერ საინვესტიციო პროექტის მომზადება შემდეგ თანმიმდევრულ საფეხურებს გულისხმობს:

##### (ა) საფეხური №1

ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანო წარუდგენს მგფ-ს კონკრეტულ საინვესტიციო პროექტს მისი დაფინანსების შესაძლებლობის განხილვის მოთხოვნით, პროექტის წარმოდგენის ფორმასთან ერთად, რომლის ფორმატიც მოცემულია დანართი 2-ის დამატებაში 3/1.

##### (ბ) საფეხური №2

მგფ ახორციელებს პროექტის დაფინანსების მოთხოვნის წინასწარ შეფასებას, რათა განსაზღვროს:

- შეესაბამება თუ არა შემოთავაზებული პროექტი მგფ-ს დაფინანსების პრინციპებს;
- აქვს თუ არა ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს სესხის აღების შესაძლებლობები.
- გააჩნია თუ არა ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს დასაფინანსებელი აქტივების შემდგომი ექსპლუატაციის ფინანსური, ტექნიკური და ადმინისტრაციული შესაძლებლობები;

##### (გ) საფეხური №3

თუ პროექტი არ აკმაყოფილებს აღნიშნულ პრინციპებს, მგფ ატყობინებს ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს მოთხოვნის უარყოფის შესახებ. თუ პროექტი აკმაყოფილებს წამოყენებულ მოთხოვნებს, მგფ გადადის საფეხურზე №4.

(დ) საფეხური №4

მგფ/ისდ განსაზღვრავს საკმარისია თუ არა წარმოდგენილი ტექნიკური, ფინანსური, ეკონომიკური, სოციალური და გარემოს დაცვასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია. თუ ეს დოკუმენტაცია არ არის საკმარისი დეტალური შეფასებისათვის, მგფ და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანო თანხმდებიან ქვემოთ, საფეხურ №5-ში მოცემული შეფასების კრიტერიუმების დაკმაყოფილების მიზნით განსახორციელებელი ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთების, საპროექტო და სხვა სახის სამუშაოების მოცულობასა და შესრულების პირობებზე.

(ე) საფეხური №5

პროექტის დეტალური შეფასებისას მგფ/ისდ ხელმძღვანელობს შემდეგი კრიტერიუმებით:

<ul style="list-style-type: none"><li>• არის თუ არა შემოთავაზებული პროექტი ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოსათვის აუცილებელი და პრიორიტეტული?</li><li>• სათანადოდ იქნა თუ არა განხილული მოსახლეობასთან ერთად პრობლემის გადაჭრის ალტერნატიული საშუალებები?</li><li>• როგორია მგფ-ს გამოცდილება მსგავსი პროექტების განხორციელების დარგში?</li></ul>
<ul style="list-style-type: none"><li>• აქვს თუ არა ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს შესაძლებლობა უზრუნველყოს თანადაფინანსების 20%-იანი წილი?</li><li>• აქვს თუ არა ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს შესაძლებლობა უზრუნველყოს სესხის მომსახურების ხარჯების დაფარვა?</li><li>• აქვს თუ არა ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს შესაძლებლობა დააფინანსოს აქტივების შემდგომი ექსპლუატაციის ხარჯები?</li><li>• აქვს თუ არა ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს ტექნიკური და მმართველობითი შესაძლებლობები უზრუნველყოს დასაფინანსებელი აქტივების შემდგომი უწყვეტი და დამაკმაყოფილებელი ექსპლუატაცია?</li><li>• თუ არა, მაშინ რა ნაბიჯები იდგმება, რომ უზრუნველყოფილ იქნას აქტივების უწყვეტი და დამაკმაყოფილებელი ექსპლუატაცია?</li></ul>
<ul style="list-style-type: none"><li>• ვინ იქნებიან სარგებლის მიმღებნი პროექტის განხორციელების შედეგად (ხარისხობრივად და რაოდენობრივად)?</li><li>• განხორციელდა თუ არა გარემოზე ზეგავლენის შეფასება და საჭიროების შემთხვევაში გათვალისწინებულია თუ არა შემამსუბუქებელი ღონისძიებები და შეტანილი არის თუ არა ისინი პროექტში (იხ. დანართი 2-ის დამატება 3/2)?</li><li>• წინააღმდეგობაში არის თუ არა შემოთავაზებული პროექტი მსოფლიო ბანკის უსაფრთხოების პოლიტიკასთან?</li></ul>

- არის თუ არა ტექნიკური გადაწყვეტა მინიმალურ დანახარჯიანი და შესაბამისობაშია თუ არა საქართველოს მოქმედ კანონმდებლობასთან;
  - არის თუ არა შემოთავაზებული პროექტი იმავე სფეროში განსახორციელებელი სხვა დიდი პროექტის ნაწილი. თუ არის, რა სახით არის ჩართული ამ პროგრამაში ტექნიკური ასპექტების, ღირებულების და განხორციელების გრაფიკის თვალსაზრისით და როგორ ფინანსირდება ამ პროგრამის სხვა ელემენტები?
  - არის თუ არა წარმოდგენილი დოკუმენტაცია, საპროექტო და სხვა აუცილებელი დოკუმენტაციის ჩათვლით სრული და დამაკმაყოფილებელი, იმისათვის რომ მოხდეს პროექტის ტექნიკური და ფინანსური სიცოცხლისუნარიანობის შეფასება და იძლევა თუ არა შემდგომი განხორციელების საშუალებას, თუ საჭიროა დამატებითი მოსამზადებელი სამუშაოების ჩატარება?
  - აკმაყოფილებს თუ არა წარმოდგენილი ტექნიკური დოკუმენტაცია შესაბამის ტექნიკურ სტანდარტებს?
  - არის თუ არა წინასწარი ხარჯთაღრიცხვა რეალური და იძლევა თუ არა პროექტის ღირებულების გარკვეულწილად ზუსტად განსაზღვრის შესაძლებლობას?
  - არის თუ არა შემდგომი ექსპლუატაციის ხარჯების (მიმდინარე ხარჯების) გაანგარიშება რეალური და იძლევა თუ არა ადგილობრივი მმართველობის ორგანოს წლიური საბიუჯეტო დანახარჯების ზუსტად განსაზღვრის შესაძლებლობას?
  - არის თუ არა განხორციელების პერიოდის წინასწარი გაანგარიშება რეალური?
- როგორია პროექტის განხორციელების შედეგად მიღებული პირდაპირი და არაპირდაპირი სარგებელი?
  - რომელი მეთოდოლოგიით მოხდა პროექტის ეკონომიკური შეფასება, როგორ იქნა გაანგარიშებული დანახარჯები და სარგებელი, რა შედეგები იქნა მიღებული?\*

*შენიშვნა: იმ საინვესტიციო პროექტების ეკონომიკური შეფასება, რომელთა ღირებულება აღემატება 200,000 აშშ დოლარს და მათი განხორციელების შედეგად მიღებულ სარგებელს გააჩნია მონეტარული გამოხატულება, ხოლო შედეგებს ადვილად შესაფასებელი საბაზრო ფასი, უნდა მოხდეს წმინდა მიმდინარე ღირებულების (NPV) ან მოგება-დანახარჯების ანალიზის საფუძველზე. უფრო მცირე ღირებულების მქონე პროექტების შემთხვევაში, როდესაც სარგებელის არ გააჩნია მონეტარული გამოხატულება, შეიძლება გამოყენებული იქნას დანახარჯების ეფექტურობის ან ხარჯების თვითამოვების ანალიზის მეთოდი.*

(ვ) საფეხური №6

თუ დეტალური შეფასების შედეგები დამაკმაყოფილებელია, საინვესტიციო პროექტი საბოლოო დამტკიცებისათვის წარედგინება მგფ-ს სამეთვალყურეო საბჭოს.

(ზ) საფეხური №7

სამეთვალყურეო საბჭოს მიერ პროექტის დამტკიცების შემდეგ, მგფ მოამზადებს საკრედიტო ხელშეკრულებას და განსახილველად და დასამტკიცებლად წარუდგენს მას ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს, (იხ. საკრედიტო ხელშეკრულების მოდელი დანართში 3) და

სამეთვალყურეო საბჭოს მიერ დამტკიცების შემდეგ ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოსთან ხელს მოაწერს საკრედიტო ხელშეკრულებას.

### 3.1.2 ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთებისა და საპროექტო სამუშაოების დაფინანსება

იმ საინვესტიციო პროექტების მოსამზადებელი სამუშაოების ხარჯები, რომელთა ღირებულებაც 600,000 აშშ დოლარს ზევით არის, ინდივიდუალურად განისაზღვრება ყოველი პროექტისათვის, მაგრამ პრინციპში დაფინანსების მსურველი ადგილობრივი მმართველობის ორგანოს მიერ უნდა იქნას დაფარული და საჭიროებისამებრ შესაძლოა სესხის თანხაში იქნას გათვალისწინებული.

## 3.2 ტექნიკური დახმარების ღონისძიებები

### 3.2.1 ძირითადი პრინციპები

- ქვემოთ მოყვანილია მგდპ II-ის ფარგლებში დაფინანსებული ტექნიკური დახმარების ღონისძიებები
  - ადგილობრივი და/ან საერთაშორისო კონსულტანტების, ინდივიდების ან ფირმების მიერ უზრუნველყოფილი საკონსულტაციო მომსახურება
  - ტრეინინგი

ტექნიკური დახმარების ამგვარი ღონისძიებები არ გულისხმობს რაიმე სახის აღჭურვილობის, სატრანსპორტო საშუალებების ან სხვა საქონლის უზრუნველყოფას, გამონაკლისს წარმოადგენს პროგრამები, რაც ხელს შეუწყობს მგფ-ს და/ან ადგილობრივი მმართველობის ორგანოების მართვის უნარიანობის გაუმჯობესებას.

### 3.2.2 ტექნიკური დახმარების მართვის პროცედურები

#### 3.2.2.1 მომზადება

მგფ/ტდდ სხვა დეპარტამენტებთან თანამშრომლობის შედეგად და ერთის მხრივ ტექნიკური დახმარებით პოტენციურ მოსარგებლებთან და მეორეს მხრივ მსოფლიო ბანკთან მჭიდრო კონსულტაციების საფუძველზე განსაზღვრავს და შეათანხმებს უზრუნველსაყოფი დახმარების მოცულობასა და პერიოდს.

მოცულობასა და განხორციელების პერიოდზე წინასწარ ხელშეკრულებაზე დაყრდნობით, და დიდი პროგრამების შემთხვევაში, სამეთვალყურეო საბჭოს მიერ წინასწარი დამტკიცების შემდეგ, მგფ/ტდდ მოამზადებს შესაბამის ტექნიკურ დავალებას და/ან ნებისმიერ სხვა მოსამზადებელ დოკუმენტს და დასამტკიცებლად წარუდგენს პოტენციურ მოსარგებლებს და მსოფლიო ბანკს.

ტექნიკური დავალების თაობაზე საჭირო შეთანხმების მიღწევის შემდეგ, მგფ/ტდდ ცავ/შესყიდვების რგოლთან მჭიდრო თანამშრომლობით მოამზადებს იმ კონსულტანტების საბოლოო სიას, რომლებიც მოწვეულნი იქნებიან მოთხოვნილი მომსახურების შესახებ

წინადადებების წარმოსადგენად და შემდგომ ამ წინადადებებს მსოფლიო ბანკს გადასცემს დასამტკიცებლად.

## 4. პროექტის განხორციელება

### 4.1 შესყიდვები

#### 4.1.1 ძირითადი პრინციპები

მსოფლიო ბანკის საკრედიტო სახსრებით დასაფინანსებელი სამშენებლო სამუშაოების, საქონლის და მომსახურების შესყიდვები იწარმოებს ბანკის მიერ 1995 წლის იანვარში გამოცემული და 1996 წლის იანვარში და აგვისტოში და 1997 წლის სექტემბერსა და 1999 წლის იანვარში გადასინჯული "მსოფლიო ბანკის სახელმძღვანელო შესყიდვებისათვის" და 1997 წლის იანვარში გამოცემული და 1997 წლის სექტემბერში და 1999 წლის იანვარში გადასინჯული "მსოფლიო ბანკის სახელმძღვანელო კონსულტანტთა შერჩევისათვის" თანახმად.

### 4.2 განხორციელების ზედამხედველობა

4.3.1 მგფ/ისდ, სესხის ამღები ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს სახელით, განახორციელებს კონკრეტული სესხის ფარგლებში დადებული კონტრაქტების განხორციელების ყველა ასპექტის ზედამხედველობას, (ე.ი. ტექნიკურ ზედამხედველობას, კონტრაქტის მართვას და ფინანსურ კონტროლს, გადახდებს კონტრაქტორებისა და/ან მომწოდებლებისათვის, გარემოზე ზეგავლენის მონიტორინგს და ა.შ.). აღნიშნულ ზედამხედველობას მგფ ან უშუალოდ თავისი თანამშრომლების, ან ამ მიზნით მის მიერ დაქირავებული კონსულტანტების მეშვეობით განახორციელებს. ზედამხედველობის ხარჯები მგფ-ს მიერ დაიფარება მისივე საოპერაციო ხარჯებიდან.

4.3.2 მგფ-ს მიერ მისი საოპერაციო ხარჯებიდან დაფინანსებული ზედამხედველი კონსულტანტების შერჩევა და მათთან კონტრაქტების გაფორმება საქართველოს რესპუბლიკის შესაბამისი კანონმდებლობით რეგულირდება.

4.3.3 ზედამხედველი კონსულტანტების საქმიანობას კოორდინაციას და მეთვალყურეობას გაუწევს მგფ/ისდ-ს დირექტორი ან მის მიერ ამ მიზნით დანიშნული თანამშრომელი.

4.3.4 მგფ პასუხისმგებელია სესხის ამღები ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს და/ან სხვა მესამე მხარის წინაშე ზედამხედველი კონსულტანტების მიერ შესრულებული სამუშაოების ხარისხზე, და იურიდიულ და ფინანსურ პასუხისმგებლობას კისრულობს კონსულტანტების მიერ დაშვებული პროფესიონალური შეცდომებით ან ცუდი შესრულებით გამოწვეულ ზარალთან ან დამატებით ხარჯებთან დაკავშირებით.

4.3.5 სესხის ამღებ ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს უფლება ექნება მოიწვიოს თავისი საკუთარი ექსპერტ-ზედამხედველები და ხელი უნდა მოაწეროს ზედამხედველი კონსულტანტების მიერ გამოწერილ ყველა ანგარიშფაქტურას.

4.3.6 მგფ/ტდდ პასუხისმგებელია პროექტის განხორციელების ყველა ასპექტზე. ამ მიზნით იგი ტექნიკური დახმარების მიმღებებთან და საჭიროებისამებრ სხვა დაინტერესებულ ორგანიზაციებთან და საზოგადოებრიობის წარმომადგენლებთან ერთად თვალყურს ადევნებს და

მჭიდრო ზედამხედველობას გაუწევს კონსულტანტების ან მომსახურების სხვა უზრუნველყოფების მოღვაწეობას.

#### 4.4 მონიტორინგი და შეფასება

4.3.1 მგფ ააწყობს სისტემებს, იმისათვის, რომ სათანადო მონიტორინგი გაუწიოს ინვესტიციების და ტექნიკური დახმარების ღონისძიებების საშუალო და გრძელ-ვადიან შედეგებს, რაც სესხის ამღები ადგილობრივი მმართველობის ორგანოს და/ან სხვა მოსარგებლის შესრულების მაჩვენებელზე აისახება, ჩაატარებს პერიოდულ შემდგომ შეფასებებს და ახალი ოპერაციების დაგეგმვისას გაითვალისწინებს შეფასებულ შედეგებს.

**პროექტის წარმოდგენის ფორმა**

<p><b>1. ადგილობრივი მმართველობის ორგანო</b></p>	<p>საკონტაქტო პირი: ტელეფონი: ფაქსი:</p>
<p><b>2. პროექტის დასახელება:</b></p>	
<p><b>3. მიზანი:</b> პროექტის მიზანი</p>	
<p><b>4. საფუძველი და დასაბუთება:</b> შემოთავაზებული პროექტის სფეროში არსებული სიტუაციის აღწერა, შემდეგ შეკითხვაზე პასუხის ჩათვლით: რა მოჰყვება პროექტის განხორციელებლობას, რომელი პრობლემების გადაჭრას აპირებს პროექტი, პრობლემების გადაჭრის რომელი ალტერნატიული გზები იქნა განხილული, რაში მდგომარეობს პოტენციური სარგებელი/ხარჯები, ვინ არის გათვალისწინებული მოსარგებლედ და ვინ ზარალდება პოტენციურად.</p>	
<p><b>5. პროექტის აღწერა:</b> შემოთავაზებული პროექტის მახასიათებლების ზოგადი აღწერა, მისი ძირითადი კომპონენტები ; სამშენებლო სამუშაოები, აღჭურვილობა და ა.შ.</p>	
<p><b>6. პროექტის სახარჯთაღრიცხვო ღირებულება:</b> ხარჯები ლარებში, საბაჟო გადასახადის და სხვა გადასახადების ჩათვლით.</p>	
<p><b>7. პროექტის განხორციელების გეგმიური პერიოდი.</b></p>	
<p><b>8. სავარაუდო მიმდინარე (საოპერაციო) ხარჯები ლარებში/წლიური:</b> ზრდადი მიმდინარე ხარჯების აბსოლუტური რაოდენობის და მიმდინარე საოპერაციო ხარჯების %-ის სახით</p>	
<p><b>9. ტექნიკური დახმარების შესაძლო საჭიროებები:</b> საჭირო ტექნიკური დახმარების დანიშნულების განსაზღვრა: პროექტის მომზადება, ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთებების მომზადებას, წინასწარი და საბოლოო საპროექტო გათვლები, და ა.შ.</p>	

**გარემოზე ზეგავლენის შეფასების სახელმძღვანელო პრინციპები**

**5.1 შესავალი**

წინამდებარე დანართში წარმოდგენილია გარემოზე ზეგავლენის უსაფრთხოების ზომების სრულად დაცვისათვის საჭირო მსოფლიო ბანკის გარემოზე ზეგავლენის შეფასების სახელმძღვანელო პრინციპების და საქართველოს გარემოს დაცვის წესების შესაბამისი პროცედურები და განხორციელების ღონისძიებები მგაპ II-ის ფარგლებში მგფ-ის მიერ დასაფინანსებელი საინვესტიციო პროექტებისათვის. მასში უპირველესად პროექტთან დაკავშირებული გარემოს დაცვის არსებული წესები და სტანდარტები არის აღწერილი, და მოხსენიებულია სახელმწიფო და ადგილობრივი დონის ის დაწესებულებები, რომელიც ნებართვების და ლიცენზიების გაცემაზე და გარემოზე ზეგავლენის სტანდარტებთან შესატყვისობაზე არის პასუხისმგებელი. ამ თავში აგრეთვე მოცემულია გარემოზე ზეგავლენის განსაზღვრის, შეფასების და მონიტორინგის დეტალური სახელმძღვანელო პრინციპები მგფ-ის თანამშრომლებისა და ქვე-პროექტების წარმომდგენელთათვის. მგფ-ის თითოეული პროექტი ინდივიდუალურად იქნება შერჩეული და განხილული მგფ-ის მიერ. საპროექტო წინადადებაში შევა გარემოზე ზეგავლენის შემოწმების საკონტროლო სია, ხოლო პროექტის შეფასების დოკუმენტი შეიფარდებს კონკრეტული ტიპისათვის შესატყვის ანალიზს, ხარჯებს და შემამსუბუქებელ ზომებს.

**5.2 გარემოსდაცვითი ნებართვები და სხვა გარემოსდაცვითი წესები საქართველოში.**

საქართველოში გარემოსდაცვითი ნებართვის პროცედურა ორ კანონში არის განსაზღვრული: (ი) საქართველოს კანონი გარემოსდაცვითი ნებართვის შესახებ და (იი) საქართველოს კანონი საქართველოს ეკოლოგიური ექსპერტიზის შესახებ, რომელთაგან ორივე 1997 წელს შევიდა ძალაში. კანონი გარემოსდაცვითი ნებართვის შესახებ ნებართვების გაცემის პროცედურებს არეგულირებს და მოიცავს გარემოსდაცვით ნებართვებს, გარემოზე ზეგავლენის შეფასებებს, საჯარო ინფორმაციას და გადაწყვეტილების მიღების პროცედურებში მონაწილეობას. ამ კანონის თანახმად პროექტები ოთხ კატეგორიად იყოფა, მათი მოცულობის, მნიშვნელობის და გარემოზე პოტენციური ზეგავლენის მიხედვით. ადგილობრივი მმართველობის ინფრასტრუქტურა და აღჭურვილობა II კატეგორიას ეკუთვნის. ოთხივე კატეგორია ნებართვის მისაღებად სახელმწიფო ეკოლოგიურ ექსპერტიზას უნდა დაექვემდებაროს; თუმცა, პირველ (უმაღლეს) კატეგორიაში გაერთიანებული ღონისძიებები ამ პროცესში მგფ-ის მიერ ჩასატარებელ გარემოზე ზეგავლენის შეფასებას საჭიროებს. I და II კატეგორიის პროექტების პროცედურები საჯარო განხილვებს საჭიროებს, მაშინ როდესაც III კატეგორიის პროექტებისათვის საკმარისია ინფორმაციის საჯაროდ გამოტანა. IV კატეგორიის პროექტებისათვის ინფორმაციის საჯაროდ გამოტანა სავალდებულო არ არის. შესაბამისი პროექტების სხვადასხვა კატეგორიების მაჩვენებელი ნუსხა ქვემოთ არის მოყვანილი:

**I კატეგორიის პროექტები:** ამ სათაურის ქვეშ გაერთიანებულ ყველა ღონისძიებაზე გარემოსდაცვითი ნებართვა უნდა იქნას გაცემული: (ი) ნაგვის გადამამუშავების და გატანის პროექტები (მუნიციპალური და სამრეწველო ნაგვის გატანის, ნაგავსაყრელების და ნაგვის გადამამუშავებელი და დასაწვავი ქარხნების ადგილმდებარეობის და ფუნქციონირების

ჩათვლით); (იი) ნებისმიერი დანიშნულების დიდი მილსადენების პროექტები; (იიი) წყლის, ტყეების, მიწების, წიაღისეულის საბადოების და საქართველოში არსებული სხვა ბუნებრივი რესურსების დაცვისა და სარგებლობის გეგმები და პროექტები და (ივ) ყველა ტიპის ეკონომიკური და საინჟინრო ობიექტების განლაგების სახელმწიფო, რეგიონალური და ადგილობრივი მნიშვნელობის პროგრამები და პროექტები, საქართველოში მოსალოდნელი ბუნებრივი სტიქიური პროცესების უარყოფითი ზეგავლენის თავიდან აცილების მიზნით. ინფრასტრუქტურული წინადადებები დამტკიცებამდე კანონით განსაზღვრული წესის თანახმად გაცემულ გარემოსდაცვით ნებართვებს საჭიროებენ. ამ კატეგორიის ღონისძიებებისათვის გარემოსდაცვითი ნებართვები გარემოს დაცვის სამინისტროს მიერ უნდა იქნას გაცემული. I კატეგორიის პროექტებისათვის გარემოსდაცვითი ნებართვების გაცემის სავალდებულო;ო პროცედურებში შედის: (ი) გარემოზე ზეგავლენის შეფასება, რომელიც არსებული კანონის III მუხლის თანახმად უნდა განხორციელდეს; (იი) სახელმწიფო ეკოლოგიური ექსპერტიზის პროცედურები, რომელიც კანონის შესაბამისად უნდა განხორციელდეს; (იიი) საზოგადოების მონაწილეობა გადაწყვეტილების მიღების პროცესში.

**II კატეგორიის პროექტები.** II კატეგორიის პროექტები ისეთი ღონისძიებებით არის წარმოდგენილი, რომელმაც თავისი მოცულობის, ადგილმდებარეობის ან არსის გამო შესაძლოა მნიშვნელოვანი ზეგავლენა იქონიოს ადამიანების ჯანმრთელობასა და იმ რეგიონის ეკოლოგიაზე, სადაც იგი განხორციელდება. ამგვარ ღონისძიებებს წარმოადგენს: სასმელი და სარწყავი წყალმომარაგების სისტემების მშენებლობა და ფუნქციონირება; და მუნიციპალური სამსახურები კანალიზაციის ჩათვლით. პროექტის ოფიციალური შეფასების გარდა, რომელიც აქტში განსაზღვრულ კრიტერიუმებთან შესატყვისობას დაეფუძნება, ამ კატეგორიის სამართლებრივ მოთხოვნებში ასევე შედის პროექტის საზოგადოებრიობის მონაწილეობის და საჯარო დებატების ხელშეწყობა რეკლამირების საშუალებით.

**III კატეგორიის პროექტები.** III კატეგორიაში ისეთი ღონისძიებები შედის, რომელთა მოცულობა, ადგილმდებარეობა და არსი არავითარ სერიოზულ უარყოფით ზეგავლენას არ იქონიებს გარემოზე. ამ კატეგორიის ღონისძიებებისათვის გარემოსდაცვით ნებართვებს გარემოს დაცვის სამინისტროს რეგიონალური სამსახურები და ასევე აჭარის და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკების გარემოს დაცვის სამინისტროები გასცემენ. ამგვარი ნებართვების გაცემის სავალდებულო პირობებში შედის: (ი) სახელმწიფო ეკოლოგიური ექსპერტიზის პროცედურები აქტის თანახმად; და (იი) დაგეგმილი ღონისძიების ოფიციალური შეტყობინება საზოგადოებისათვის.

**IV კატეგორიის პროექტები.** IV კატეგორიის პროექტები ის პროექტებია, რომელთა ზეგავლენა გარემოზე უმნიშვნელოა.

საინვესტიციო პროექტების განხორციელებისას მფხ სახელმწიფო ეკოლოგიური ექსპერტიზის (1997) და გარემოსდაცვითი ნებართვების კანონებს (1997) დაექვემდებარება და მოიპოვებს საჭირო ნებართვებს გარემოს დაცვის სამინისტროდან ან რეგიონალური ეკოლოგიური ინსპექციებიდან და/ან მოსთხოვს მოიჯარადეებს მოიპოვონ ამგვარი ნებართვები და ლიცენზიები. ზემოთქმულის მიხედვით, კანონმდებლობა გასატარებელი ღონისძიებების ხასიათთან დაკავშირებით ადგენს პროექტის განხორციელებისათვის საჭირო გარემოსდაცვითი ნებართვების მოპოვების პროცედურებს. საქართველოს კანონი “გარემოსდაცვითი ნებართვების შესახებ” საჭიროებს

გარემოზე ზეგავლენის შეფასებას და საზოგადოებრიობის მონაწილეობას I და II კატეგორიებში (გარემოზე და სოციალური მნიშვნელოვანი ზეგავლენის მქონე) გაერთიანებულ ღონისძიებებთან დაკავშირებით მისაღებ გადაწყვეტილებაზე. გარემოს დაცვის სამინისტრო გარემოზე ზეგავლენის შეფასებებს საჯაროდ გამოიტანს, მოაწყობს მის განხილვებს დაინტერესებულ ჯგუფებთან და დროის განსაზღვრულ მონაკვეთში მიიღებს წერილობით გამოხმაურებებს და გარემოზე ზეგავლენის შეფასებებს ნებისმიერი იურიდიული ან ფიზიკური პირებისაგან. კანონის თანახმად საზოგადოება ინფორმირებული უნდა იყოს III კატეგორიასთან (მინიმალური გარემოზე და სოციალური ზეგავლენის მქონე) დაკავშირებით შემოთავაზებული ღონისძიებების შესახებ.

საპროექტო წინადადებების შერჩევა და მათი გარემოზე ზეგავლენის და შემოთავაზებული შემამსუბუქებელი ზომების შეფასება მგფ-ის თანამშრომლების მიერ ჩატარდება. საპროექტო წინადადებების ჩვეულებრივი შერჩევა პროექტის ტიპოლოგიაზე დაყრდნობით განსაზღვრავს გარემოზე ზეგავლენის რა ტიპის შეფასება იქნება საჭირო. სავარაუდოა, რომ პროექტების უმეტესობას არ დასჭირდება გარემოზე ზეგავლენის შეფასება ან დასჭირდება მხოლოდ გარემოზე ზეგავლენის მარტივი მიმოხილვა იმ საკონტროლო სიაზე დაყრდნობით, რომელიც გარემოზე ზეგავლენას განსაზღვრავს და გვთავაზობს შემამსუბუქებელ ზომებს. საკონტროლო სია მგფ-ის მიერ იქნება შევსებული (დანართი 1). იმ პროექტებსაც კი, რომლებიც გარემოს დაცვის თვალსაზრისით დამაკმაყოფილებლად არის დაგეგმილი, შეუძლია ზიანი მოუტანოს ან უარყოფითი ზეგავლენა იქონიოს გარემოზე იმ შემთხვევაში, თუ სამშენებლო სამუშაოები გარემოზე ან სოციალური შესაძლო ზეგავლენის უგულებელყოფის პირობებში იქნება განხორციელებული. ამან შეიძლება გამოიწვიოს მტკრის, ხმაურის, და სამშენებლო ნარჩენების წარმოქმნა სამშენებლო ობიექტებზე, საცობები მძიმე სამშენებლო ტექნიკის მოძრაობის გამო, ნიადაგის და მცენარეული საფარის დეგრადაცია და ა.შ. ზემოხსენებულის თავიდან ასაცილებლად მგფ-ის მიერ დაფინანსებული პროექტების სამშენებლო სამუშაოების მწარმოებელი მოიჯარადეები უზრუნველყოფილი უნდა იქნან გარემოზე ზეგავლენის მართვის თანდართული სახელმძღვანელო პრინციპებით (დანართი 2). ამ სახელმძღვანელო პრინციპების განსახორციელებლად ისინი კონტრაქტების განუყოფელ ნაწილს უნდა წარმოადგენდნენ. ადგილობრივი მმართველობა და მგფ (საჭიროების შემთხვევაში ფინანსთა სამინისტრო) მონიტორინგს უნდა უწევდეს სამშენებლო ობიექტებს, რათ უზრუნველყონ თავისი მოიჯარადეების შესატყვისობა საკონტრაქტო ვალდებულებებთან, გარემოს დაცვასთან დაკავშირებული საკითხების ჩათვლით. შეუსატყვისობის შემთხვევაში, მოიჯარადეების მიმართ გამოყენებული იქნება კონტრაქტით გათვალისწინებული ჯარიმები და სანქციები, რაც სხვა საშუალების არ არსებობის შემთხვევაში, გულისხმობს კონტრაქტის შეჩერებას გარემოსათვის უსაფრთხო სხვა ალტერნატიული პრაქტიკის განსაზღვრამდე.

### 5.3 გარემოზე ზეგავლენის შეფასება პროექტის ციკლის სხვადასხვა ეტაპებზე

პროექტის ციკლის განმავლობაში ჩასატარებელი გარემოზე ზეგავლენის შეფასების სამი ეტაპი არის:

- იდენტიფიკაციის ეტაპი
- შეფასების ეტაპი
- განხორციელების ეტაპი

### 5.3.1 გარემოზე ზეგავლენის წინასწარი შეფასება იდენტიფიკაციის ეტაპზე

მგფ-ის დაფინანსებისათვის წარდგენილი პროექტების გარემოზე ზეგავლენის წინასწარი შეფასების უმთავრესი მიზანი არის გამოირიცხოს იმ პროექტების დაფინანსება, რომელთაც პოტენციურად უარყოფითი ზეგავლენა შეიძლება ჰქონდეთ გარემოზე. ამ ეტაპზე შემდეგი ნაბიჯები გადაიდგება:

- გარემოზე ზეგავლენის შეფასების განხორციელება ობიექტზე გაუსვლელად, არსებული საპროექტო დოკუმენტაციის გამოყენებით;
- პროექტის ობიექტზე გასვლა და გარემოზე ზეგავლენის წინასწარი შეფასების ჩატარება;
- მტკიცებულებების შეგროვება იმასთან დაკავშირებით, რომ შემოთავაზებული პროექტი არ ეწინააღმდეგება გარემოს დაცვის არსებულ წესებს;
- გარემოზე შესაძლო უარყოფითი ზეგავლენის შეფასება, შესაძლო საპროექტო ალტერნატივების და შემამსუბუქებელი ზომების ძიება, ხოლო ამგვარის არარსებობის ან ადგილობრივი მმართველობების სესხის ალების შესაძლებლობის ფარგლებში ღირებულების მიუღებლობის შემთხვევაში, პროექტის არადაამაყყოფილებლად მიჩნევა და/ან ადგილობრივი მმართველობის მიმართვა სხვა შესაძლო შეღავათიანი დაფინანსების წყაროსაკენ.

შემოთავაზებული პროექტის წინასწარი განხილვისას მგფ:

- შეაფასებს ზეგავლენის ქვეშ მყოფ გარემოს
- გამოიკვლევს მიწით სარგებლობის და რესურსების გამოყენების შეზღუდვებს საპროექტო არეალში
- შეამოწმებს საპროექტო წინადადების შესატყვისობას სხვა გარემოსდაცვით კანონებთან და წესებთან
- შეაფასებს პოტენციურად საზიანო ზეგავლენის დიაპაზონსა და მასშტაბებს;
- შეაფასებს სპეციფიური პროფილაქტიკური და/ან შემამსუბუქებელი ზომების საჭიროებას;
- გასცემს რეკომენდაციებს პროექტების ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთებების და შეფასებებისათვის საჭირო გარემოზე ზეგავლენის შეფასების ტიპთან დაკავშირებით, რაც ასევე გულისხმობს გარემოს დაცვის სპეციალისტის/კონსულტანტის შესაძლო მონაწილეობას.

გარემოზე ზეგავლენის შეფასება/განსაზღვრა 1 და 3 დანართების თანახმად უნდა იქნას შეჯამებული. შესაძლო ვარიანტები: მოსალოდნელი არ არის რაიმე მნიშვნელოვანი ზეგავლენა გარემოზე, შესაძლო უარყოფითი ზეგავლენა გარემოზე, შემოთავაზებული ქვე-პროექტი არღვევს არსებულ გარემოსდაცვით წესებს, პროექტს შედეგად მოჰყვება დადებითი ზეგავლენა გარემოზე. შეფასებას შეავსებს წერილობითი სახით წარმოდგენილი კომენტარები და რეკომენდაციები, მათ შორის: ზეგავლენის ქვეშ მყოფი გარემოს მოკლე აღწერა; პოტენციური ზეგავლენის მოკლე აღწერა; რეკომენდაციები: (ი) გარემოს დაცვის კონსულტანტების აყვანასთან, (იი) ტექნიკური, ადგილმდებარეობის და სხვა ალტერნატიული გადაწყვეტილებების გათვალისწინების სასურველობასთან, (იიი) სპეციფიური პროფილაქტიკური და/ან შემამსუბუქებელი ზომების საჭიროებასთან და (ივ) გარემოზე ზეგავლენის შეფასების სასურველ დონესთან და შემდგომ ეტაპებზე საზოგადოების მონაწილეობასთან დაკავშირებით.

### 5.3.2 გარემოზე ზეგავლენის შეფასება შეფასების საბოლოო ეტაპზე

გარემოზე ზეგავლენის შეფასების მიზანი შეფასების ეტაპზე შემდეგში მდგომარეობს:

- დარწმუნება, რომ პროექტმა მოიპოვა და/ან შესძლებს სამუშაოების დაწყებამდე მოიპოვოს ყველა საჭირო ნებართვა და თანხმობა და არ არღვევს არსებულ გარემოსდაცვით წესებს;
- გარემოზე ზეგავლენის იმ შემთხვევებისათვის, რომელთა შემსუბუქებაც შესაძლებელია, სათანადო პროფილაქტიკური და შემამსუბუქებელი ზომების დაგეგმვის და მათი განხორციელებისათვის საჭირო საბიუჯეტო და/ან ტექნიკური რესურსების გამოყოფის კონტროლი;
- რეკომენდაციების უზრუნველყოფა გარემოზე ზეგავლენის მონიტორინგის მექანიზმებთან და ღონესთან დაკავშირებით პროექტის შემდგომ ეტაპებზე.

შეფასებისას მგფ-ის გარემოს დაცვის სპეციალისტებს/კონსულტანტებს ევალებათ:

- გავიდნენ პროექტის ობიექტზე და ადგილზე ჩატარონ საბოლოო შეფასება, რაც აგრეთვე გულისხმობს მონაწილეობას საჯარო შეხვედრებში.
- შეადარონ პროექტის საბოლოო დოკუმენტაციას გარემოზე ზეგავლენის წინასწარი შეფასების შედეგები და რეკომენდაციები; დაადგინონ, რომ საჭირო გარემოსდაცვითი ნებართვები (მიწით სარგებლობის, რესურსებით სარგებლობის, სამშენებლო ნარჩენების გადაყრის და სანიტარული ინსპექციის ჩათვლით) და თანხმობები სახეზეა ან მათი მოპოვება შესაძლებელია;
- მოამზადონ შესაბამისი შეფასების დოკუმენტი (იხ. ქვემოთმოყვანილი ნიმუში);
- საჭიროების შემთხვევაში მოამზადონ გარემოზე ზეგავლენის მართვისა და მონიტორინგის გეგმა (გარემოზე ზეგავლენის პოტენციური შემთხვევების მაგალითები და შესაბამისი შემამსუბუქებელი ზომები დანართ 4-ში, გარემოზე ზეგავლენის მართვისა და მონიტორინგის გეგმის ნიმუშში არის მოცემული);
- განიხილონ პროექტის დოკუმენტაცია, რათა შეამოწმონ შემდეგი საკითხები: (ი) წესების შესაბამისად ჩატარდა თუ არა გარემოზე ზეგავლენის შეფასება და მისდევს თუ არა იგი გარემოზე ზეგავლენის წინასწარი შეფასების რეკომენდაციებს; (იი) შეიცავს თუ არა დოკუმენტაცია შეფასების ეტაპზე საჭირო ყველა ნებართვასა და თანხმობას; (იიი) დაგეგმილი იქნა თუ არა სათანადო პროფილაქტიკური და შემამსუბუქებელი ზომები და თუ იქნა გამოყოფილი საჭირო რესურსები, ან მიღებულ იქნა ალტერნატიული გადაწყვეტილება (საჭირო დოკუმენტების თანხლებით), რომელიც არასაჭიროს ხდის ამგვარ ზომებს; (ივ) საჯაროდ გამოტანილი იქნა თუ რა პროექტის დოკუმენტაცია და ობიექტზე საბოლოო გასვლის შედეგად მოპოვებული მონაცემები და რომ საზოგადოებრიობა პროექტის განხორციელების წინააღმდეგი არ არის.
- გააკეთონ რეკომენდაციები გარემოზე ზეგავლენის მონიტორინგის დონისა და მექანიზმების შესახებ მშენებლობისა და ინვესტიციების შემდგომი გამოყენების/ექსპლუატაციის მიმდინარეობისას.

გარემოზე ზეგავლენის საბოლოო შეფასების მონაცემების შეჯამება ხდება “გარემოზე ზეგავლენის შეფასების შედეგების დასკვნებში” ქვემოთმოყვანილი ნიმუშის მიხედვით.

#### **გარემოზე ზეგავლენის შეფასების ძირითადი შედეგები**

- გარემოს გაუმჯობესება
- უმნიშვნელო ზეგავლენა გარემოზე
- პოტენციური უარყოფითი ზეგავლენა გარემოზე, შესაბამისი შემამსუბუქებელი ზომები, რომელიც გარემოს დაცვის ორგანოების კონკრეტული გადაწყვეტილებებით არის მხარდაჭერილი
- უარყოფითი ზეგავლენა გარემოზე, პროექტი შესაბამისობაშია წესებთან, მაგრამ შემამსუბუქებელი ზომები არასაკმარისი, არარეალური და/ან ზედმეტად მაღალი ღირებულებისაა
- კომპეტენტური გარემოსდაცვითი ორგანოს უარყოფითი გადაწყვეტილება

#### **გარემოზე პოტენციური უარყოფითი ზეგავლენის მოკლე აღწერა**

- საჭირო პროფილაქტიკური და შემამსუბუქებელი ზომების განხორციელება
- ყველა აუცილებელი თანხმობისა და ნებართვის არსებობის დადასტურება
- დასკვნა მფ-ის მიერ გარემოზე ზეგავლენის მონიტორინგის განხორციელების საჭიროების/სასურველობის თაობაზე მშენებლობის/ექსპლუატაციის სტადიაზე
- დასკვნა პროექტის განხორციელებასთან დაკავშირებით, ან რეკომენდაცია სხვა ალტერნატივების განხილვის თაობაზე, ან რეკომენდაცია იმის თაობაზე, რომ ჩატარდეს გარემოზე ზეგავლენის შემდგომი კვლევა.

#### **5.3.4 გარემოზე ზეგავლენის მონიტორინგი განხორციელების სტადიაზე**

მშენებლობის პროცესში მფ-ის მიერ აყვანილი კონსულტანტების ძირითადი მიზანი უნდა იყოს საპროექტო დოკუმენტაციაში მითითებული გარემოს დაცვის და შემამსუბუქებელი ზომების სათანადო განხორციელების მეთვალყურეობა, ისევე როგორც გარემოზე მოულოდნელი უარყოფითი ზეგავლენის გადაჭრის ან შემსუბუქების მონიტორინგი.

გარემოზე ზეგავლენის შეფასების ფორმა მუნიციპალური საინვესტიციო პროექტებისათვის

პროექტის დასახელება:	
რეგიონი:	
ქალაქი:	
პროექტის ობიექტი:	
დაფინანსება:	
მოსარგებლე:	
პროექტის აღწერა:	

(ა) საკონტროლო სია

ა. მყარი ნარჩენები პროექტი	(i) წარმოქმნის (ii) აგროვებს (iii) ლიკვიდაციას აკეთებს (iv) არც ერთი ზემომოყვანილთაგან		-ve +ve +ve n
ბ. ფეკალური წყლები/ თხევადი ნარჩენები პროექტი	(i) წარმოქმნის (ii) აგროვებს (iii) ლიკვიდაციას აკეთებს (iv) არც ერთი ზემომოყვანილთაგან		-ve +ve +ve n
გ. ღრენაჟი პროექტი (ზედაპირული წყლები)	(i) წარმოქმნის (ii) აგროვებს (iii) ლიკვიდაციას აკეთებს (iv) არც ერთი ზემომოყვანილთაგან		-ve +ve +ve n
დ. სანიტარული მეურნეობა პროექტი	(i) წარმოქმნის (ii) აგროვებს (iii) ლიკვიდაციას აკეთებს (iv) არც ერთი ზემომოყვანილთაგან		-ve +ve +ve n
ე. წყლის რესურსები პროექტი	(i) ამცირებს აღდგენას (ii) ზრდის აღდგენას (iii) აბინძურებს (iv) არც ერთი ზემომოყვანილთაგან		-ve +ve +ve n
ვ. მიწის რესურსები პროექტი	(i) იყენებს აგრარულ მიწას (ii) იყენებს გამწვანებულ მასივებს (iii) იწვევს სანაპიროს ეროზიას (iv) აუმჯობესებს მიწით სარგებლობას (v) წარმოქმნის მწვანე მასივებს (vi) არც ერთი ზემომოყვანილთაგან		-ve -ve -ve +ve +ve n
ზ. ტრანსპორტის მოძრაობა პროექტი	(i) ზრდის მოძრაობას (ii) ამცირებს მოძრაობას (iii) არეგულირებს მოძრაობას (iv) არც ერთი ზემომოყვანილთაგან		-ve +ve +ve n
<b>შეჯამება:</b>			
	უარყოფითების რაოდენობა: - ve =		
	დადებითების რაოდენობა: + ve =		
	ნეიტრალურების რაოდენობა: n =		

**(ბ) ზეგავლენის განსაზღვრა**

აქვს თუ არა პროექტს რაიმე ზეგავლენა გარემოზე?	
რაში მდგომარეობს პროექტის საგრძნობი სასარგებლო და უარყოფითი ზეგავლენა გარემოზე?	
აქვს თუ არა პროექტს რაიმე საგრძნობი პოტენციური ზეგავლენა ადგილობრივ ან პროექტში მონაწილე საზოგადოების ჯგუფზე?	
რა ზეგავლენას ახდენს პროექტი ადამიანის ჯანმრთელობაზე?	

**(გ) შემამსუბუქებელი ზომები**

რა შემამსუბუქებელი ზომები და რომელი ალტერნატიული ობიექტები არის შემოთავაზებული? (შეუსაბამოა)	
წინა ანალოგიური პროექტებიდან მიღებული რა სახის გამოცდილება იქნა გათვალისწინებული პროექტის გეგმაში?	
მონაწილეობდნენ თუ არა პროექტის მომზადებაში დაინტერესებული საზოგადოების ჯგუფები და ადეკვატურად იქნა თუ არა გათვალისწინებული მათი ინტერესები და გამოცდილება?	

**(დ) რანჟირება**

ზეგავლენის განსაზღვრაზე დაყრდნობით, შეიძლება თუ არა, რომ პროექტი ჩაითვალოს:

- ა) გარემოზე დადებითი ზეგავლენის მქონედ
- ბ) გარემოზე ნეიტრალური ზეგავლენის მქონედ
- გ) გარემოზე უარყოფითი ზეგავლენის მქონედ
- დ) საჭიროებს ხელახალ დაპროექტებას

## გარემოზე ზეგავლენის შეფასების საკონტროლო სია

ქვე-პროექტი -----

მუნიციპალიტეტი -----

გარემოს კომპონენტი	არსებული ზეგავლენა	ზეგავლენის აღწერა	საჭირო შემამსუბუქებელი ზომები	ითვალისწინებს თუ არა პროექტი საჭირო შემამსუბუქებელ ზომებს
1. ნიადაგი განხორციელების სტადია	არის - არ არის -			არის - არ არის -
ექსპლუატაციის სტადია	არის - არ არის -			არის - არ არის -
2. წყალი განხორციელების სტადია	არის - არ არის -			არის - არ არის -
ექსპლუატაციის სტადია	არის - არ არის -			არის - არ არის -
3. ჰაერი განხორციელების სტადია	არის - არ არის -			არის - არ არის -
ექსპლუატაციის სტადია	არის - არ არის -			არის - არ არის -
4. ფლორა და ფაუნა განხორციელების სტადია	არის - არ არის -			არის - არ არის -
ექსპლუატაციის სტადია	არის - არ არის -			არის - არ არის -
5. ესთეტიკური მხარე და ლანდშაფტი განხორციელების სტადია	არის - არ არის -			არის - არ არის -
ექსპლუატაციის სტადია	არის - არ არის -			არის - არ არის -
6. ადამიანის ჯანმრთელობა განხორციელების სტადია	არის - არ არის -			არის - არ არის -
ექსპლუატაციის სტადია	არის - არ არის -			არის - არ არის -
7. დასახლებები განხორციელების სტადია	არის - არ არის -			არის - არ არის -
ექსპლუატაციის სტადია	არის - არ არის -			არის - არ არის -

**შემფასებელი ინჟინერის დასკვნები** შემდეგ საკითხებთან დაკავშირებით:

1. შემოთავაზებული ქვე-პროექტით გამოწვეული გარემოზე ზეგავლენის მასშტაბი;
2. იმ სავალდებულო შემამსუბუქებელი ზომების განსაზღვრა, რომელიც თავიდანვე არ იყო გათვალისწინებული შემოთავაზებულ ქვე-პროექტში;
3. უარყოფითი ზეგავლენის შემსუბუქების რეალისტური შესაძლებლობა;
4. გარემოზე ზეგავლენის შეზღუდული შეფასების გამოყენების საჭიროება ქვე-პროექტისათვის;
5. ქვე-პროექტის გადასვლა შეფასების მეორე ეტაპზე.

შემფასებელი ინჟინერი -----

თარიღი -----

ხელმოწერა -----

სესხის აღების შესაძლებლობების მაჩვენებლები

200— წლისათვის

ლარებში

წლიური ორდინარული პროფიციტი	
სესხის წლიური მომსახურების მაქსიმალური ოდენობა	
სესხის მაქსიმალური ოდენობა ორდინარული პროფიციტის საფუძველზე	
წლიური ორდინარული შემოსავალი	
სესხის მაქსიმალური ოდენობა	
არსებული ფინანსური ვალდებულებები	
სესხის მაქსიმალური ოდენობა ფინანსური ვალდებულებების საფუძველზე	
სესხის აღების ლიმიტი	
შესაძლო ინვესტიციის მაქსიმალური ოდენობა	

## საინვესტიციო ხელშეკრულება

ქ. \_\_\_\_\_ მერიასა

და

საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდს

შორის

200\_\_ წ.

## სარჩევი

1. განსაზღვრებები
2. ხელშეკრულების საგანი
3. "პროექტი"-ს ღირებულება
4. "პროექტი"-ს დაფინანსება
5. სესხის პირობები
6. მუნიციპალური საბიუჯეტო შენატანი
7. "პროექტი"-თ გათვალისწინებული სამუშაოების შესყიდვები
8. სამუშაოებზე ზედამხედველობის და კონტროლის განხორციელება
9. სამუშაოების გადაცემა, მიღება და ჩაბარება
10. გადახდის პროცედურები
11. "მგფ"-ს უფლებები, მოვალეობები და პასუხისმგებლობა
12. "მუნიციპალიტეტი"-ს უფლებები, მოვალეობები და პასუხისმგებლობა
13. განსაკუთრებული პირობები
14. ცვლილებები, დამატებები და შეტყობინებები
15. ხელშეკრულების მოქმედების ვადა
16. ხელშეკრულების ვადამდე შეწყვეტა
17. დაუძლეველი წინააღმდეგობის ძალა (ფორს-მაჟორი)
18. დავების გადაწყვეტა
19. სხვა პირობები
20. მხარეთა იურიდიული მისამართები

# საინვესტიციო ხელშეკრულება

ქ. \_\_\_\_\_ მერიასა და

საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდს

შორის

ქ. \_\_\_\_\_ “\_\_\_” \_\_\_\_\_ 200 \_\_\_\_ წ.

მუნიციპალური საინვესტიციო  
პროექტის დასახელება:

მუნიციპალური საინვესტიციო  
პროექტის კოდი:

ჩვენ, ქვემოთ ხელისმომწერნი, ქ. \_\_\_\_\_ მერია, ქ. \_\_\_\_\_ მერის \_\_\_\_\_ სახით, შემდგომში “მუნიციპალიტეტად” წოდებული, ერთის მხრივ და საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი, აღმასრულებელი დირექტორის ვიქტორ მეტრეველის სახით, შემდგომში “მგფ”-დ წოდებული, მეორეს მხრივ, შევთანხმდით და საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნათა შესაბამისად დავდეთ წინამდებარე ხელშეკრულება შემდეგზე:

## მუხლი 1

### განსაზღვრებები

1.1. "მუნიციპალური საინვესტიციო პროექტი" – \_\_\_\_\_.

1.2. "პროექტი" - "მუნიციპალური საინვესტიციო პროექტი"

1.3. "ფირმა" - "პროექტით" გათვალისწინებული სამუშაოების განმახორციელებელი იურიდიული, მმართველობითი და ფინანსური დამოუკიდებლობის მქონე კერძო საწარმო, რომლის შერჩევა მოხდა, "მუნიციპალური განვითარებისა და დეცენტრალიზაციის პროექტის" სამოქმედო სახელმძღვანელოთი განსაზღვრული კონკურსის (ტენდერის) საფუძველზე.

1.4. "პროექტის" საბაზისო ღირებულება - კონკურსში გამარჯვებული "ფირმის" საკონკურსო წინადადების ფასი.

1.5. "პროექტის" ფაქტიური ღირებულება – მუნიციპალური საინვესტიციო პროექტით გათვალისწინებული სამუშაოების დასრულების შემდეგ შემსრულებელი ფირმის მიერ წარმოდგენილ და "მგფ"-ს მიერ ანაზღაურებულ "გადახდის მოთხოვნებში" დაფიქსირებული ფასი.

1.6. "გადახდის მოთხოვნა" - "ფირმის" მიერ წარმოსადგენი შესაბამისი ფორმის დოკუმენტი, რომელიც უნდა შეიცავდეს ამ ხელშეკრულების 10.2 პუნქტით განსაზღვრულ ინფორმაციას და თან ერთვოდეს 10.3 პუნქტით გათვალისწინებული დოკუმენტები.

1.7. სესხი - ნიშნავს, "პროექტის" საბაზისო და/ან ფაქტიური ღირებულების 40%, რომლის გამოყოფის და გადახდის პირობები განსაზღვრულია ამ ხელშეკრულებით.

1.8. პირველი ტრანში - "მგფ"-ს მიერ "ფირმის" მიერ მოწოდებული შესრულებული სამუშაოების პირველი ანაზღაურება.

1.9. სამოქმედო სახელმძღვანელო - "მგფ"-ს სამეთვალყურეო საბჭოს მიერ დამტკიცებული "მგფ"-ს სამოქმედო სახელმძღვანელო.

1.10. თანადაფინანსება - "პროექტის" საბაზისო და/ან ფაქტიური ღირებულების 20%, რომელიც გადახდილ უნდა იქნას "მუნიციპალიტეტის" მიერ, ამ ხელშეკრულების მე-6 მუხლით განსაზღვრული პირობების შესაბამისად.

## მუხლი 2 ხელშეკრულების საგანი

2.1. წინამდებარე ხელშეკრულების საგანია, "მგფ"-ს მიერ, ამ ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობების შესაბამისად, მუნიციპალური საინვესტიციო პროექტის \_\_\_\_\_, შემდგომში "პროექტად" წოდებული – დაფინანსება.

## მუხლი 3 "პროექტი"-ს ღირებულება

3.1. "პროექტი"-ს საბაზისო ღირებულება შეადგენს \_\_\_\_\_ ლარს.

3.2. "პროექტი"-ს საბაზისო ღირებულება ემყარება, წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედებაში შესვლის პერიოდისათვის არსებულ სამუშაოების ღირებულებასა და კონკურსში გამარჯვებული ფირმის საკონკურსო წინადადების ფასს.

3.3. ამ მუხლის 3.1 პუნქტში მოცემული თანხა წარმოადგენს "პროექტი"-ს საბაზისო ღირებულებას, რომელიც კორექტირებულ იქნება სპეციალური ფორმულის საფუძველზე. დანახარჯების ღირებულების მერყეობის შემთხვევაში "ფირმის" მიერ წარმოდგენილ "გადახდის მოთხოვნებში" დაფიქსირებული თანხები კორექტირებული იქნება გადასახდელ რაოდენობასთან

მიმართებაში ფასის შესაბამისი კორექტირების კოეფიციენტის საშუალებით. ამისათვის გამოიყენება შემდეგი ფორმულა:

$$P = A + B \text{Imc}/\text{Ioc}$$

სადაც **P** არის კორექტირების კოეფიციენტი საკონტრაქტო ფასის ნაწილისათვის. **A** და **B** არის კოეფიციენტები, რომლებიც შესაბამისად წარმოადგენენ საკონტრაქტო ფასის არაკორექტირებად და კორექტირებად ნაწილებს;

**Imc** არის სამომხმარებლო ფასების ინდექსი, იმ თვის ბოლოსთვის, რომლისთვისაც მოთხოვნილი იყო ანაზღაურება, ხოლო **Ioc** არის სამომხმარებლო ფასების ინდექსი, რომელიც დაფიქსირებულია კონკურსის გახსნამდე 28 დღით ადრე.

3.4 “პროექტი”-ს ფაქტიური ღირებულება დადგინდება, “პროექტი”-თ განსაზღვრული სამუშაოების დასრულების შემდეგ, “ფირმის” მიერ წარმოდგენილ და “მეფ”-ს მიერ ანაზღაურებულ “გადახდის მოთხოვნებში” დაფიქსირებული თანხების საფუძველზე.

#### მუხლი 4

##### “პროექტი”-ს დაფინანსება

4.1. “მეფ” იღებს ვალდებულებას დააფინანსოს “პროექტი”-ს საბაზისო ღირებულების 80 (ოთხმოცი) პროცენტი შემდეგი პირობების საფუძველზე:

ა) სესხის თანხა – \_\_\_\_\_ ლარი, რაც შეადგენს “პროექტი”-ს საბაზისო ღირებულების 40 (ორმოცი) პროცენტს.

ბ) გრანტის თანხა – \_\_\_\_\_ ლარი, რაც შეადგენს “პროექტი”-ს საბაზისო ღირებულების 40 (ორმოცი) პროცენტს.

გ) “პროექტი”-ს საბაზისო ღირებულების დარჩენილი 20 (ოცი) პროცენტი – \_\_\_\_ ლარი, თანადაფინანსების სახით გადახდილი იქნება “მუნიციპალიტეტი”-ს მიერ, როგორც ამ მიზნებისათვის განსაზღვრული მისი საბიუჯეტო შენატანი.

4.2. ამ მუხლის 4.1 პუნქტის ა), ბ), და გ) ქვეპუნქტებით განსაზღვრული თანხები კორექტირებული იქნება ამ ხელშეკრულების 3.3 პუნქტის მიხედვით.

#### მუხლი 5

##### სესხის პირობები

5.1. ამ ხელშეკრულების 4.1. პუნქტის "ა" ქვეპუნქტით განსაზღვრული სესხი გაიცემა შემდეგი პირობებით:

ა) სესხის ვალუტა – ლარი;

- ბ) სესხის დაფარვის ვადა – 10 (ათი) წელი;
- გ) სესხის წლიური საპროცენტო განაკვეთი – სესხის ძირითადი თანხის დაუფარავი ნაწილის 15 (თხუთმეტი) პროცენტი;
- დ) სესხის გადახდის შეღავათიანი პერიოდი (მხოლოდ სესხის ძირითადი თანხისათვის) – ერთი წელი პირველი ტრანშის გაცემის თარიღიდან;
- ე) სესხის პროცენტის დარიცხვის დაწყების თარიღი – პირველი ტრანშის გაცემის თარიღი. პროცენტის დარიცხვა იწარმოებს ტრანშების გაცემის თარიღების შესაბამისად. პროცენტი დაერიცხება გადარიცხული თანხის 40%-ს. საპროცენტო თანხა გამოითვლება 360-დღიანი წლის, თორმეტი 30-დღიანი თვის საფუძველზე.
- ვ) საპროცენტო თანხის გადახდის დაწყების თარიღი – “პროექტი”-ს დამთავრების და ამ ხელშეკრულების 9.4 პუნქტით განსაზღვრული წესებით მისი მიღების შემდეგ, მაგრამ არა უგვიანეს 1 (ერთი) წლისა, პირველი ტრანშის გაცემის დღიდან;
- ზ) სესხის ძირითადი თანხის და დარიცხული პროცენტის ყოველთვიური გადახდის თარიღი – ყოველი თვის ის დღე, რომელიც შეესაბამება პირველი ტრანშის გაცემის თარიღს;
- თ) სესხის ძირითადი თანხის და დარიცხული პროცენტის ყოველთვიური გადახდის დაგვიანების შემთხვევაში, "მუნიციპალიტეტი" გადაიხდის ჯარიმას დაგვიანებული გადასახდელი თანხის 0.06% ოდენობით, ყოველ გადაცილებულ დღეზე.
- ი) სესხის დაფარვის გრაფიკი შედგენილი იქნება, “პროექტი”-ს დასრულების და ამ ხელშეკრულების 3.4 პუნქტის შესაბამისად, “პროექტი”-ს ფაქტიური ღირებულების განსაზღვრის შემდეგ.

5.2 იმ შემთხვევაში, თუ "პროექტი" არ დასრულდება ერთი წლის განმავლობაში და შესაბამისად ვერ განისაზღვრება "პროექტის" ფაქტიური ღირებულება, სესხის დაფარვის გრაფიკი განისაზღვრება პირველი ტრანშის გაცემის თარიღიდან ერთი წლის განმავლობაში სესხის ათვისებული ნაწილის მიხედვით და შემდგომში კორექტირებულ იქნება "პროექტი"-ს ფაქტიური ღირებულების, ამ ხელშეკრულების მე-3 მუხლის შესაბამისად, განსაზღვრის შემდეგ.

5.3 სესხის დაფარვის გრაფიკი აისახება წინამდებარე ხელშეკრულების მე-14 მუხლის შესაბამისად შეტანილი დამატებით, რომელიც ამ ხელშეკრულების განუყოფელი ნაწილი იქნება.

## მუხლი 6

### "მუნიციპალიტეტი"-ს საბიუჯეტო შენატანი (თანადაფინანსება)

6.1. ამ ხელშეკრულების 4.1. პუნქტის "გ" ქვეპუნქტით განსაზღვრული "მუნიციპალიტეტი"-ს საბიუჯეტო შენატანი განთავსდება კომერციულ ბანკში გახსნილ ანგარიშზე.

6.2. აღნიშნული ანგარიშის მფლობელი იქნება “მგფ”.

6.3. ამ შენატანის განთავსება წარმოადგენს “მგფ”-ს მიერ, შესაბამის "ფირმა"-სთან ხელშეკრულებაზე ხელის მოწერის წინაპირობას.

6.4. “მუნიციპალიტეტი”-ს შენატანი განთავსდება “\_\_\_\_\_” ბანკში გახსნილ ანგარიშზე:

კოდი № \_\_\_\_\_

ანგ. № \_\_\_\_\_

6.5. ამ ხელშეკრულების 4.1. პუნქტის "გ" ქვეპუნქტით განსაზღვრული "მუნიციპალიტეტი"-ს საბიუჯეტო შენატანი, წარმოადგენს "პროექტი"-ს საბაზისო ღირებულებაში შენატანს. "მუნიციპალიტეტი" თანახმაა ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად დამატებითი სამუშაოების განხორციელებასთან და/ან ამ ხელშეკრულების 3.3 პუნქტთან დაკავშირებული დამატებითი ხარჯების წარმოქმნის შემთხვევაში, ანაზღაუროს აღნიშნული დამატებითი ხარჯების 20%.

6.6. ეს დამატებითი ხარჯები აისახება "პროექტი"-ს ფაქტიურ ღირებულებაში ამ ხელშეკრულების 3.1 პუნქტში მოცემული ფორმულის მიხედვით კორექტირების და/ან დამატებითი სამუშაოების შესახებ მიღებული მხარეების ერთობლივი გადაწყვეტილების საფუძველზე.

6.7. "მუნიციპალიტეტი" ვალდებულია, უზრუნველყოს აუცილებელი დამატებითი დაფინანსება "მეფ"-ს სათანადო შეტყობინებიდან არაუგვიანეს 30 (ოცდაათი) დღის ვადაში.

6.8. "ფირმის" მიერ "პროექტი"-ს განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების გაწევამდე, "პროექტის" შეწყვეტის შესახებ "მეფ"-სა და "მუნიციპალიტეტი"-ს ორმხრივი გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, "მეფ" ვალდებულია დაუბრუნოს "მუნიციპალიტეტს", მის მიერ თანადაფინანსების სახით შეტანილი თანხა სრული ოდენობით;

6.9. იმ შემთხვევაში, თუ "პროექტი"-ს ფაქტიური ღირებულების 20% "მუნიციპალიტეტი"-ს მიერ თანადაფინანსების სახით შეტანილ თანხაზე ნაკლები იქნება, "მეფ" ვალდებულია შესაბამისი სხვაობა დაუბრუნოს "მუნიციპალიტეტს", აღნიშნული ფაქტის დადგენიდან 30 დღის განმავლობაში.

## მუხლი 7

### "პროექტი"-თ გათვალისწინებული სამუშაოების შესყიდვები

7.1. "პროექტი"-თ გათვალისწინებული სამუშაოებისა მიმწოდებელი იქნება, სამოქმედო სახელმძღვანელოში აღწერილი პროცედურების შესაბამისად, ჩატარებულ ტენდერში გამარჯვებული "ფირმა".

7.2. ამ ხელშეკრულების 7.1. პუნქტით გათვალისწინებულ შესყიდვებს განახორციელებს "მეფ", მასსა და "ფირმას" შორის გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე, "სამოქმედო სახელმძღვანელო"-ში აღწერილი პროცედურების და წინამდებარე ხელშეკრულების მე-10 მუხლის შესაბამისად.

7.3. "მუნიციპალიტეტი" თანახმაა, რომ "პროექტით" გათვალისწინებული სამუშაოების საფასურს "მეფ" გადაუხდის უშუალოდ "ფირმას", "მეფ"-სა და "ფირმას" შორის გაფორმებული ხელშეკრულების პირობების შესაბამისად.

7.4. თუ სამუშაოები არ შესრულდება იმ ვადებში რომლებიც განსაზღვრულია "მგფ"-სა და "ფირმას" შორის გაფორმებული ხელშეკრულებით, და თუ მიზეზები გამოწვეულია:

- ა) მხარეების მიერ შეთანხმებული დამატებითი სამუშაოების განხორციელებით;
- ბ) იმ პირობებით, რომლებიც მისაღებია "მგფ"-სა და "მუნიციპალიტეტი"-სთვის.

შესრულების ვადები შეიძლება გაგრძელდეს ამ ხელშეკრულების მხარეთა საერთო წერილობითი თანხმობის საფუძველზე.

7.5. მხარეთა საერთო თანხმობის შემთხვევაში "მგფ"-ს უფლება აქვს ნაწილობრივ გაზარდოს ან შეამციროს სამუშაოების ოდენობა. ამ შემთხვევაში დაგეგმილი ხარჯები და აღნიშნული თანხები იქნება შესაბამისად გადასინჯული, წინამდებარე ხელშეკრულებაში შესაბამისი ცვლილების შეტანით ამ ხელშეკრულების მე-14 მუხლით განსაზღვრული წესის შესაბამისად.

## მუხლი 8

### სამუშაოებზე ზედამხედველობის და კონტროლის განხორციელება

8.1. "პროექტით" გათვალისწინებული სამუშაოების მიმდინარეობის ზედამხედველობას და კონტროლს "მგფ" განახორციელებს შესაბამისი გამოცდილების მქონე "სამუშაოების ზედამხედველი"-ს მეშვეობით.

8.2 "სამუშაოების ზედამხედველი" იმოქმედებს "მგფ"-ს ინსტრუქციების შესაბამისად.

8.3. "მუნიციპალიტეტი" თანახმაა მიიღოს "სამუშაოების ზედამხედველი" "პროექტი"-ს მიმდინარეობის პერიოდში, და უზრუნველყოს იგი სამუშაო ადგილით, რათა მან განახორციელოს სამუშაოების მიმდინარეობის ზედამხედველობა და კონტროლი. თუ "სამუშაოების ზედამხედველი"-ს მიერ შესრულებული სამუშაო მიუღებელი იქნება "მუნიციპალიტეტი"-სთვის, მას უფლება აქვს აცნობოს ამის შესახებ ფონდს.

## მუხლი 9

### სამუშაოებისა გადაცემა, მიღება და ანაზღაურება

9.1. "მგფ"-ს მიერ, "პროექტი"-თ გათვალისწინებული სამუშაოების ან სამუშაოს სხვადასხვა ეტაპების მიღება განხორციელდება, "ფირმის" მიერ წარმოდგენილი, შესრულებული სამუშაოების დამადასტურებელი დოკუმენტის საფუძველზე, რომელსაც თან უნდა ერთვოდეს შესაბამისი ფინანსური და ტექნიკური დოკუმენტაცია.

9.2. "მგფ" 10 (ათი) დღის განმავლობაში განიხილავს "ფირმის" მიერ წარმოდგენილ შესრულებული სამუშაოების დამადასტურებელ დოკუმენტს და მიიღებს ან უარყოფს მას. უარყოფის შემთხვევაში "ფირმის" წერილობითი ფორმით მიეთითება უარყოფის მიზეზები და მათი აღმოფხვრის ვადები.

9.3. შესყიდვლი/შესრულებული სამუშაოების ხარისხი უნდა შეესაბამებოდეს "ფირმის" საკონკურსო წინადადებაში წარმოდგენილ ტექნიკურ სპეციფიკაციებსა და ხარჯთაღრიცხვას.

9.4. დასრულების შემდეგ სამუშაოების მიღება განხორციელდება "პროექტში" მონაწილე ყველა მხარის – "მგფ", "მუნიციპალიტეტი", "სამუშაოების ზედამხედველი", "ფირმა", – წარმომადგენლების თანდასწრებით, რაზედაც შედგება შესაბამისი აქტი. სამუშაოები შემოწმებული იქნება და თუ ისინი ჩაითვლება მისაღებად, განხორციელდება საბოლოო გადახდა, ხარჯების 5%-ის დაკავებით.

9.5. სამუშაოების დასრულებიდან ერთი წლის შემდეგ, თუ მათი ხარისხი ჩაითვლება დამაკმაყოფილებლად, ყველა მხარის თანდასწრებით განხორციელდება მათი საბოლოო მიღება, ხოლო "ფირმა"-ს აუნაზღაურდება დაკავებული თანხა.

9.6 თუ თანხის დაკავების პერიოდში დადგინდება, რომ შესრულებული სამუშაოების ხარისხი არ არის დამაკმაყოფილებელი, "ფირმა" ვალდებულია გამოასწოროს ნაკლოვანებები. "მუნიციპალიტეტი" აცნობებს "მგფ"-ს "ფირმის" მიერ გამოსასწორებელი ღონისძიებების განხორციელების თაობაზე. თუ "ფირმის" მიერ ეს ნაკლოვანებები არ აღმოიფხვრება "მგფ"-ს მიერ მითითებულ ვადაში დაკავებული თანხა არ იქნება ანაზღაურებული და ეს თანხა მიმართული იქნება აღნიშნული ნაკლოვანებების აღმოსაფხვრელად.

## მუხლი 10

### გადახდის პროცედურები

10.1. "მგფ" პირდაპირ გადაუხდის შესაბამის "ფირმა"-ს შესრულებული სამუშაოების საფასურს.

10.2. გადახდის პროცედურის შესაბამისად გაფორმებისათვის, "ფირმა" "მგფ"-ს წარუდგენს "გადახდის მოთხოვნის" ფორმას, რომელიც:

10.2.1. უნდა შეიცავდეს სრულყოფილ ინფორმაციას ბანკის დასახელების, მისამართისა და "ფირმის" საბანკო ანგარიშის შესახებ;

10.2.2. ხელმოწერილი უნდა იყოს "ფირმის" უფლებამოსილი პირის მიერ და დამოწმებულ იქნეს "მუნიციპალიტეტი"-ს უფლებამოსილი წარმომადგენლის მიერ;

10.3. "გადახდის მოთხოვნის" ფორმას თან უნდა ერთვოდეს სამუშაოების შესრულების ამსახველი დოკუმენტის დედანი. ეს დოკუმენტი ხელმოწერილი უნდა იყოს "სამუშაოების ზედამხედველი"-ს მიერ და დამოწმებული იქნეს "მუნიციპალიტეტი"-ს მიერ.

10.4. "მუნიციპალიტეტი" განიხილავს და დაამოწმებს "გადახდის მოთხოვნას" მისი წარმოდგენიდან სამი სამუშაო დღის განმავლობაში.

10.5. გადახდის მეთოდები განისაზღვრება "მგფ"-ს და "ფირმა"-ს შორის გაფორმებული ხელშეკრულებით.

10.6. “მფვ” განახორციელებს გადახდებს, “გადახდის მოთხოვნის” დამტკიცების თარიღიდან 10 (ათი) დღის განმავლობაში.

## მუხლი 11

### “მფვ”-ს უფლებები, მოვალეობები და პასუხისმგებლობა

11.1. “მფვ” ვალდებულია უზრუნველყოს “პროექტი”-ს დაფინანსება, წინამდებარე ხელშეკრულების მე-4 მუხლით განსაზღვრული პირობების შესაბამისად.

11.2. “მფვ” ვალდებულია განახორციელოს შესყიდვების/სამუშაოების ტექნიკური ზედამხედველობა და კონტროლი, რომელიც უზრუნველყოფს "ფირმის" მიერ შესრულებული სამუშაოების ხარისხის და მათთან დაკავშირებული დანახარჯების შესაბამისობას "ფირმის" საკონკურსო წინადადებაში წარმოდგენილ ტექნიკურ სპეციფიკაციებსა და ხარჯთაღრიცხვასთან.

11.3. თუ "ფირმა" არ შეასრულებს ან არაჯეროვნად შეასრულებს შესაბამისი ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვალდებულებებს, “მფვ”-ი ვალდებულია მოსთხოვოს მას ფულადი ანაზღაურება ჯარიმის სახით. ჯარიმის ოდენობა განისაზღვრება “მფვ”-სა და "ფირმა"-ს შორის გაფორმებულ ხელშეკრულებაში.

11.4. “მფვ” ვალდებულია წერილობით აცნობოს "მუნიციპალიტეტს" პირველი ტრანშის გაცემის თარიღი.

11.5 “მფვ” ვალდებულია მიაწოდოს "მუნიციპალიტეტს" "ფირმასთან" და “სამუშაოების ზედამხედველთა” გაფორმებული ხელშეკრულებები, მათი ხელმოწერიდან ერთი კვირის განმავლობაში.

## მუხლი 12

### “მუნიციპალიტეტი”-ს უფლებები, მოვალეობები და პასუხისმგებლობა

12.1. გადახდის შეღავათიანი პერიოდის გასვლის შემდეგ, “მუნიციპალიტეტი” ვალდებულია, დაიწყოს სესხის ძირითადი თანხის გადახდა, ყოველთვიური შენატანების სახით. გადახდა განხორციელდება, წინამდებარე ხელშეკრულების 5.1 პუნქტის "ი" ქვეპუნქტის თანახმად განსაზღვრული სესხის დაფარვის გრაფიკის მიხედვით.

12.2. “პროექტი”-ს დამთავრების შემდეგ, მაგრამ არა უგვიანეს პირველი ტრანშის გაცემის დღიდან 1 (ერთი) წლის შემდეგ, “მუნიციპალიტეტი” ვალდებულია, დაიწყოს ყოველთვიურად სესხის ძირითად თანხაზე დარიცხული პროცენტების გადახდა. გადახდა განხორციელდება, წინამდებარე ხელშეკრულების 5.1 პუნქტის "ი" ქვეპუნქტის თანახმად განსაზღვრული სესხის დაფარვის გრაფიკის მიხედვით.

12.3. “მუნიციპალიტეტი” უფლებამოსილია გადაიხადოს მთლიანად სესხის ძირითადი თანხა ან მისი რაიმე ნაწილი გადახდის ერთი ან მეტი ვადისათვის, როგორც ამას განსაზღვრავს “მუნიციპალიტეტი”, ყოველგვარი პრემიის ან ჯარიმის გარეშე. იმ შემთხვევაში თუ “მუნიციპალიტეტი” გადაიხდის სესხის ძირითადი თანხის ნაწილს, შემუშავდება სესხის დაფარვის ახალი გრაფიკი და სესხის ხანგრძლივობა შესაბამისად შემცირდება.

12.4. “მუნიციპალიტეტი” ვალდებულია, სესხის ძირითადი თანხის და მასზე დარიცხული პროცენტების სრულად დაფარვამდე, ყოველი მომდევნო წლის ადგილობრივ ბიუჯეტის პროექტში, მიღებული სესხის მომსახურებისათვის განკუთვნილი ხარჯები განსაზღვროს, როგორც პრიორიტეტულად დაცული მუხლები.

12.5. “მუნიციპალიტეტი” ვალდებულია, უზრუნველყოს "პროექტი"-ს განხორციელების შედეგად მიღებული ობიექტის შემდგომი მომსახურება და გამართული ფუნქციონირება.

12.6. “მუნიციპალიტეტს” არა აქვს უფლება გაასხვისოს ან უფლებრივად სხვაგვარად დატვირთოს "პროექტი"-ს განხორციელების შედეგად მიღებული ობიექტი "მგფ"-ს წერილობითი თანხმობის გარეშე მანამდე, ვიდრე არ მოხდება სესხის ძირითადი თანხის და მასზე დარიცხული პროცენტების სრულად გადახდა.

### **მუხლი 13**

#### **განსაკუთრებული პირობები**

13.1. "მგფ"-სა და "მუნიციპალიტეტი"-ს მიერ წინამდებარე ხელშეკრულების ხელმოწერის შემდგომ, მისი ძალაში შესვლის წინაპირობას წარმოადგენს ქ. \_\_\_\_\_ საკრებულოს მიერ ამ ხელშეკრულების შესაბამისი გადაწყვეტილებით დამტკიცება. აღნიშნული გადაწყვეტილება უნდა შეიცავდეს საკრებულოს მითითებას "მუნიციპალიტეტი"-სადმი, რომ "მგფ"-სგან მიღებული სესხის მომსახურების ხარჯები, "მუნიციპალიტეტი"-ს მიერ მოსამზადებელ და საკრებულოსათვის დასამტკიცებლად წარსადგენ ადგილობრივი ბიუჯეტის პროექტში, აღებული სესხის სრულ დაფარვამდე, გათვალისწინებულ იქნას, როგორც პრიორიტეტულად დაცული მუხლები.

### **მუხლი 14**

#### **ცვლილებები, დამატებები და შეტყობინებები**

14.1 ცვლილებებისა და დამატებების შეტანა ამ ხელშეკრულებაში, რომლებიც განიხილება როგორც მისი განუყოფელი ნაწილი, მხარეთა შეთანხმებით შეიძლება ნებისმიერ დროს.

14.2. ნებისმიერი ცვლილება და დამატება შეიძლება შეტანილ იქნას მხოლოდ წერილობითი ფორმით.

14.3. ცვლილებები გაფორმდება, როგორც ამ ხელშეკრულების დამატება.

14.4. ყველა შეტყობინება, გაკეთებული მხარეების მიერ წინამდებარე ხელშეკრულებასთან დაკავშირებით, უნდა შესრულდეს წერილობითი ფორმით.

14.5. ამ ხელშეკრულების დამატებები და მასთან დაკავშირებული შეტყობინებები, რომლებიც არ განხორციელდება ამ მუხლით განსაზღვრული წესების დაცვით, არ იქნება განხილული.

14.6 ამ ხელშეკრულების ცვლილებები და მისი დამატებები ძალაში შედის ამ ცვლილებების და დამატებების ხელმოწერის დღიდან ან მათში მითითებული სხვა თარიღიდან.

## მუხლი 15

### ხელშეკრულების მოქმედების ვადა

15.1 წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის ქ. \_\_\_\_\_ საკრებულოს მიერ მისი დამტკიცების დღიდან და ძალაშია სესხის ძირითადი თანხისა და მასზე დარიცხული პროცენტის სრულ დაფარვამდე.

## მუხლი 16

### ხელშეკრულების ვადაზე შეწყვეტა.

16.1 მხარეებს უფლება აქვთ მოითხოვონ ამ ხელშეკრულების შეწყვეტა, დასაბუთების საფუძველზე, ნებისმიერ დროს.

16.2. თუ წინამდებარე ხელშეკრულების ვადაზე შეწყვეტა მოხდება "მუნიციპალიტეტი"-ს მიერ ამ ხელშეკრულების პირობების დარღვევის ან მათი არაჯეროვნად შესრულების გამო, "მუნიციპალიტეტი" ვალდებულია დაუბრუნოს "მფ"-ს ხელშეკრულების შეწყვეტამდე მიღებული სესხის თანხა სრული მოცულობით. თუ წინამდებარე ხელშეკრულების ვადაზე შეწყვეტა მოხდება "პროექტით" გათვალისწინებული სამუშაოების დამთავრებამდე "მუნიციპალიტეტი"-ს მიერ ამ ხელშეკრულების პირობების დარღვევის ან მათი არაჯეროვნად შესრულების გამო, "მუნიციპალიტეტი" ვალდებულია დაუბრუნოს "მფ"-ს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისათვის "პროექტის" განსახორციელებლად დახარჯული თანხა სრული მოცულობით.

16.3. ამ მუხლის 16.2. პუნქტში მოცემული მიზეზით ვადაზე შეწყვეტის შემთხვევაში, "მფ" აუნაზღაურებს "სამუშაოების ზედამხედველ"-ს და "ფირმას", ამ ხელშეკრულების შეწყვეტამდე შესრულებულ სამუშაოს საფასურს და ასევე, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, იმ შესაძლო დანაკარგებს, რომლებსაც გამოიწვევს ამ ხელშეკრულების შეწყვეტა. აღნიშნულის განხორციელებისათვის "მფ" გამოიყენებს "მუნიციპალიტეტი"-ს მიერ გაღებულ თანადაფინანსების თანხას. თუ აღნიშნული თანხა არ იქნება საკმარისი, "მუნიციპალიტეტი" ვალდებულია გამოეყოფოს დამატებითი თანხები "სამუშაოების ზედამხედველ"-სა და "ფირმის" მიერ გაწეული სამუშაოების და შესაძლო დანაკარგების ასანაზღაურებლად.

16.4 თუ წინამდებარე ხელშეკრულების ვადაზე შეწყვეტა მოხდება "პროექტით" გათვალისწინებული სამუშაოების დამთავრებამდე "მფ"-ს მიერ ამ ხელშეკრულების პირობების დარღვევის ან მათი არაჯეროვნად შესრულების გამო, "მფ" ვალდებულია დაუბრუნოს "მუნიციპალიტეტს" მის მიერ "პროექტის" განსახორციელებლად თანადაფინანსების სახით გაღებული თანხის ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისათვის დარჩენილი ნაწილი.

## მუხლი 17

### დაუძლეველი წინააღმდეგობის ძალა (ფორს-მაჟორი)

17.1. ფორს-მაჟორული გარემოებების მოქმედებისას – ომი, სტიქიური უბედურებები, ემბარგო, სახელმწიფოს მიერ გამოცემული ამკრძალავი ნორმატიული აქტები, რომლებიც უშუალო კავშირში არიან წინამდებარე ხელშეკრულებასთან და ხელს უშლიან მის შესრულებას, წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედების და მისი პირობების შესრულების დრო გადაიწვევს იმ ვადით, რა ვადითაც იმოქმედებს აღნიშნული გარემოებები.

17.2. საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუარესება არ განიხილება, როგორც ფორს-მაჟორი.

17.3. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში, მხარეები ვალდებული არიან აცნობონ ერთმანეთს ამის შესახებ წერილობითი ფორმით. ასევე წერილობითი ფორმით უნდა შეატყობინონ მხარეებმა ერთმანეთს ფორს-მაჟორული პირობების შეწყვეტის და ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულების შესაძლებლობის აღდგენის შესახებ.

17.4. თუ პროექტის განხორციელების პროცესში ფორს-მაჟორული გარემოება უშუალო ზეგავლენას იქონიებს ხელშეკრულების საგანზე, გამოიწვევს მის დაზიანებას ან განადგურებას, მხარეები თავისუფლდებიან წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებებისაგან.

17.5. ფორს-მაჟორული გარემოებების სამ თვეზე მეტი ხანით გაგრძელების შემთხვევაში, მხარეებს უფლება აქვთ, მეორე მხარისათვის ზიანის ანაზღაურების გარეშე, შეწყვიტონ წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედება.

## მუხლი 18

### დავების გადაწყვეტა.

18.1. მხარეებს შორის წარმოშობილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა წყდება მხარეთა ურთიერთშეთანხმების გზით. შეუთანხმებლობის შემთხვევაში – საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

## მუხლი 19

### სხვა პირობები.

19.1 მხარეთა ურთიერთობები, რომელიც არ არის განსაზღვრული წინამდებარე ხელშეკრულებით და სამოქმედო სახელმძღვანელოთი, რეგულირდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით.

19.2 წინამდებარე ხელშეკრულება შედგენილია ორ ეგზემპლარად, ქართულ ენაზე. ამასთან, ორივეს თანაბარი იურიდიული ძალა აქვს.

მუხლი 20

მხარეთა იურიდიული მისამართები

"მუნიციპალიტეტი" :

ქ. \_\_\_\_\_ მერია,  
38 \_\_\_\_\_, \_\_\_\_\_, \_\_\_\_\_,  
ტელ/ფაქსი: \_\_\_\_\_

ქ. \_\_\_\_\_ მერი

/ \_\_\_\_\_ /

მგფ :

საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი,  
380077, თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზირი 41,  
ტელ/ფაქსი: 94-32-40, 94-04-39

აღმასრულებელი დირექტორი

/ვ. მეტრეველი/

## გარემოზე ზეგავლენის მართვის სახელმძღვანელო პრინციპები მოიჯარადეებისათვის

### დანიშნულება

ამ სახელმძღვანელო პრინციპების დანიშნულებას წარმოადგენს მოიჯარადეებისათვის განსაზღვროს სამშენებლო სამუშაოების მინიმალური სტანდარტები, რომელიც მუნიციპალური განვითარების ფონდისათვის (მგფ) არის მისაღები.

### სამანქანო და ფეხით მოსიარულეთა გზები

სარეაბილიტაციო სამუშაოების ჩასატარებლად შესაძლოა საჭირო გახდეს გარკვეული სამანქანო და ფეხით მოსიარულეთა გზების გადაკეტვა, ან გადატანა, რასაც მშენებლობის პროცესში მუდმივი ან დროებითი ხასიათი ექნება. მოიჯარადემ უნდა მოახდინოს შემოვლითი გზის ორგანიზება, რათა უზრუნველყოს ალტერნატიული მარშრუტი ტრანსპორტისა და ფეხით მოსიარულეთათვის.

ყოველი სამანქანო ან ფეხით მოსიარულეთა გზის გადაკეტვის, აყრის ან ნებისმიერი სხვა სახის ჩარევის შემთხვევაში, მოიჯარადე ორგანიზებას გააკეთებს, რომ შეძლებისდაგვარად ნაკლებად მოხდეს ამ ქუჩაზე ტრანსპორტისა და ფეხით მოსიარულეთა მოძრაობის დაბრკოლება სამშენებლო სამუშაოების მსვლელობაში.

იმ შემთხვევაში, როდესაც სარეაბილიტაციო სამუშაოები იწვევს არსებული სახელმწიფო ან კერძო მფლობელობაში მყოფი გზების, ან რაიმე სხვა სახელმწიფო ან კერძო სატრანსპორტო გასასვლელების გადაკეტვას, მოიჯარადე შეძლებისდაგვარად უზრუნველყოფს შემოვლით გზებს. სამშენებლო და განათების სტანდარტები შესატყვისობაში უნდა იყოს ნებისმიერი კლასის სატრანსპორტო საშუალების მოთხოვნებთან, რომელიც არსებული გზებით სარგებლობს, ხოლო შემოვლითი გზების სიგანე შეძლებისდაგვარად არ უნდა იყოს მოქმედი გზის სიგანეზე ნაკლები. შემოვლითი გზები არსებული გზების გაუქმებამდე უნდა აშენდეს და ექსპლუატაციისას ადექვატურად უნდა უზრუნველყოს ტრანსპორტის მოძრაობა.

მოიჯარადეს ასევე ევალება ყველა სავალდებულო საინფორმაციო ტაბლოს უზრუნველყოფა, აღმართვა და შენარჩუნება დროის საჭირო მონაკვეთის განმავლობაში.

### სატვირთო მანქანებისა და სამშენებლო ტექნიკის მოძრაობა

მოიჯარადე, რომელსაც მყარი ან თხევადი სამშენებლო მასალები გადააქვს, მკაცრ ზომებს მიიღებს, რათა მინიმუმამდე დაიყვანოს გზების დანაგვიანება. ამისათვის მან უნდა უზრუნველყოს მანქანების იმგვარად დატვირთვა, რომ არიდებულ იქნას სამშენებლო მასალის გადმოყრა ან გადმოღვრა და ასევე განახორციელოს ყველა იმ მანქანის გვერდითი და ზედა მხარის გადახურვა, რომლითაც ტალახი, ქვიშა, სხვა მასალები და სამშენებლო ნაგავი გადააქვთ.

მოიჯარადემ ასევე უნდა მიიღოს ყველა შესაძლო ზომა, რათა სამშენებლო ობიექტზე შესვლამდე ადგილი არ ჰქონდეს სატვირთო მანქანების გზატკეცილებზე გაჩერებას.

## სატრანსპორტო უსაფრთხოების ზომები

მოიჯარადემ უნდა უზრუნველყოს, აღმართოს და შეინარჩუნოს ის საგზაო ნიშნები, საგზაო მონიშვნები, განათება, ბარიერები და სატრანსპორტო საკონტროლო ნიშნები, რომლებიც საჭირო იქნება სარეაბილიტაციო ობიექტის ირგვლივ ტრანსპორტის უსაფრთხო მოძრაობისათვის. მოიჯარადე იქამდე არ დაიწყებს სამანქანო გზებთან დაკავშირებულ სამუშაოებს, სანამ სრულად არ ამოქმედდება სამუშაოებით გამოწვეული სატრანსპორტო უსაფრთხოების ზომები.

## სამშენებლო ობიექტზე გამავალი გზა და შენობების მისადგომები

სარეაბილიტაციო სამუშაოების განხორციელებისას, მოიჯარადე ყველა შესაძლო ზომას მიიღებს, რათა მიმდებარე ტერიტორიების მფლობელებს, მაცხოვრებლებს, და ზოგადად საზოგადოებას აარიდოს ან შეამციროს ნებისმიერი სახის შემაწუხებელი გარემოებები. მოიჯარადე მოსახლეობას შეუნარჩუნებს მთელ ობიექტზე ან მის ნაწილზე გავლის უფლებას, იგი ასევე შეინარჩუნებს მიმდებარე შენობებთან მისადგომების მდგომარეობას იმგვარად, და იმავე სტანდარტების შესაბამისად, როგორც კონტრაქტის დასაწყისში იყო. საჭიროების შემთხვევაში, მოიჯარადე მოსახლეობის სურვილისამებრ უზრუნველყოფს გასასვლელის ან მისადგომის მისაღებ ალტერნატიულ საშუალებებს.

## არსებული ნაგებობების დაცვა

მოიჯარადე მშენებლობის პროცესში სათანადოდ დაიცავს ყველა შენობას, კონსტრუქციას, სამსახურს და ნაგებობას ზიანის, შემაწუხებელი გარემოებებისა და ნგრევისაგან. მოიჯარადე მშენებლობის პროცესში ყველა შესაძლო ზომას მიიღებს ყოველი შენობის, კონსტრუქციის, მიღგაყვანილობის, კაბელების, კანალიზაციის, რკინიგზის და სხვა მოწყობილობების დასაცავად.

## არსებული კონსტრუქციების გამოყენება

მოიჯარადე არ განათავსებს მასალათა მარაგს, სათადარიგო ნაწილებს, აღჭურვილობას ან დროებით კონსტრუქციებს არსებული კონსტრუქციების თავზე, ქვემოთ ან მიმდებარე ტერიტორიაზე, როგორცაა ხიდები, ვიადუკები, კედლები ან მიწაყრილები, იმგვარად, რომ საფრთხე შეუქმნას ამ კონსტრუქციებს.

## ხმაურის და მტვრის კონტროლი

მოიჯარადე ყველა პრაქტიკულ ზომას მიიღებს, რათა მინიმუმამდე დაიყვანოს სარეაბილიტაციო ობიექტიდან გამოსული მტვერი და ხმაური. ამ ღონისძიებებში შედის:

- სამუშაო საათების დაცვა საცხოვრებელ მასივებთან ან მასივებში;
- აღჭურვილობის შენახვა კარგ სამუშაო მდგომარეობაში, რათა მინიმალური იყოს დაზიანებული აღჭურვილობის მექანიკური ვიბრაციით, ჭრივით და გრუნუნით გამოწვეული ხმაური და გამონაბოლქვის ემისია მანქანებიდან;
- აღჭურვილობის გამორთვა იმ შემთხვევაში თუ იგი გამოყენების პროცესში არ არის.

## წყალმომარაგებასთან დაკავშირებული კონფლიქტები

მოიჯარადემ უნდა უზრუნველყოს, რომ სამუშაო ბრიგადას სათანადოდ მიუწვდებოდეს ხელი წყალზე, რაც ადგილობრივ მოსახლეობას არ მიეწოდება ამ სამსახურის საზიანოდ. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს რისკი შეზღუდული წყლის რესურსების თაობაზე კონკურენციისა, მაშინ მოიჯარადემ უნდა უზრუნველყოს, რომ ადგილობრივი მომარაგება არ შეფერხდეს, ხოლო ბრიგადას ალტერნატიული წყაროდან მიაწოდოს წყალი საჭიროებისამებრ (მაგ. ცისტერნებით).

## ნარჩენების გადაყრა

მოიჯარადე უნდა შეუთანხმდეს კლიენტ მუნიციპალიტეტს სამშენებლო ნაგვის გადაყრის თაობაზე. მუნიციპალიტეტი გამოყოფს ნაგავსაყრელს მყარი ნარჩენების გასატანად. რაიმე სახიფათო ნარჩენების მოულოდნელად აღმოჩენის შემთხვევაში, მოიჯარადე კლიენტს შეატყობინებს ზემოხსენებული ფაქტის შესახებ და მკაცრად დაიცავს კლიენტის მითითებებს ამგვარი ნარჩენების გატანის შესახებ.

## ნიადაგის დაცვა

მოიჯარადე ყველა შესაძლო ზომას მიიღებს ნიადაგის დეგრადაციის და ეროზიის თავიდან ასაცილებლად. მძიმე ტექნიკის გამოყენება შეძლებისდაგვარად უნდა შეიზღუდოს, რათა არ მოხდეს მიწის გატკეპნა. ნიადაგის ეროზია და ფერდობების ჩამოშლის პრობლემა უნდა გადაიჭრას ქანობების დატერასების, ხეების დარგვისა და სამეთვალყურეო დამბების მშენებლობის მეშვეობით.

## ხეებისა და სხვა მცენარეულობის დაცვა

მოიჯარადემ შეძლებისდაგვარად უნდა აიცილოს ხეების გაჩეხვა და სხვა მცენარეულობის დაზიანება. მწვანე საფარის განადგურება ობიექტზე ან მის სიახლოვეს მინიმუმამდე უნდა იქნას დაყვანილი მისადგომი მარშრუტების და სამშენებლო მასალების საწყობების და მძიმე ტექნიკის გასაჩერებელი ადგილების მდებარეობის ადექვატურად შერჩევის მეშვეობით.

## საგანგებო კონტაქტები და პროცედურები

მოიჯარადე მოამზადებს და აწარმოებს საგანგებო სიტუაციაში საკონტაქტო ინფორმაციას ყოველი სარეაბილიტაციო ობიექტისათვის, რომელიც გამოსაჩენ ადგილას იქნება გამოფენილი და ხელმისაწვდომი იქნება პერსონალისათვის. საგანგებო სიტუაციაში საკონტაქტო ინფორმაცია უნდა შეიცავდეს ტელეფონის ნომრებს და ადგილობრივი ხელისუფლების/სამსახურების შეტყობინების მეთოდებს ხანძრის, სასწრაფო სამედიცინო დახმარების საჭიროების, კომუნიკაციების მოშლის, სახიფათო მასალებთან დაკავშირებული პრობლემების და სხვ. შემთხვევებში.

## სარეაბილიტაციო ობიექტის დასუფთავება სამუშაოების დასრულებისას

მოიჯარადემ სამუშაოს მსვლელობისას და მისი დამთავრების შემდეგ უნდა დაასუფთავოს ყველა სამუშაო ადგილი ობიექტის ფარგლებში და მის გარეთ მისადგომების ჩათვლით. ნარჩენი მიწა და მასალები, დროებითი გზები, დანადგარები, ფარდულები, ოფისები და დროებითი შემოღობვა აღებული უნდა იქნას, საძირკვლები ამოვსებული, ხოლო მიწის ზედაპირი შეძლებისდაგვარად დაუბრუნდეს პირვანდელ სახეს.

გარემოზე ზეგავლენის და მონიტორინგის გეგმის ნიმუში  
 წყალმომარაგების სისტემის რეაბილიტაცია

სამუშაო	პოტენციური უარყოფითი ზეგავლენა ან ჩარევა	შემსუბუქების შესაძლებლობები	შემამსუბუქებელი ზომების განმახორციელებელი მხარე	მონიტორინგის მოთხოვნები	გ...
<b>ა. მშენებლობა</b>					
წყლის მწარმოებელი დანადგარების და გამანაწილებელი ქსელის რეაბილიტაცია	ნიადაგისა და წყლის დაბინძურება წყლის გამწმენდი შლამით	მხოლოდ სპეციალურად გამიზნული ნაგავსაყრელების გამოყენება; სამშენებლო სტანდარტებთან შესაბამისობა	საწარმოს ოპერატორი, სამუშაოების მოიჯარადეები	დანადგარის სარეაბილიტაციო სამუშაოების პერიოდული ინსპექცია	მგ... დე... ბუ...
	მიწისქვეშა წყლების დაბინძურება გაჟონვებით მშენებლობის პროცესში	გაჟონვების და დრენაჟის ადექვატური კონტროლის უზრუნველყოფა; დაზიანებული მცენარეული საფარის შეცვლა და თხრილების ზედაპირების აღდგენა; სამშენებლო წესებთან და ნორმებთან შესაბამისობა	საწარმოს ოპერატორი, სამუშაოების მოიჯარადეები	სამშენებლო სამუშაოების პერიოდული ინსპექცია	მგ...
	ნიადაგის და წყლის დაბინძურება ნანგრევი სამშენებლო ნაგვის და ნარჩენების არასათანადო განკარგვის შედეგად	მხოლოდ სპეციალურად გამიზნული ნაგავსაყრელების გამოყენება; სამშენებლო ნაგვის მყისვე გატანა; გადარჩენილი მასალების სათანადოდ შენახვა და დაცვა; ნარჩენების შეგროვება, განცალკევება და სათანადოდ განკარგვა; სამშენებლო სტანდარტებთან შესაბამისობა	საწარმოს ოპერატორი, სამუშაოების მოიჯარადეები	სამშენებლო სამუშაოების პერიოდული ინსპექცია	მგ... დე... ბუ...
	საწვავისა და ზეთის დაღვრა	თხევადი მასალების, მათი მოცულობის 110%-იან ცისტერნებსა და ცილინდრებში შენახვა; მათი გაჟონვების აღკვეთა ნიადაგსა და დრენაჟებში; აღჭურვილობის ექსპლუატაციის შესაბამისი პროცედურების დაცვა; ადგილობრივი წესების დაცვა	საწარმოს ოპერატორი, სამუშაოების მოიჯარადეები	სამშენებლო სამუშაოების პერიოდული ინსპექცია	მგ... დე... ბუ...
	ხეებისა და მცენარეული საფარის დაზიანება	განადგურებული მცენარეული საფარის გამოცვლა; მხოლოდ ნებადართული ხის მასალის წყაროების გამოყენება.	საწარმოს ოპერატორი, სამუშაოების მოიჯარადეები	სამშენებლო სამუშაოების პერიოდული ინსპექცია, ხის მასალის წყაროების მონიტორინგი	მგ... დე...
	შემაწუხებელი გარემოება მაცხოვრებლებისა და	გრაფიკისა და სხვა შეზღუდვების შემოღება; სამუშაოების შეძლებისდაგვარად წარმოება მხოლოდ დღის საათებში;	საწარმოს ოპერატორი, სამუშაოების	სამშენებლო სამუშაოების პერიოდული ინსპექცია.	მგ... დე... ზე...

	დაწესებულებების ათვის ხმაურისა და ვიბრაციის სახით	სავარაუდოდ ხმაურიან მოწყობილობებზე ხმაურის ჩამხშობი აპარატურის დამონტაჟება და სწორი ექსპლუატაცია; გადამეტებული ვიბრაციის აღკვეთა მშენებარე კონსტრუქციებში; ადგილობრივ სტანდარტებთან შესაბამისობა.	მოიჯარადეები		ორ
	მტკერის წარმოქმნა	მტკერის წარმოქმნის საწინააღმდეგო ზომები: მორწყვა, ნარჩენი მასალების გატანა, ობიექტების დასუფთავება სამუშაოების დამთავრებისას.	საწარმოს ოპერატორი, სამუშაოების მოიჯარადეები	სამშენებლო სამუშაოების პერიოდული ინსპექცია.	მგ დე ზე ორ
	ფეხით მოსიარულეთა და ტრანსპორტის შეზღუდული მოძრაობა საცხოვრებელი სახლებისა და დაწესებულებების მიმართულებით	სამუშაოების თანმიმდევრობის და მეთოდების შემუშავება (თხრილი-სატვირთო მანქანა, ფოლადის ფირფიტები) რათა მინიმუმამდე იქნას დაყვანილი შენობებთან მიდგომის პრობლემა; ალტერნატიული უსაფრთხო მისადგომების უზრუნველყოფა; შემოსავლელი გზების უზრუნველყოფა.	საწარმოს ოპერატორი, სამუშაოების მოიჯარადეები; საგზაო პოლიცია	სამშენებლო სამუშაოების პერიოდული ინსპექცია.	მგ მუ
	წყლის მიწოდების დროებითი შეწყვეტა	საკორდინაციო პროცედურების დაწესება წყლის შეწყვეტის დასარეგულირებლად; სისტემის გამოცვლის ოპერაციების მინიმალურ დროის მონაკვეთში განხორციელება; ღამის გრაფიკით მუშაობა საჭიროებისამებრ.	საწარმოს ოპერატორი,	წყლის შეწყვეტის კოორდინაციის მონიტორინგი.	მგ ინ
	მზარდი პრობლემები ტრანსპორტის მოძრაობაში (გამონაბოლქვები, საცობები, მგზავრობის გახანგრძლივებული დროის მონაკვეთი)	ტრანსპორტის სამარშრუტო ტრასის დადგენა და გამოყენება; ადგილობრივ ხელისუფლებასთან კოორდინაციის უზრუნველყოფა; აღჭურვილობის ყოველდღიური კონტროლი და შენახვა.	საწარმოს ოპერატორი, სამუშაოების მოიჯარადეები; საგზაო პოლიცია	პერიოდული ინსპექცია; ტრანსპორტის სამარშრუტო ტრასის კოორდინაციის მონიტორინგი.	მგ დე
<b>ბ. ექსპლუატაცია</b>					
რეაბილიტირებული წყლის მწარმოებელი დანადგარების ექსპლუატაცია	ნიადაგისა და წყლის დაბინძურება წყლის გამწმენდი შლამით	მხოლოდ სათანადო, დაწესებული ნაგავსაყრელების გამოყენება; უფლებამოსილების მინიჭება ეკონომიკის სამინისტროს მიერ, საქართველოს სტანდარტებთან შესატყვისობა.	საწარმოს ოპერატორი,	პერიოდული ინსპექცია;	მგ დე სა
რეაბილიტირებული წყლის მწარმოებელი დანადგარების ექსპლუატაცია	დაქლორვის პროცესის უსაფრთხოების დარღვევა	უჟანგავი, ვაკუუმზე მომუშავე სისტემების გამოყენება; ქლორის გაჟონვის დეტექტორის დამონტაჟება; დამცავი და საგანგებო სიტუაციაში ფუნქციონირებადი აღჭურვილობის უზრუნველყოფა ოპერატორებისათვის.	საწარმოს ოპერატორი,	პერიოდული ინსპექცია;	მგ დე სა

**ტექნიკური დაგალება ფონდის უწყებრივი ფინანსური ანგარიშებისა და პროექტის  
ფინანსური ანგარიშების აუდიტისათვის  
(და თანხლები დანახარჯების უწყისებისა და სპეციალური ანგარიშის უწყისების)  
---- პროექტისათვის  
12 თვიანი პერიოდისათვის ---- 31 დეკემბრამდე**

**მიზანი**

---- პროექტის აუდიტის მიზანია საშუალება მისცეს აუდიტორს გამოხატოს თავისი პროფესიონალური თვალსაზრისი პროექტის ფინანსური ანგარიშების შესახებ, მიღებული ფინანსური სახსრების და --- 31 დეკემბრამდე პერიოდის ხარჯების ჩათვლით. ცალკე დასკვნას საჭიროებს დანახარჯების უწყისები და სპეციალური ანგარიშის უწყისები. პროექტის ფინანსური ანგარიშების პროექტი უნდა მომზადდეს და გადაეცეს აუდიტორს პროექტის ხელმძღვანელობის მიერ, იგი უნდა შეიცავდეს:

- (ა) ანგარიში ფინანსური სახსრების წყაროების და გამოყენების შესახებ, მსოფლიო ბანკის და თანადაფინანსების სახსრების ცალ-ცალკე მითითებით (სხვა წილობრივი თანამონაწილეობის ჩათვლით) ---- 31 დეკემბრამდე;
- (ბ) დანახარჯების უწყისები დეტალური, ---- 31 დეკემბრამდე;
- (გ) დანახარჯების უწყისების ათვისების გრაფიკი --- 31 დეკემბრამდე წლისათვის;
- (დ) სპეციალური ანგარიშის უწყისები --- 31 დეკემბრამდე წლისათვის;

---- ფონდის აუდიტის მიზანს წარმოადგენს საშუალება მისცეს აუდიტორს გამოხატოს თავისი პროფესიონალური თვალსაზრისი ფონდის ფინანსური ანგარიშებისა და ფინანსური მდგომარეობის შესახებ ----- 31 დეკემბრამდე წლისათვის, ისევე როგორც მისი ოპერაციების და ფულადი სახსრების ნაკადის შედეგების შესახებ ამავე წლისათვის. უწყებრივი ფინანსური ანგარიშების პროექტი უნდა მომზადდეს პროექტის ხელმძღვანელობის მიერ და გადაეცეს აუდიტორს, იგი უნდა შეიცავდეს:

- (ა) ბალანსს ----- 31 დეკემბრისათვის;
- (ბ) შემოსავლების უწყისებს ----- 31 დეკემბრამდე წლისათვის;
- (გ) ნაღდი ფულის ნაკადის ანგარიშს ----- 31 დეკემბრამდე წლისათვის.

ფონდის საბუღალტრო აღრიცხვის მასალა პროექტისა და უწყებრივი ფინანსური ანგარიშების მოსამზადებელ ბაზას უნდა წარმოადგენდეს, იგი ფონდის მიერ წარმოებული პროექტთან დაკავშირებული ფინანსური ოპერაციების ასახვისათვის არის დაწესებული.

## მოცულობა

აუდიტი განხორციელდება აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად და მოიცავს ყველა იმ სახის ტესტირებასა და კონტროლს, რასაც აუდიტორი საჭიროდ ჩათვლის მოცემულ შემთხვევაში. აუდიტის ჩატარებისას განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცოს შემდეგს:

- (ა) IBRD/IDA-ს სახსრები შესაბამისი ფინანსური ხელშეკრულებების პირობების თანახმად, ეკონომიისა და ეფექტურობის სათანადო გათვალისწინებით იქნა ათვისებული მხოლოდ იმ დანიშნულებით, რისთვისაც ეს დაფინანსება იყო განსაზღვრული. შესაბამისი ფინანსური ხელშეკრულება გულისხმობს სასესხო/საკრედიტო/საგრანტო ხელშეკრულებებს (ქვეყანასა) და IBRD/IDA-ს შორის (სესხი/კრედიტი/გრანტი №---);
- (ბ) ყველა სხვა გარეშე დაფინანსება ათვისებული იქნა შესაბამისი ფინანსური ხელშეკრულებების პირობების თანახმად და მხოლოდ იმ დანიშნულებით, რისთვისაც ეს დაფინანსება იყო განსაზღვრული;
- (გ) თანადაფინანსების სახსრები, სხვა წილობრივი თანამონაწილეობის ჩათვლით, უზრუნველყოფილი და გამოყენებული იქნა შესაბამისი ფინანსური ხელშეკრულებების პირობების თანახმად და მხოლოდ იმ დანიშნულებით, რისთვისაც ეს დაფინანსება იყო განსაზღვრული;
- (დ) დაფინანსებული საქონელი, სამუშაოები და მომსახურება შესაბამისი ფინანსური ხელშეკრულების პირობების და მსოფლიო ბანკის სახელმძღვანელო პრინციპების თანახმად იქნა შესყიდული;
- (ე) წარმოებული პროექტის ხარჯებთან დაკავშირებული ყველა სახის საჭირო დამხმარე დოკუმენტაცია, ანგარიშები და ჩანაწერები (დანახარჯების უწყისების და სპეციალური ანგარიშის მეშვეობით აღრიცხული ხარჯების ჩათვლით). უნდა არსებობდეს აშკარა ურთიერთკავშირი საბუღალტრო ჩანაწერებსა და ბანკისათვის წარდგენილ ანგარიშებს შორის. ბანკმა უნდა განხორციელოს გადარიცხვების დამტკიცება;
- (ვ) სპეციალური ანგარიში და ქვე-ანგარიშები, ამგვარის არსებობის შემთხვევაში, შესაბამისი ფინანსური ხელშეკრულების პირობების და მსოფლიო ბანკის სახელმძღვანელო პრინციპების შესაბამისად უნდა იქნას გამოყენებული;
- (ზ) პროექტის ფინანსური ანგარიშები მსოფლიო ბანკის თანმიმდევრულად გამოყენებული სახელმძღვანელო პრინციპების შესაბამისად უნდა იყოს მომზადებული და --- 31 დეკემბრამდე პერიოდისათვის პროექტის ფინანსური მდგომარეობის და ფინანსური სახსრების წყაროებისა და გამოყენების რეალურ და ცხად სურათს წარმოაჩინდეს. ანგარიშების საფუძველი ფინანსური ანგარიშების შენიშვნებში უნდა იქნას შეტანილი;
- (თ) ფონდის ხელმძღვანელობის მიერ მიღებული და სამოქმედო სახელმძღვანელოში აღწერილი შიდა პოლიტიკა და პროცედურები ხელს უწყობს ხელმძღვანელობის მიზანს უზრუნველყოს პროექტის ორგანიზებული და ეფექტური მართვა, რაც ფონდის საბუღალტრო აღრიცხვის პოლიტიკასთან შესატყვისობას, აქტივების უსაფრთხოების უზრუნველყოფას, გაყალბებისა და უზუსტობებისაგან თავის დაზღვევასა და მათ გამოაშკარავებას, საბუღალტრო ჩანაწერების სიზუსტესა და სისრულეს და ფინანსური ანგარიშების დროულ მომზადებას გულისხმობს;
- (ი) ანგარიშებში წამოჭრილი საკითხები სახელმწიფო მარეგულირებელი ორგანიზაციების (ე.ი. საგადასახადო ინსპექცია კონტროლის პალატა, ფინანსთა სამინისტრო და ა.შ) მიერ აუდიტის პერიოდში განხორციელებული უწყებისა და პროექტის კონტროლის შესახებ.

პროექტის ფინანსურ უწყისებზე დანართის ან შენიშვნის სახით, პროექტის განმახორციელებელი ერთეულის ხელმძღვანელობამ უნდა მოამზადოს, ხოლო აუდიტორმა შეამოწმოს შედარება თანხებისა, რომელიც "პროექტმა IBRD/IDA-დან მიიღო" იმ თანხებთან, რომელიც IBRD/IDA-ს მიერ არის გადარიცხული. ამ შედარების განხორციელებისას პროექტის განმახორციელებელი ერთეულის ხელმძღვანელობამ უნდა მიუთითოს გადარიცხვების მექანიზმი, ე.ი. სპეციალური ანგარიშები, დანახარჯების უწყისები, ან პირდაპირი ანაზღაურება.

### **დანახარჯების უწყისები**

პროექტის ფინანსური ანგარიშების აუდიტის გარდა, აუდიტორს მოეთხოვება ამ დანახარჯების წარმომადგენლობითი ნიმუშის აუდიტი, რომელიც დანახარჯების უწყისების შევსების განაცხადების წარდგენის საფუძველს წარმოადგენს. აუდიტორმა უნდა გამოიყენოს იმგვარი ტესტირება და კონტროლი, როგორსაც იგი საჭიროდ მიიჩნევს მოცემულ შემთხვევაში. აღნიშნული დანახარჯები გულდასმით უნდა იქნას შედარებული შესაბამის ფინანსურ ხელშეკრულებებთან და პერსონალის შეფასების ანგარიშებთან, საჭიროებისამებრ სახელმძღვანელოდ. შევსების განაცხადებში არაუფლებამოსილი დანახარჯების აღმოჩენის და მათი ანაზღაურების შემთხვევაში, ზემოხსენებული ფაქტები ცალკე უნდა იქნას აღნიშნული აუდიტორის მიერ. პროექტის ფინანსური ანგარიშების ნაწილს უნდა შეადგენდეს გრაფიკი, რომელშიც მოცემული იქნება დანახარჯების უწყისების ინდივიდუალური შევსების განაცხადები რიგითი ნომრისა და თანხის მიხედვით (დანახარჯების უწყისების ათვისების გრაფიკი). დანახარჯების უწყისების პროცედურების შესაბამისად განხორციელებული მთლიანი ათვისება ბანკის გადარიცხვების საერთო შედარების ნაწილს უნდა წარმოადგენდეს.

### **სპეციალური ანგარიშები**

პროექტის ფინანსური ანგარიშების აუდიტის პარალელურად აუდიტორს ასევე მოეთხოვება პროექტთან დაკავშირებული სპეციალური ანგარიშისა და ქვე-ანგარიშების ("მცირე" ადგილობრივი ვალუტის ანგარიშები) ფარგლებში განხორციელებული ოპერაციების აუდიტი. სპეციალური ანგარიში, ისევე როგორც ქვე-ანგარიშები შეიცავს:

- ბანკიდან მიღებული დეპოზიტებს და შევსებებს
- შესაბამისი დოკუმენტაციით დასაბუთებულ გადახდებს
- ნაშთებიდან მიღებულ შესაძლო პროცენტებს; და
- ანგარიშგების პერიოდის დასასრულისათვის დარჩენილ ნაშთებს.

აუდიტორმა უნდა ჩამოაყალიბოს დასკვნა ბანკის პროცედურებთან შესატყვისობის ხარისხთან და სპეციალური ანგარიშის და ქვე-ანგარიშების ნაშთებთან დაკავშირებით ანგარიშგების პერიოდის დასასრულისათვის. აუდიტორმა უნდა შეამოწმოს მოცემული პერიოდის ფინანსური ოპერაციების უფლებამოსილება და სისწორე და ნაშთები ამ პერიოდის დასასრულისათვის, სპეციალური ანგარიშის ფუნქციონირება და გამოყენება ფინანსური ხელშეკრულების თანახმად და ამ ტიპის გადარიცხვების მექანიზმის შიდა კონტროლის ადეკვატურობა.

სპეციალური ანგარიში ამ პროექტისათვის მოცემულია საკრედიტო ხელშეკრულების დანართ --- -ში. სპეციალური ანგარიშების უწყისები პროექტის ფინანსური ანგარიშების ნაწილს უნდა შეადგენდეს.

### **საქონელი და მომსახურება**

აუდიტორები შეამოწმებენ პროექტის განმახორციელებელი ერთეულის მიერ მომზადებულ ცხრილს, რომელიც შეიცავს პროექტის ფარგლებში ნაკისრი ყველა საკონტრაქტო ვალდებულების სრულ და რეგულარულად განახლებად სიას. აუდიტორები შეამოწმებენ, რომ ყოველი კონტრაქტის ფარგლებში ათვისებული (გადახდილი) მთლიანი თანხა არ აღემატებოდეს კონტრაქტის მთლიან თანხას. ამისათვის აუდიტორები შეამოწმებენ საქონლის, სამუშაოების ან მომსახურების მიმღებთა მიერ გაცემულ "მიღება-ჩაბარების აქტებსა" ან "გადახდის სერტიფიკატებს", რომელიც დამოწმებული იქნება ან --- პროექტის ფარგლებში დაქირავებული ტექნიკური ექსპერტების განცხადებით იქნება დადასტურებული. ამგვარი სერტიფიკატები იმის დასტურად გაიცემა, რომ საქონელი, სამუშაოები და მომსახურება კონტრაქტით განსაზღვრული ხარისხითა და რაოდენობით მიწოდდა მიმღებს და რომ გადახდა გამართლებულია.

აუდიტის პროცედურებში ასევე შედის იმ კაპიტალური ხარჯების ინვენტარიზაციის ჩატარება, რომელსაც პროექტის დასაწყისიდან აუდიტირებული ანგარიშგების პერიოდის დასასრულამდე ჰქონდა ადგილი.

### **აუდიტის დასკვნა**

აუდიტორმა ცალკე დასკვნა უნდა მოამზადოს შემდეგ საკითხებთან დაკავშირებით

- (ა) პროექტის ფინანსური ანგარიშები თითოეული პროექტისათვის;
- (ბ) დანახარჯების უწყისების ათვისების გრაფიკის სიზუსტე, და თუ რამდენად სანდო არის ბანკისათვის ეს გრაფიკი, თითოეული პროექტისათვის;
- (გ) სპეციალური ანგარიშის სიზუსტე, და თუ რამდენად სანდო არის ბანკისათვის ეს გრაფიკი, თითოეული პროექტისათვის;
- (დ) უწყებრივი ფინანსური ანგარიშები.

ფინანსური ანგარიშები, აუდიტის ანგარიშის ჩათვლით, ფონდმა აუდიტირებული ანგარიშგების პერიოდის დასასრულიდან არაუგვიანეს ----- თვეში უნდა მიიღოს. სასურველია, რომ აუდიტორმა ანგარიშები უფლებამოსილ წარმომადგენელს წარუდგინოს, და არა პროექტის რომელიმე თანამშრომელს. წარმომადგენელმა უნდა მყისვე, არაუგვიანეს ექვსი თვისა ანგარიშგების პერიოდის დასრულებიდან, გადააგზავნოს მსოფლიო ბანკში აუდიტირებული ანგარიშგების ორი ასლი და ანგარიში ინგლისურ ენაზე.

### **მენეჯმენტის წერილი**

აუდიტის ანგარიშის გარდა, აუდიტორი თითოეული პროექტისათვის ცალ-ცალკე და განმახორციელებელი ორგანიზაციისათვის მოამზადებს მენეჯმენტის წერილს, რომელშიც აუდიტორი:

- (ა) წარმოადგენს კომენტარებს და დაკვირვებებს აუდიტის მსვლელობაში შემოწმებულ საბუღალტრო ჩანაწერებთან, სისტემებთან და კონტროლთან დაკავშირებით;
- (ბ) განსაზღვრავს ფინანსური სისტემების და კონტროლის, [განმახორციელებელი ორგანიზაციის სახელწოდება]-სა და პროექტის სხვა მონაწილე მხარეებს შორის ძირითადი კოორდინაციის ჩათვლით, კონკრეტულ ნაკლოვანებებსა და სუსტ მხარეებს;
- (გ) წარმოადგენს ანგარიშს ფონდის ფინანსური ოპერაციების შესატყვისობის ხარისხზე სასესხო/საკრედიტო/საგრანტო ხელშეკრულების თითოეულ ფინანსურ ვალდებულებასთან და კომენტარებს, იმ გარეშე და შიდა გარემოებების შესახებ, რომელიც გავლენას ახდენს ამგვარ შესატყვისობაზე;
- (დ) განიხილავს იმ საკითხებს, რომელმაც მისი ყურადღება მიიპყრო აუდიტის მსვლელობაში და შესაძლოა არსებითი გავლენა იქონიოს პროექტის განხორციელებაზე;
- (ე) განიხილავს გასული წლის მენეჯმენტის წერილში წამოჭრილი საკითხების განსახორციელებელ ღონისძიებებს, ამგვარის არსებობის შემთხვევაში;
- (ვ) მიაპყრობს სესხის ამღების ყურადღებას იმ ნებისმიერ სხვა გარემოებებს, რომელსაც აუდიტორი მიზანშეწონილად ჩათვლის.

მენეჯმენტის წერილი პროექტის სახით უნდა მომზადდეს ---- პროექტის მიერ განსახილველად და კომენტარების გამოსათქმელად. კომენტარების ანალიზი საბოლოო ვერსიაში შევა. ნებისმიერი სახის შეუთანხმებლობა ცალკე უნდა იქნას აღნიშნული. შემდგომ უფლებამოსილი წარმომადგენელი მსოფლიო ბანკს წარუდგენს მენეჯმენტის წერილის ორ საბოლოო ინგლისურ ასლსა და აუდიტირებულ ფინანსურ ანგარიშებს.

### **ზოგადი საკითხები**

აუდიტორს ხელი უნდა მიუწვდებოდეს ყველა იურიდიულ დოკუმენტზე, კორესპონდენციაზე და პროექტთან დაკავშირებულ და აუდიტორის მიერ საჭიროდ მიჩნეულ ნებისმიერ სხვა ინფორმაციაზე. აგრეთვე ბანკიდან მოპოვებული უნდა იქნას დასტური ათვისებულ და გადასახდელ თანხებთან დაკავშირებით. [ამ დასტურის მოპოვებაში შესაძლოა ბანკის პროექტის ხელმძღვანელი თანამშრომლის დახმარება იყოს საჭირო].

სასურველია, რომ აუდიტორი გაეცნოს ბანკის ფინანსური აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის სახელმძღვანელოს, რომელშიც შეჯამებულია ფინანსური ანგარიშგების და აუდიტის ბანკისეული მოთხოვნები, და ასევე სესხის ადმინისტრაციის ცვლილების ინიციატივის განხორციელების სახელმძღვანელოს. აუდიტორი უნდა აგრეთვე იცნობდეს ბანკის გადარიცხვების სახელმძღვანელოსა და შესყიდვების სახელმძღვანელო პრინციპებს. ორივე დოკუმენტის მოპოვება შესაძლებელია მოსკოვის მისიიდან ან პროექტის ხელმძღვანელისაგან.

იმ შემთხვევაში, თუ აუდიტის ანგარიში აუდიტის მუშაობაში ნაკლოვანებების ან ტექნიკური დავალებიდან ან აუდიტის საერთაშორისო სტანდარტებიდან გადახვევების გამო მთლიანად ან ნაწილობრივ მიუღებელია ბანკისათვის, აუდიტორი საქმის დასასრულებლად იმგვარად

განახორციელებს საჭირო სამუშაოებს, რომ პროექტს ან ბანკს არ მოუხდეს დამატებითი ხარჯის გაღება. ბანკის უფლებამოსილ სპეციალისტს უფლება აქვს პირდაპირ დაუკავშირდეს აუდიტორს და მოსთხოვოს ნებისმიერი სახის ინფორმაცია აუდიტის ან აუდიტირებული ფინანსური ანგარიშების ნებისმიერი ასპექტის შესახებ. აუდიტორმა აგრეთვე მხედველობაში უნდა მიიღოს, რომ მსოფლიო ბანკის პროექტის სამუშაო ანგარიშები, უწყებრივი აუდიტის სამუშაოები შესაძლოა დაექვემდებაროს განხილვას ბანკის უფლებამოსილი პერსონალის მიერ.

**პროექტის მიმდინარეობის კვარტალური ანგარიში: ფორმატი და არსი**

უზრუნველყოფილი უნდა იქნას ინფორმაცია იმ კვარტალისათვის, რომელიც ანგარიშის მომზადებას უძღვრება წინ და სრულდებოდეს შეჯამებით, რომელიც პროექტის სტატუსს უჩვენებს მისი დასაწყისიდან.

**ა განყოფილება: განხორციელების მიმდინარეობა**

- განხორციელების მიმდინარეობის ძირითადი მონაცემები:
  - მგფ-ს ახალი სესხების რაოდენობა, ტიპი და მოსარგებლეები.
  - ახალი განვითარების საპროექტო ხელშეკრულებების რაოდენობა და მოსარგებლეები.
  - მიმდინარე სამუშაოების და/ან ტექნიკური დახმარების კონტრაქტების სტატუსი.
- პრობლემები და მათი გადაჭრა.
- სხვა მოსალოდნელი პრობლემები
- პროექტთან დაკავშირებული სხვა ინფორმაცია ან მონაცემები

**ბ განყოფილება: ფინანსური ინფორმაცია**

- გადარიცხვების სტატუსი
- სპეციალური ანგარიშის სტატუსი
- სასესხო ვალდებულებები
- გადახდები კონტრაქტების ფარგლებში
- აუდიტების სტატუსი
- ფინანსურ მართვასთან დაკავშირებული სხვა საკითხები

**გ განყოფილება: ინფორმაცია შესყიდვების შესახებ**

- დეტალური ანგარიში შესყიდვების ღონისძიებებთან დაკავშირებით
  - საკონკურსო დოკუმენტაციის მომზადების სტატუსი
  - მიმდინარე ტენდერების სტატუსი
  - მინიჭებული კონტრაქტები
  - დასრულებული კონტრაქტები
  - პრობლემური კონტრაქტები
- შესყიდვების გეგმა შემდგომი კვარტალისათვის